ალხანიშვილია, რომ მიმდინარე დათავლიერებამ გამოაღიანა ზოგიერთი თეატრის ხელშეწყობილი, რომელიც შემოქმედებითად ზედმეტად იტვირთავს თავს. ის, ერთხელ და იმავ დროს, რეჟისორიცაა, დრამატურგიც, მხატვარიც და შთავარიც როლის შემსრულებელიც. ჩვენს მაყურებელს დიდად გაახარებდა ასეთი ყოველმხრივი წარგებება, მაგრამ სასურველია ეს ასე არაა და ამიტომ შეიძლება საუფროსი თეატრების სექტორების სიხშირის შემცირებამ ახალ-გაზრდებსა, როგორცაც არაინა: გ. ხვადაიაძე, მ. ჯავახიძე, ს. ცუცუაძე, მ. შტერცოვი, ნ. ჭავჭავაძე, თ. ჯალაღანიანი, ე. დემინი, შ. ლომია, ი. გუგულიძე და სხვ. აქვე ვგინდა აღვნიშნოთ, რომ სექტორიერი და შემოქმედებითი თვალსაზრისით საჭიროა, რომ სცენისმოყვარის პარტიორად ზმირად ინიშნვიოდეს გამოცდილი, პროფესიონალი მსახიობი. ავარი სორავსა და ვასო გვინიაშვილი, დ. ჭიჭინაძე და ელ. ყოფშიძის არა ერთხელ მუღლით მონაწილეობა სახალხო თეატრების სექტორებში, როგორც თბილისში, ისევე პერიფერიებში, რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო. ჩვენი სახალხო თეატრების ეს კარგი თანხიბობა ტრადიციად უნდა იქცეს. სახალხო თეატრების რესპუბლიკის დათავლიერებამ ნაყოფიერი, აგრეთვე ჩვენი ზოგი სახალხო თეატრის კადრის შერჩევა-აზრდობაში ჯერ კიდევ დიდ სიმწელებებს განიცდის. ზოგან კი არასწორადაცაა დაყენებული ეს საქმე. შეიძლება უსიტკი რეჟისორული ნაწილები (სიღალბო თეატრის — „მეუღლები“, მთავარი თეატრის — „იესო სოფელი“). ზოგი თეატრში დღემდე ვერ მოიძებნა კვალიფიციური რეჟისორი და მხატვარი. ის ნაწილებიც იმის შედეგიც უნდა იყოს, რომ რაიონებში უკუთვლილი ვერ იყენებენ ადგილობრივი წიგნები კადრებს, უფრო მტიტკი, რეჟისორ უნდა მოიხმას აქი უცხადებენ მათ. არ არის სავალდებულო სახალხო თეატრებში მონაცემისაზე დედაქალაქიდან ჩავიდნენ რეჟისორები და მხატვრები. უპირატესი უფროსია საჭიროა რეიტებისად ადგილობრივი კადრებიც ავიღოთ. ისინი ხომ უფრო იყნებენ თეატრის შემოქმედებით კოლექტივს.

მიმდინარე საკონსერვისი სექტორების განსაკუთრებულად გავსე ზარს სახალხო თეატრებს: ჩვენი სახალხო თეატრები, დიდ უზარალისადაც დათავლიერების დეციის სიმძიმის ცენტრია ვადაჯანს დეტრინაციასა და მშობლიურად, ასევე არ შემოიწმინდა ენობრივი ნეტარობისაში არა სასურველი შედეგინებაში. რისი საშოშირებანიც აქამდე იყო.

სახალხო თეატრების საკონსერვისი, რესპუბლიკურმა დათავლიერებამ ერთხელ კიდევ დაგვანა ხალხური შემოქმედების მრავალმხრივი სიდიდით, დაგვანა ხალხის უსაქვარო სიყვარული და თავადება უკლებლივსათვის, რომლის დაწვდილი შემქმნელი თვით არის, მაგრამ, არ კარგადეს არ უნდა უზავასიოც ეს მოწვევა. ერთი მხარე უფროა: მისი შემდეგი წინსვლა მოიხმოს კიდევ მეტ შრომას და ნებისმიერ შემთხვევაში დაწვდილი სასურველად, რომელიც ყოველთვის თან სდევს კეთილსა და ღიად საქმეს.

საქართველოს

სახალხო თეატრები

თხილისში



ლოტი წელია, რაც ჩვენს რესპუბლიკაში სისტემატურად მუშაობენ სახალხო თეატრები. ახლა უკვე შეიძლება დასარკივ მათ მხატვრულ სახეზე, რეპერტუარზე, შემოქმედებით-ორგანიზაციულ წყობაზე.

სახალხო თეატრებს საქართველოში ხანგრძლივი და სანდრეტის წარსული აქვთ. ამ თეატრებში აღმოჩნდა და შეიქმნა შემოქმედების ფართო საზოგადოებრივი გამოყენების ხელშეწყობის მრავალი ისეთი მხატვრული ოსტები, როგორიცაა არიან უმანგი ჩხეიძე, ავარი სორავა და სხვ.

ამჟამად, რესპუბლიკაში მშ სახალხო თეატრია. ისინი ეკოლინი-დისორად ემსახურებიან საბჭოთა ხელისუფლების წინასვლის საქმეს. სახალხო თეატრების დიდმა ნაწილმა ვარკვეული წარმატებები მოიპოვა. მათ დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროკავშირული ორგანიზაციები. უფროდვიც ეს სასიამოვნო დეტად აღვიქვით ჩვენ, ამასწინადვე რესპუბლიკური კონსერვისის დროს, რომელიც მონაწილეობდა 16 სახალხო თეატრის.

უპირველეს უკოლბას, ალხანიშვილი თეატრების რეპერტუარი, რომელიც მთლიანად შეიცავდა თანამედროვეობის ამსახველ პიესებს, სულ ნარეკობაში იყო ქართველი საბჭოთა დრამატურგების 15 პიესა. მათ შორის მ. ჯავახიძის — „დედაკი უფალი“, გ. შტერი-აშვილის — „ვაზის ტირილი“, შ. როყას — „ამინდვარის დედოფალი“, ა. დედოქის — „მეუღლები“, დ. კეცერაძის — „დამნაშავე“,

ბით, ხასიათით და ეროვნებით, პროფესიით, ცხოვრების ადგილსა და მოკიდებულებით. იქნებ არც შესვედროდნენ ერთმანეთს არასოდეს, დღევანდელ წარმოტენაზე რომ არ მოსულიყვნენ და შემთხვევით ერთმანეთის გგარდით არ დამსხდარიყვნენ.

გაისმის მესამე ზარი. დარბაზში შუქი გამოითიშა, მაყურებელსა და სცენას შორის აღმართული ხავერდის კედელი ჩუმი შრიალით გაიხსნა და ნება დაკვრით გმირთა ცხოვრებაში ჩაგვეხედო. ჩვენს წინაშე გადაიშალა იგი, როგორც ცოცხალი სინამდვილე. ამ სინამდვილეში ადამიანები ცხოვრობენ — ჩვენი თანამედროვენი ან, შესაძლოა, წარსული დროისა და ეპოქისა, რომელიც დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა.

როცა თეატრს ჭეშმარიტად მაღალმატრული სპექტაკლის შექმნის უნარი აღმოაჩნდება, სულ ერთია დღევანდელ დღეს ასახავს იგი თუ შორეულ წარსულს, მაშინ სცენაზე მოქმედ პირთა ცხოვრება საინტერესოა და ამაღლებული, ახლობელი და საჭირო. ამ დროს გაიზიარება ხოლმე სცენასა და დარბაზს შორის ის უხილავი მავთულები, მაღალი შემოქმედებითი ძაბვის დენით რომ მომართავენ გერძობებს და აზრებს სცენიდან დარბაზისაკენ და პირიქით. ეს ის წუთებია, როდესაც სცენის შემოქმედი, მისი მუხუცე — მსახიობი ისე შეგვიკარებს გმირის აზრებით და გრძნობებით, რომ ყველაფერს სხვას დაგავიწყებს. ამ დროს შენ მისი ტყვე ხარ, ის წარმართავს შენს ფიქრებს და ემოციებს. წარმართავს ისე, როგორც ავტორს და მსახიობს სურთ ერთად. ეს წუთებია ყველაზე ძვირფასი თეატრში როგორც მსახიობისათვის, ისე მაყურებლისათვის. ამისათვის მოდის მაყურებელი თეატრში. ამისათვის გამოდის მსახიობი სცენაზე — ამ უძლიერესი განცდის მისაღებად. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ამ წუთებში განცდა ძლიერია, ჩვენ ვერ ვამჩნევთ იმას, რაც ხდება სცენისა და დარბაზის ამ სიახლოვის მწვევა წუთებში — როგორ უახლოვდებიან ერთმანეთს დარბაზში თავშეყრილი უცხო ადამიანები, რომლებიც სპექტაკლის დაწყებამდე ერთმანეთის გვერდით ისხდნენ მხოლოდ, მხოლოდ ახლოს. ახლა, როდესაც ისინი გმირთა ცხოვრების მდენალევი მდინარეებში ჩაებნენ, როდესაც მსახიობმა მთლიანად დაიპყრო მათი ყურადღება, ააღლევა, საჭიროდ განაწყო, შეაყვარა ის, რაც უნდოდა შევეყვარებინა, შეაძულა ის, რაც სიძულვილს იმსახურებდა, ერთად აცინა, ერთად ატირა... მაყურებელი ვერ ვგრძნობს, ვერ ვამჩნევს (რადგან ამისათვის არ სცალია) როგორ დაუახლოვდა იგი არა მარტო მსახიობის სცენურ გმირს, არამედ იმ უცხო მეზობელს პარტნირში, რომელთანაც ერთად განიცდის იგი სცენურ გმირის ცხოვრებას: რაც უფრო დიდია მსახიობი, რაც უფრო ძლიერია მისი შემოქმედება მაყურებელზე, მით უფრო მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს ბნელ დარბაზში თავშეყრილი უცხო ადამიანები, ერთდებიან გრძნობებსა და განწყობილებებში, აზრებსა და სურვილებში, სცენაზე ნაჩვენები სინამდვილისადმი დამოკიდებულებაში. ეს რომ ასე არ იყოს, მსახიობი მისი გმირის მიმართ ამაღენ ერთგვაროვანი შინაარსის წყრილს არ მიიღებდა მაყურებლისაგან. ეს რომ ასე არ იყოს, არც ერთ აღმოჩენილ, მუსიკალურ-დრამატულ მდუნარებას, არც ერთდროული აღტაცების ტაში არ დაიბადებოდა დარბაზში.

ასეთია ყველა დიდი სცენის ხელოვანის შემოქმედების შედეგი. მაგრამ ამ შედეგისაკენ მიმავალი გზა, მწვერვა-

4976

მ ს ა ხ ი ო ბ ი ს

შეკომქმედებით

ლაბორატორიაში

ნათელა ურუშაძე



მაყურებლის მისაღებად თეატრის კარი წარმოღვე-
ნამდე ნახევარი საათით ადრე იხსნება. ფოიესა და
დარბაზში შუქი ანთია, პროგრამებით დატვირთული
კაბელდინერები მათთვის განკუთვნილ ადგილებს იკავებენ და
სავარძლების მშვიდი მწკრივები სტუმრებს ელოდებიან. ეს
სტუმრები — მაყურებლები, ნელ-ნელა იყრიან თავს. დროზე
მოსულები მშვიდად, შეგვიანებულები კი სწრაფი ნაბიჯით მი-
ემართებიან დარბაზისაკენ თავისი ადგილის მოსაძებნად. ასე
ივსება მაყურებელთა დარბაზი ერთმანეთისათვის უცხო ხალ-
ხით. ისინი განსვავებულნი არიან ასაკითა და მდგომარეო-



ლის დაპყრობის ხერხები და საშუალებები მუდამ სხვადასხვაა.

მსახიობის შემოქმედია, რომელიც დაჯილდოებულია ნიჭით — სხვა ადამიანად წარმოადგინოს თავი და ამ წარმოსახულ ვითარებაში ვისივე თანდასწრებით სხვისი სახით



იცხოვროს. ეს ვინმე არის მაყურებელი. უმაყურებლოდ თეატრ არ არსებობსო — ვამბობთ მუდამ. რარიც დიდებულცი არ უნდა იყოს მსახიობის მიერ განსახიერებელი გმირი, სასცენო ხელოვნების მხატვრულ ნაწარმოებად არ ჩაითვლება მანამ, სანამ არ გადაეცემა მის პირდაპირ ადრესატს — მაყურებელს, რომლისთვისაც იქმნება იგი.

მსახიობის მხატვრული ქმნილება, მისი გმირი სხვადასხვა ეპოქის, ეროვნების და ხასიათის ადამიანია. მაგრამ მუდამ ცოცხალი ადამიანი. ამით განიზრჩევა იგი ხელოვნების სხვა დარგის ნიმუშებისგან. კიდევ იმით, რომ ეს ცოცხალი სახე ლიტერატურულ-მხატვრულ სახეზე დაყრდნობით იქმნება. დრამატურგის მიერ შექმნილ ლიტერატურულ სახეზე დაყრდნობით, მისი საშუალებით ქმნის მსახიობი თავის სცენურ სახეს და იმდენჯერ შთაბერავს მას სულს სცენაზე, იმდენჯერ გააცოცხლებს, რამდენჯერაც წაიკითხავს ხელახლა, ახალი თვალთახედვით.

რას ნიშნავს ეს გაცოცხლება? დრამატურგის სიტყვების საკუთარ სიტყვებად ქცევას, ე. ი. იმ განწყობილებათა და სურვილების გაღვივებას საკუთარ შინაგანად, რომლებმაც თავის დროზე მწერლის გმირს მოანდომეს მათი თქმა პიესაში, ახლა კი მსახიობის გმირს ათქმევენებენ სცენაზე.

განსხვავებით სხვა ხელოვანთაგან, მსახიობის მხატვრულ სახეზე რეჟისორის ძირითადი პროცესი, რეპეტიცია, საჯაროა და სხვათა თანდასწრებით მიმდინარეობს. ეს გვაძლევს საშუალებას დავაკვირდეთ მსახიობს როლზე მუშაობის დროს და შევინჯოთ ზოგი რამ ისეთი, რაც საკუთრივ ამ შემოქმედის თავისებურებას შეადგენს.

ვერიკო ანჯაფარიძე ტრაგიკული მსახიობია. უყვარს მკვერი, სიხსლასავე საღებავები, ემოციათა გამოხატვის ურვეული სიმაღლეს აღწევს. აქვს თავისი შემოქმედების თემა — მისი ძირითადი გმირები (ივლით, მარგარიტა გოტიე, მაყვალა, ანო, მუხეზინარი, კლიობატრა, ბებია, მედეა...) სულით მაღალი და ძლიერი ადამიანები არიან, რთული და დამაბული ცხოვრებით. ვერიკოს უყვარს მათ მღელვარე შინაგან სამყაროში ჩაღრმავება. ეს სამყარო ნაზია და სათნო, წმინდა და კეთილშობილი. მისი გმირები ნათელი იდეალებისათვის იბრძვიან. ეს ბრძოლა მაყურებელს სულს უკაფებს და ნამდვილად რომანტიკულ განწყობილებას იწვევს ხოლმე. ამისათვის აუცილებელია გრანზობათა ის განსაკუთრებული სიძლიერე, ზეაწეულობა და თავისებური პათოსი, რომელიც ახასიათებს ვერიკოს შემოქმედებას.

როგორ აღწევს იგი ამას?

ვისაც ვერიკო ანჯაფარიძე რეპეტიციაზე უნახავს, უსათუთოდ შეამჩნევდა იმ გასაოცარ თავისუფლებას, რომელიც სწევია მას გმირის შინაგანწყობილების ძიების დროს. ზოგიერთი მსახიობი, ცნობილი და მოპულარულიც კი, რეპეტიციაზე უხერხულად გრძნობს თავს, ერთდება ამხანაგების თანდასწრებით ექიბს საჭირო შინაგანწყობილებას. ამგვარი უხერხულობის გრძნობა უკნოა ვერიკო ანჯაფარიძისათვის. იშვიათი შინაგანი თავისუფლებით, ემოციათა დაუზოგველად, გასაოცარი დაუნდობლობით ხარჯავს იგი იმდენჯერადელი ემოციის სრულ მარჯვს და ასევე ყოველ გამეორებაზე. ამ მხრივ

მისთვის არ არსებობს განსვავება რეპეტიციასა და სპექტაკლს შორის. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ძალიან ბევრს გაუჭირდება თქმა, რეპეტიციოზე უკეთესი იყო ვერიკო, თუ წარმოდგენაზე.

გრძნობათა ხარვეზი ამგვარი სიუხვე უსათუოდ შედგება, ჯერ ერთი, ვერიკო ანჯაფარიძის იშვიათი ემოციური სიმდიდრისა, მეორე — განსაკუთრებული, წმინდა აქტიორული შინაგანი შემოქმედებითი თავისუფლებისა. ალბათ, გრძნობათა ამგვარი სიმდიდრე იმის ნაწილობრივი მიზეზიც, რომ ვერიკო ანჯაფარიძე ნაკლებ ყურადღებას აქცევს გმირის გარეგნობას. ყველას შეუძნევი, რომ ვერიკო არასოდეს არ იცვლის სახეს, იცვლის მხოლოდ წარბის მონახვას და თმის ვარცხნილობას. მთავარი ცვლილება მისი თვალების გამოჩეკველებშია. მასსადავ, შინაგანია იგი. ამიტომაც მას აუცილებლად არ მიაჩნია ყოფითი დეტალებით გმირის დატვირთვა, გრძნობით იქნება ეს თუ კოსტუმში. ეს განსაკუთრებულ პოეტურობას ანიჭებს მის გმირებს, ჩვენ კი იმას დასვენის უფლებას გვაძლევს, რომ ვერიკო ანჯაფარიძეს სხვა ადამიანად ქცევისათვის არ სჭირდება გრძნობა და კოსტუმი, ის გარეგნული, დიდად საკვირო საშუალებები, ურომლისოდაც ზოგ მსახიობს სცენაზე გამოსვლა არ შეუძლია. ეს არც ერთის ნაკლი არ არის — ეს ყოველი მათგანის თავისებურებაა. სანიშნოდ ერთ ეპიზოდს გავისვენებ, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ჰქონდა ადგილი.

ცნობილ კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურულს ქართველმა მხატვრებმა შესხვედრა მოუწყეს. შესხვედრა თბილისის სამხატვრო გალერეაში შედგა. ბევრი ხალხი იყო. კარგი და საინტერესო სიტყვები ითქვა, მაგრამ მალე დამთავრდა. წასვლა არ არავის არ უნდოდა. საჭირო იყო რაიმე ისეთი, რაც თავისთავად საინტერესო იქნებოდა და არც შესხვედრის საზეიმო განწყობილებას დაარღვევდა. ელენე ახვლედიანმა წინადადება შემოიტანა ვერიკომ და პირ კობახიძემ ეპიზოდი წარმოგიდგინონ რომელიმე სპექტაკლიდან. ჯგუფად შეკრებილმა ხალხმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. და მათ შორის გამოკვეთილ მცირე მოედანზე, ფეხზე მდგომი მაყურებლისაგან ისე ახლოს, რომ ყოველ მათგანს ხელთ შეეძლო შეხებობა მსახიობებს, წარმოადგინეს ვერიკომ და პიერმა მარგარიტას და არმანის შესხვედრა მეკლისზე (IV მოქმედება). ზაფხული იყო,

ვერიკოს იასამნისფერი, ნაოჭად აყრილი კაბა ეცვა, ბამბის ჩვეულებრივად მოკლედ შეჭრილი, მსუბუქად გაფანტული. ყველა ვხედავდით ამას მანამ, სანამ მარგარიტას პირველ სიტყვას გავიგონებდით. შემდეგ ყველაფერი სადღაც გაქრა. დარჩა მხოლოდ მარგარიტას ფერმართალი, განაწამები სახე, ადამიანური ტკივილი ხმაში და თვალები, უძირო, უნაპირო სიყვარულით გაშუქებული ჩვენ არ ვხედავდით იყო თუ არა მის გარშემო მეუღლისი და სხვა გმირები, არ ვიცოდით რა ეცვა ვერიკოს, იმ დროის კაბა, თუ დღევანდელი — რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას? ჩვენს წინაშე იყო მთავარი — ცოცხალი ადამიანი, რომელიც აქვე, ჩვენს თვალწინ იტანჯებოდა სხვა ქალის ტანჯვით, ეს ტანჯვა თავის საკუთრებად გახვდა, ჩვენ კი მის დამსწრედ და მონაწილედ.

მერე ყველა ამბობდა — ასეთი მარგარიტა — ვერიკო სცენაზე არ გვიჩანავსო. იმიტომ კი არა, რომ ეს მართლა ასე იყო. ვერიკოს, რა თქმა უნდა ბევრჯერ ამაზე უკეთ უთამაშნია თეატრში. ოღონდ იმათ, ვინც იმ დღეს სამხატვრო გალერეაში, ამ უჩვეულო წარმოდგენას დაესწრო, ასე ახლოს არ უნახავთ ვერიკო სცენაზე. რაც არ უნდა ახლოს იყოს მაყურებელი მარჯანიშვილის თეატრში, პირველ რიგშიც რომ იჯდეს, მასსა და მსახიობს შორის რამდენიმე მეტრი მანძილი მაინც მუდამ იცულისხმება. ზოგი მსახიობისათვის ხელსაყრელიცაა ეს, ვერიკოსათვის კი, პირიქით, რაც უფრო ახლოს ხარ მასთან, მით უფრო ძლიერია მისი ხელოვნების ზემოქმედება. იმიტომ, რომ მით უფრო აშკარად იკითხება მის საოცარ თვალეში იმ ადამიანის სულიერი განწყობილება, რომელსაც ანსახიერებს იგი დღეს ჩვენს წინაშე.

განცდის ისეთ ძალას და მასშტაბებს, რასაც მოითხოვენ მსახიობისაგან ტრაგიკული გმირები და რომელიც ასე უხვად აქვს ვერიკო ანჯაფარიძეს, შეუძლია გვაფიქრებინოს, რომ ასეთი მსახიობი საჭირო განცდის გამოწვევისათვის განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს.

გავაკვირდებით, მაგრამ ეს ასე არ არის. ანტრაქტის დროს მის საკამპოლოში რომ შეიხედოთ, ხშირად ბევრ ხალხს დაინახავთ. შეიძლება მწვავე კამათსაც შეესწროთ. ამ კამათში ყველაზე ცხოველ მონაწილეობას, ჩვეულებრივ, იღებს ვერიკო, რომელიც ამავე დროს ან ტანსაცმელს იცვლის შემდეგი აქ-





ტისათვის, ან გრიმს ისწორებს. ეს ადღვევებული მოკამათე ვის ტანსაცმელშიც არ უნდა იყოს გამოწყობილი, მხოლოდ ვერიკო ანჯაფარიძეა თავის ყოველ გამოვლენაში.

ისმის გონების ხმა — მსახიობებს აუწყებენ, რომ ფარდა იხსნება. მარჯანიშვილის თეატრის ხმაურიან კულისებში უმაღლესი ჩამოვარდება. ვერიკო ტოვებს საკაზმულოს და სცენისაკენ მიემართება. ის მიდის ვერიკო ანჯაფარიძის მტკიცე ნაბიჯით, რა დროსა და ეპოქის, რომელი გმირის ტანსაცმელითაც არ უნდა იყოს შემოსილი. აი, ის უკვე ფარდასთანაა და ყურადღებით ადევნებს თვალს სცენაზე მიმდინარე მოქმედებას, ელის იმ წუთს, როდესაც თვითონ უნდა ჩაებას ამ მოქმედების მსველობაში. ამ დროს მას შეუძლია კიდევ გაგეხუმროთ, მაგრამ სწორედ იმ წამში, როდესაც სცენაზე უნდა შედგას ფეხი, თქვენ წინაშე საოცარი მეტამორფოზა ხდება — ვერიკო ანჯაფარიძე უკვე სრულიად სხვა ქალია. ეს ქალი


სხვაგვარად დადის, სხვაგვარად მოქმედებს, სხვაგვარად პარაკობს, მზერაც სულ სხვანაირი აქვს.

დამთარდა და სურათი. ვერიკომ სცენის ფარგალს გადმოაბიჯა და ისევ კულისებში აღმოჩნდა. ისევ თავის საკაზმულოსაკენ მიემართება და ისევ ვერიკო ანჯაფარიძის მტკიცე ნაბიჯით. თითქოს სრულიად არაფერი დარჩა წუთის წინ სცენაზე მოქმედი გმირისაგან. სრულიად არაფერი, გარდა მის თვალებში შემორჩენილი გმირის გამომეტყველებისა.

გასათვარია ის სისწრაფე, რომლითაც ვერიკო ნებისმიერად ჩაერთვება ზოლზე მისი გმირის ცხოვრების დინებაში და ისიც, თუ როგორ სწრაფად გამოეთიშება ზოლზე მას. მისი შემოქმედებითი ბუნების ეს თვისებაა, ალბათ, იმის მიზეზი, რომ ვერიკოს ისეთივე ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია მაყურებელზე სამქტაკლის ნაწყვეტში, რომელიმე ერთ სცენაში, საკონცერტო შესრულებით, როგორც სამქტაკლისათვის ბუნებრივ გარემოებაში, ყველა მის დახმარებ საშუალებასა მხოლოდ. როგორც ჩანს, ყოველთვის მასთანაა მისი შემოქმედების ძირითადი იარაღი — დიდი და წრფელი განცდა!

ტრაგიკულ მსახიობს ემოციური თვალსაზრისით ძალიან დიდი დატვირთვა აქვს ზოლზე, ჩვეულებრივ. ძალიან ბევრი რამ უნდა გადაიტანოს მისმა გმირმა სცენაზე. ასეთი დიდი ტვირთი მსახიობისაგან, გარდა გრძობათა გულწრფელობისა და სიმართლის, სიძლიერისა და დამაჯერებლობისა უსათუოდ დიდოსტატობასაც მოითხოვს. რაკინდ უხვადაც არ უნდა იყოს იგი დაჯილდოებული ბუნებით დიდი გრძობით, თუ ამ გრძობათა თანმიმდევრული, გააზრებული დანაწილების საიდუმლოებას არ დაუფლებია, ის ვერ შესძლებს ამ წრფელი განცდის მსატრულ კატეგორიაზე ამსილებას. ვერც რამდენიმე წარმოდგენის წედიზედ თამაშს. რადგან მასალაც და შემოქმედიც თვითონ მსახიობია, მან ისევ უნდა გაანაწილოს თავისი ენერგია, რომ ბოლომდე შერჩეს საჭირო ძალით.

ვინც ვერიკო ანჯაფარიძის ტრაგიკული გმირის სცენურ სიცოცხლეს დაკვირვებია, უსათუოდ შეამჩნევდა მის ერთ თვისებას: ვერიკომ უცდომლად იცის, უპირველეს ყოვლისა, განცდათა ზუსტი განაწილება. ვერავინ დაასახელებს შემთხვევას, რომ მას ბოლო მოქმედებისათვის ძალა არ შემორჩენილდეს. მეორე — ტუმბარტიად დიდოსტატურად იცის დახვეწება იქვე





სცენაზე, გმირის ცხოვრების ზოგჯერ უმწვავესი განცდის მომენტში. მე თვითონ მინახავს კულისებში ერთი ასეთი საინტერესო მომენტი: ვერეიკო კლოუპატრას თამაშობდა. მეორე მოქმედებაში, როდესაც მიკრეა ანტიონისის დალატს შეატყობინებს, დედოფლის რისხვა ძუ ვეფხვის მძინვარებას ემსაგავსებოდა. სახარელი იყო მისი სიტყვები — „მამო, მოვიმორო... სამუდამოდ? ვერა, ვერ შევძლებ!“ აქ სასოწარკვეთილი კლოუპატრა ცალი მუსლით ტახტზე შედგება და ხელეში თავჩარგული, მაყურებლისაკენ ზურგშექცევით, სასოწარკვეთილებას მიეცემოდა. ამ მრისხანებით თავსარდაცემული მისი მზლბეული ალექსასი ჩურჩულით წარმოთქვამდა: „დედოფალო, თვითონ ირთი, ვინაზედ მეფე, ვერ გაბედავს შენ შემოსედავს, როცა მრისხანედ იყურები!...“

ერთ წუთი დროც არ ინარჩუნებდა ალექსასის ამ სიტყვებზე, მაგრამ ვერეიკო ანჯაფაროძისათვის ესეც საკმარისი იყო, რომ მაყურებლისაგან ზურგშექცევით მდგარს სრულიად გამოეთიშა მანამდე მოხდავებული გრძნობები კლოუპატრასი და ამნაირად დაესვენა როგორც მსახიობს. მაგრამ საკმარისი იყო გაეგონა ალექსასის სიტყვა „იროდი“, რომ წამსვე გულის სიღრმიდან აღმოხდნოდა:

„სწორედ იროდის თავი მომართვან, მაგრამ სიტყვას ვინ შემრისულებს, როს აღარა მყავს ანტიონისი!“

ეს სიტყვები სწორედ იმ დაძაბულობით იყო თქმული. როგორსაც ეპიზოდის რიტმული ზრდა მოითხოვდა. მაყურებელთა დარბაზში არ მოიქმნებოდა ადამიანი, რომელსაც შეემჩნის მსახიობის წუთიერი განთავისუფლება გმირის გრძნობათა ტვირთისაგან, არც მისი კვლავ ჩართვა. სწორედ ამაშია ვერეიკო ანჯაფაროძის დიდოსტატობა. მაგრამ ეს იყო როგორც აუცილებლობა. იმიტომ რომ ამ წუთიერი დასვენების გარეშე, მსახიობს შემდეგი, არანაკლებ ძლიერი ეპიზოდის ხარისხიდან ჩატარება გაუჭირბოვებდა.

ასეთი წუთიერი გამოთიშვა — დასვენების წუთები სცენაზე ვერეიკო ანჯაფაროძის ყველა გმირს მოეძებნება, იმიტომ, რომ მისი გმირის ცხოვრება მუდამ დაძაბულია და ემოციურად მეტისმეტად დატვირთული. ამგვარი რეპერტუარის მქონე მსახიობს განსაკუთრებით მართებს თავისი ინსტრუმენტის — საკუთარი შინაბუნების იმანირო მომართვა, რომ გრძნობათა

სიტარბემ გრძნობათა მონად არ გახადოს მსახიობი — მოახროვებ და მოქალაქე, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ვერეიკო ანჯაფაროძე დიდი მსახიობია და ამას არა-სოდღეს არ ივიწყებს.

სესილია თაყაიშვილი ისეთი მსახიობია, რომლის გმირთან შეხვედრას მუდამ მღვლევარებით მოელი. იმიტომ, რომ იცი — ეს შეხვედრა უსათუოდ მოეტანს რაიმე ახალს, უჩვეულის, მოულოდნელს. სესილია თაყაიშვილის გმირთან შეხვედრა ახალი ადამიანის გაცნობას ნიშნავს, მასთან იმგვარ დაახლოებას, როდესაც იგი შენ ცხოვრებაში შემოვა და დარჩება. მისი გმირები სხვადასხვა დროს და ასაკის, სხვადასხვა ეროვნების და ხასიათის ადამიანები არიან. ისინი არ გვანან არც ერთმანეთს, არც მათ შემქმნელს — სესილია თაყაიშვილს.

სესილია თაყაიშვილს არ უყვარს მაყურებელთან საკუთარი სახით შეხვედრა. რაც უფრო შორეულია მისთვის გმირის ადამიანური შინასამყარო და გარეგნობა, მით უფრო საინტერესოა მსახიობისათვის ამ ასაღ, უცნობ ადამიანთან დაახლოება, მით უფრო მომზიბვლებია მის სულიერ სამყაროში ჩაძირვა, იქ ჩამარხულ საიდუმლოებათა ამოხსნა, საკუთარ ბუნებად ქცევა.

როგორ ხდება ეს? რომელ გზებსა და ბილიკებს ირჩევს სესილია თაყაიშვილი იმისთვის, რომ ჭეშმარიტი ხელოვნების ფართო შარაზე გამოვიდეს? შევიხედოთ მის შემოქმედებით სამზარეულოში, ლაბორატორიაში, რომელიც სცენის მიღმაა და ადვილად არ ჩანს. შევიხედოთ ხავერდის კულისებს იქით, აქტივროთ სამყოფელოში, ფოიესა და საკაზნულოებში, სარეპტიციო დარბაზებში — იქ, სადაც უცნობს არ შეესვლება. ენახოთ როგორია სესილია თაყაიშვილი იქ.

ვისაც მარჯანიშვილის თეატრის კულისებში წარმოდგენის დაწყებამდე შეუხებია, შეამჩნევდა, რომ თუკი სადმე საუბარი ან კამათია, მათ შორის ყველაზე აქტიური უსათუოდ სესილია თაყაიშვილია. გმირის სამოსში გამოწყობილი გატაცებით უმტკიცებს ხოლმე მოსაუბრეს რადაცას მისთვის საინტერესოს და ამადლეუბებს, რა თქმა უნდა, როგორც სესილია თაყაიშვილი, მაგრამ საოცრად შეცვლილი გარეგნობით. სესილია თაყაიშვილი ყოველი გმირისათვის მკვეთრად გამოვლენილ გარეგნულ





სახიერებას გამოძებნის ხოლმე და ეს გარეგნული ცვლილებაა ის პირველი, რაც ყველაზე მეტად თვალსაჩინოა მისი შემოქმედებით დაინტერესებული ადამიანისათვის. მაგრამ გარეგნობის შეცვლა სესილია თაყაიშვილისათვის სახისა და ტანსაცმლის შეცვლას არ ნიშნავს, არამედ ადამიანის მთლიანი გონტურის გამოკვეთას, იმ სპეციფიკური მონასახის მიგნებას, რომლითაც ეს ადამიანი გარემო სამყაროში იხატება: სიარულს, მხრა-მოხრას, ადგომა-დაჯდომას, თავის მოზრუნებას და ასე შემდეგ. სესილია თაყაიშვილის მიანია, რომ ადამიანი უსიტყვოდაც მეტყვევლია პლასტიკურად. სწორედ ამ თავისებურ, ინდივიდუალურ პლასტიკას ეძებს იგი ყოველ ახალ გმირში, ქმედით გარეგნობას, მოქმედების, სცენიური ქცევის თავისებურებას. იგი ამის ძიებით იწყებს ხოლმე როლზე მუშაობას და განაგრძობს მასინაც კი, როდესაც სახე მხატვრულად სრულყოფილიადაა აღიარებული.

ეს მზა სცენური მხატვრული სახე — სესილია თაყაიშვილის გმირი, იმდენად ბუნებრივია და ცოცხალი, სადა, შინაგანად მართალი, რომ შეიძლება ვაგიჟირდეს კიდევ იმის დაჯერება, რომ ასეთი შინაგანი სიმართლის მსახიობი მხატვრულ სახეზე მუშაობას მისი გარეგნობის ძიებით იწყებს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარეგნობა სესილია თაყაიშვილისათვის ქცევადი თავისებურების მიგნებას ნიშნავს.

სესილია თაყაიშვილის მიერ როლზე მუშაობისადმი ამგვარი მიდგომა, უპირველეს ყოვლისა იმას მოწმობს, რომ იგი მომავალ მხატვრულ სახეს ფსიქოფიზიკურ მთლიანობაში წარმოიდგენს და ამ მთლიანობის სცენურ-

რი გაცოცხლებისათვის ეძებს მაქსიმალურად ხელშესახებ გზას — კონკრეტული ქცევის მიგნების გზას.

ეს გზა ადვილი არ არის იმიტომ, რომ, ქცევის თავისებურება ადამიანის პიროვნების გამოვლენის ფორმაა. ამიტომაც მომავალი გმირის სიარულის ან თავდაჭერის თავისებურების მიგნება მისი შინასამყაროს თვისებებთან მიგნებას ნიშნავს. ეს ძნელია, სესილია თაყაიშვილი კი მშფოთვარე და მოუსვენარი ადამიანია, ამიტომ ყოველი შეხვედრა ახალ გმირთან ბრძოლით იწყება ხოლმე. თეატრში ყველამ იცის, რომ სესილია თაყაიშვილს არასოდეს არ უნდა ახალი როლის თამაში. ის მხატვრული სახეებიც კი, რომლებიც ქართული თეატრის ისტორიის ოქროს ფონდშია შეტანილი, თავის დროზე უარყოფილი იყვნენ მსახიობის მიერ და თითქმის იძულებით ნათამაშები. რატომ ხდება ეს ასე? განა შეიძლება ისეთი შემოქმედებით პოტენციის მქონე მსახიობს, როგორც სესილია თაყაიშვილია, ახალ-ახალი როლების თამაში არ უნდოდეს? რა თქმა უნდა, არა! ყოველ ახალ გმირთან შეზრდილობით



შევედრა, პიესის და როლის უეჭველი დაწუნება ეს სესილია თაყაიშვილის შემოქმედებითი მღელვარების თავისებური ფორმაა, თავისებური შინაგანი ბრძოლა ახალი ციხე-სიმაგრის აღების წინ, გამარჯვების დიდ სურვილიდან შედგენილი. ამის საუკეთესო საბუთი ისაა, რომ მიუხედავად გულწრფელი ჩხუბის, „დასაბუთებელი“ უარისა და ხმაბლადი შელპარაკებისა რეჟისორებთან, სესილია თაყაიშვილი მაინც იღებს როლის ტექსტს, ჩხუბითა და აყალ-მაყალით, მაგრამ მაინც იწყებს ქაღალდზე გადმოტყდილი რეპლიკებს იქით უცნობი ადამიანის საიდუმლო ბიოგრაფიის ამოკითხვას: ვინ არის იგი? როგორ გამოიყურება? რისთვის ცოცხლობს? რაზე ოცნებობს? რას აკეთებდა გუშინ? ახლა? და ასე შემდეგ. დაუსრულებელი — ყველაფერი, რაც ავტორის მიერ ამ გმირისთვის განკუთვნილ სიტყვებს მსახიობის საკუთრებად აქცევს, მათ წარმოთქმას მონადომებს.

ავტორისეული სიტყვების შინაგან სათავეს ეძებს ხოლმე მსახიობი ჩვეულებრივ, ეძებს ძირითად რეპეტიციაზე სპექტაკლში მონაწილე სხვა მსახიობებთან ერთად. ყოველი მსახიობი კი ცალკე ინდივიდუალობაა თავისებური ადამიანური და აქტიორული შინაბუნებით. ბუნებრივია, რომ რეპეტიციებზეც ისინი სხვადასხვანაირი იქნებიან. ზოგისთვის საკმარისია მისი გმირის სცენური სიციცლების ლოგიკაში გააჩვიო, ზოგს უნდა უამბო, მიანიშნო, ზოგს უჩვენო. საჯარო შემოქმედების ამ რთულ პროცესში ზოგი განუსაზღვრელად თავისუფალია, ზოგი კი ასაკისა და გამოცდილების მიუხედავად, გასაოცრად მორიდებული. ასეთი მორიდებულია რეპეტიციაზე სესილია თაყაიშვილი. სარეპეტიციო დარბაზში არც რეჟისორმა, არც პარტნიორებმა არ იციან რას გამოიტანს სესილია თაყაიშვილი სცენაზე. აქ ის აზუსტებს ტექსტს, რეპლიკათა თანმიმდევრობას, მიზანსცენებს. გმირის ხასიათის ძიებას არ აწარმოებს. ბუნებრივად იბადება დასკვნა — თუ მსახიობი არ ეძებს რეპეტიციაზე სხვათა თანდასწრებით, მაშასადამე, ის ეძებს სადაც სხვაგან, მარტო. სად? ყველგან, ცხოვრებასა და წიგნებში, ფერწერულ ნაწარმოებებში, ვილაცის ნამბობში, დროისაგან ფერშეცვლილ ფოტოსურათებში... მაშინ კი არა მხოლოდ, როდესაც რომელიმე ახალ სახეზე ზრუნავს, არა, ყოველთვის, მუდამ. ამ მუდმივი და დაუსრულებელი ძიების შედეგია სესილია თაყაიშვილის შეუწყლებელი ინტერესი სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და ხასიათის ადამიანებისადმი.



ყველაფერს, რასაც ხედავს და ამჩნევს იგი თავისი დაკვირვებული, მახვილი მზერით, სხვისთვის უხილავ თავის სულიერ „თაროებსა“ და „უჯრებში“ ინახავს მანამ, სანამ ეს მასალა ახალი როლისათვის დასჭირდება.

ვისაც სესილია თაყაიშვილის ნამბობში მოუსმენია, უსათუოდ შეაშინვედა: რასაც არ უნდა გაიმობხეთე იგი, სხვის თუ საკუთარ ამბავს, ან წიგნში ამოკითხულ რომელიმე ეპიზოდს, — ის ყველა მუდამ როგორც მსახიობი — ქმედითად, უპირველესად ყოველ ფაქტში მომხდარი ამის ქმედით ბუნებას შეგარძნობს. იმიტომ, რომ სინამდვილის აღქმა სესილია თაყაიშვილს წმინდა აქტიორული აქვს. აქტიორის და მხოლოდ აქტიორის თვლით უყურებს იგი ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება. ამიტომ ასე უყვარს და ეადვილება, თითქმის მოთხოვნილებად აქვს ქცეული თხრობის დროს წარმოადგი-






ნოს კიდევ ის, ვისზედაც ლაპარაკობს, სულ ერთია კაცი იქნება ეს თუ ქალი, ბავშვი თუ ღრმა მოხუცი. იშვიათი სიზუსტით აღმოაჩენს ხოლმე თავის ობიექტში ყველაზე ტიპიურსა და დამახასიათებელს და ერთი რომელიმე შტრიხით ისე დაემსგავსება განსახიერებულ ადამიანს, რომ მსმენელში სიამოვნებასთან ერთად გაოცებასაც იწვევს ხოლმე თავის გარდაქმნის, მართლაც გასაკვირი პლასტიკური სახიერებით. ასეა ცხოვრებაში.

სცენაზე სესილია თაყაიშვილი გარგვეული გარდაქმნის დიდოსტატია. ეს სადღესოდ ყველასთვისაა ცნობილი. მაგრამ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნის ეს საიდუმლო პროცესი კულისებში, საგრიმირო მაგიდასთან, მცირე სარკის წინ — მსახიობის სახის ცვლილებათა პირველ მოწვესთან? ვერიკო ანჯაფარიძე, რომელიც 20 წლის მანძილზე სესილია თაყაიშვილთან ერთ საკაზმულოში ემზადებოდა სცენაზე გასასვლელად, ამბობს, რომ დღესაც ვერ გაუგია გრიმის ის საიდუმლოება, რომელსაც სესილია თაყაიშვილი ფლობს. საათობით თავს ვიმტვრევ და ძლივს მივაგებ ხოლმე რაღაცას, სესილია კი შოვა, გამოსწვეს თავის საგრიმირო მაგიდის უჯრას (ნუ-რაფინ მოელის იქ თანმიმდევრულად დაწყობილ ფერებს ან წკარებს!) და სხვისთვის სრულიად წარმოუდგენელი საღებავებით — დაწყებული ყვავილის გამწმარი ფურცლით და ჩვეულებრივი მურით დამთავრებული — ერთ წუთში, ხელის ერთი მოსმით შეიცვლის სახეს.

ერთხელ ჩვენც შევიხედეთ სესილია თაყაიშვილის საკაზმულოში და ვნახეთ, საკუთარი სახისაგან როგორ ძერწავს იგი გმირის სახეს. იმ დღეს ის ძიძას თამაშობდა შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“.

როდესაც სესილია თაყაიშვილი, ჯერ კიდევ როლზე მუშაობის დროს, თავიი ძიძასთვის გარგველობას ეძებდა, მან უკვე იცოდა რას წარმოადგენდა მისი გმირი, როგორც ადამიანი. გარგველობა მის შინასამყაროს გამოვლენას უნდა მომსახურებოდა. ამიტომ არაფერი არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი არც მის სახეში, არც ტანსაცმელში, არც ქვევაში. ავტორის მიერ ძიძას სახე იმდენად სისხლსავსედაა შეფერადებული, რომ მსახიობის მიერ ფერთა შერჩევა დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. სესილია თაყაიშვილსაც უნდოდა, რაც შეიძლება ძუნწი შტრიხით მაქსიმალური შთაბეჭდილებისათვის მიეღწია. დიდხანს, დიდხანს იჯდა ხოლმე სარკესთან და საკუთარი სახის ნაკეთებს იმ სახეს უფარდებდა, რომელიც სარკიდან უცქერდა, მაგრამ მსახიობის გარდა ჯერჯერობით ვერავინ ხედავდა... ოსტატის ხელი წვეთ-წვეთად იღებდა გრიმის კოლოფიდან საღებავს და სახისაკენ მიჰქონდა. თვალის უკებთან თითო შავი წერტილი და სესილია თაყაიშვილის ღია ფერის თვალები ჩამუქდა, გამოიკვეთა. ცოტა გუმოზი ნესტოებთან და სესილია თაყაიშვილის ოდნავ კეხიანი, თხელი ცხვირი დამსხვილდა. ზა-ცი წითელი ზედა ტურზე, ქვედა ტურის საზღვარს გადმოსული მუქი წითელი, ორ გბილს შუა შავი ხაზი და სესილია თაყაიშვილის სახეს უკვე ვეღარ იცნობთ! იგი სრულიად შეიცვალა. რის წყალობით? ძირითადად თვალებისა და პირის ჭრის შეცვლის წყალობით. საქმე მართო მათ ცალ-ცალკე მოძებნილ კარგ მონახაზში არ იყო — პატარა თვალები და დიდი პირი ერთიმეორეს ხაზს უსვამდნენ და ამით ორივესგან მიღებულ შთაბეჭდილებას აძლიერებდნენ.

ძიძას ჭამა უყვარდა. ამის გამო ს. თაყაიშვილის თხელი სხეული ძიძას ტანსაცმლის ქვეშ სხვისთვის უხილავად გასქე-




და, ტანსაცმელი კი მუდამ თავისუფალი ევგა ძიძას — ვიწრო კაბით თავს არ იწუხებდა. ამავე მიზეზით ფესსაცმელი იმდენად სრული აქონდა, რომ დროთა მანძილზე სიარულიც თავისებური გამოუმუშავდა — ფეხებს მიაფრატუნებდა. ასე, რომ ქაოის თავისებურება იქნებოდა ეს, თუ გრიმისა და ტანსაცმლის წესილმანები, ყოველი მათგანი სახის ძირითადი არსიდან — გმირის ცხოვრებისადმი დამოკიდებულებიდან, მისი სასიცოცხლო მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობდა და მიზეზობრივ კავშირში იყო მასთან. თანაც ისე ოსტატურად შესრულებული, ისე მსუბუქად და შეუმჩნეველად, თითქოს ამის მიღწევაც ადვილი იყოს.

ამ მსუბუქ გრიმს სპექტაკლის წინ, ს. თაყაიშვილი საკმაოდ დიდ დროს ანდომებს, რადგან გრიმის გაკეთებისა და კოსტუმით შემოსვის პროცესი მისთვის ერთდროულად მიმდინარეობს. ვინც ამ პროცესის მოწმე ყოფილა, მას მსახიობის მუშაობის თავისებური და მეტად საინტერესო სურათი უნახავს: ს. თაყაიშვილი სცენაზე გასასვლელად ემზადება, თან რაღაც საინტერესო ახალ ამბავს უამბობს იქ დამსწრეთ. ეს ამბავი არავითარ კავშირში არ იმყოფება არც იმდღევანდელ წარმოდგენასთან, შესაძლოა, არც თეატრთან. მაგრამ ს. თაყაიშვილი, როგორც ყოველთვის, გატაცებით გვიამბობს ამბავს. უცებ, ერთი წუთით დაკვირვებით ჩააცქერდება თავის სახეს სა კეში და რაიმე წერტილს ან მსუბუქად გავლებულ ხაზს აღნიშავს მასზე. მერე ადგება, ლაპარაკით მიემართება მოპირდა. ირე კუთხეში ჩამოკიდებულ კოსტუმებისკენ, რომელიმე მის ნაწილს (ვთქვათ, ქვედაკაბას) ჩაიკვამს და ისევ საგრიმიორო მაგიდასთან ბრუნდება. ერთი წამით ყურადღება ისევ თავის სახეზე გადააქვს, ისევ რაღაცას აღნიშნავს მასზე და ისევ კოსტუმებისკენ მიემართება. ასე გრძელდება მანამ, სანამ გრიმის გაკეთებისა და კოსტუმის მორგების პროცესი ერთდროულად დასრულდებოდეს.

დიდი დაკვირვება არაა საჭირო იმისათვის, რომ დანახო — სახისა და ტანსაცმლის ცვლილებასთან ერთად როგორ თანდათან იცვლება მსახიობის მიზრა-მოზრა, სიარული, გამოხედვა, ლაპარაკის მანერა. ეს პროცესი ცნობიერი არ არის მსახიობისათვის: ის განაგრძობს საინტერესო ამბის თხრო-





ბას, მაგრამ მისდა უნებურად, უკვე ჯულიეტას ძიძას სახით.

რატომ ხდება ეს ასე? იმიტომ, რომ ს. თაყაიშვილისათვის გმირის გარეგნობის ყოველი დეტალი შინაგან ძალთა მოქმედებაში მომყვანი საშუალებაა, იმ შინაგანი მომართვის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც დღევანდელი გმირისთვისაა სა-



ჭირო სცენაზე. დეტალს, თითქოს უმნიშვნელო ეჭვქვეშაობას, რომელიც მაყურებელმა შეიძლება ვერც ვიქნენოვანად დასაყვილისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც გმირის სცენური მოქმედებისათვის გარკვეულად განმარტებულ საშუალებას. სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანო: როდესაც ს. თაყაიშვილი ზურიკოს ბებიას თამაშობს თეატრში, შავი კაბის ქვეშ მსახიობის სურვილითა და დაკვეთით შეკერილი გრძელი თეთრი პერანგი აცვია, მოხუცებს რომ უყვართ ხოლმე ისეთი. ერთ-ერთ წარმოდგენაზე ჩამქმელმა ეს პერანგი ვერ დაახვედრა, ვერ ეპოვნათ. მოუტანეს სხვა გრძელი პერანგი, ჩიიცა და გაიდა სცენაზე, მაგრამ იმ დღეს საშინლად ითამაშა.

იმავე როლისათვის შავი თავშლის ქვეშ მცირე თასაკარავი აქვს ს. თაყაიშვილს. თვითონ მოიტანა სახლიდან, ნახშირი, ალგ-ალგ გაკვეთილი, მაგრამ სწორედ ამის გამო დიდი ხნის ხმარების სითბოთი გამთბარი. ერთხელ ეს პატარა თასაკარავი სადღაც დაიკარგა. იმ დღეს წარმოდგენა ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო — სანამ არ იპოვნეს, ს. თაყაიშვილი სცენაზე არ გავიდა.

ს. თაყაიშვილი ისეთი მსახიობია, რომლისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ საგანს, ყოველ ნივთს სცენაზე. იმიტომ, რომ მას ამ ნივთის გმირის სასიცოცხლო პროცესში ორგანული ჩართვა უყვარს. და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ეს ნივთი იმდენად აუცილებელია ხოლმე მისთვის, რომ მის გარეშე თამაში არ შეუძლია. ასე, ბებიასთვის ს. თაყაიშვილის თსოვნით საგანგებოდ გააკეთეს სხვებთან შედარებით უფრო დაბალი სამფეხა — უფრო მაღალ სკამზე რომ დაეჯდებოდა შეაცივებულ მჭადს ვერ დაეკარგა! — ამბობდა მსახიობი. ერთხელ სკამი შეცვლიდა. სანამ თავისი დაბალი სამფეხა არ მოძებნა, სცენაზე არ გავიდა. მას შემდეგ თვითონ ზრუნავს ხოლმე თავის სკამზე, თვითონ გაიტანს ხოლმე სცენაზე, თავის ადგილზე დადგამს და მხოლოდ ამის შემდეგ ელის მშვიდად სცენაზე გასვლის დროს.

ეს თავისებური შეჩვევა მარტო ნივთებთან არაა დაკავშირებული, ს. თაყაიშვილი ეჩვევა პარტნიორებსაც. ამიტომ შეჩვეული პარტნიორი უკეთესიათც რომ შეუცვალონ — უშლის. მუდამ ერთიდაი მზა წარმოდგენაში ჩაბმას. არც სხვა შემთხვევაში თამაში უყვარს.


ყველა ეს შემთხვევა ს. თაყაიშვილის შემოქმედებითი ბუნების თავისებურების ჩვენს მიერ შემჩნეული თვისებებია. ყოველი მათგანი და ყველა ერთად იმას მოწმობენ, რომ მსახიობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველაფერს, რაც არსებობს მის გარშემო სცენურ გარემოში საგნობრივ-ნივთიერი სახით. ეს იმიტომ, რომ მისთვის ამ გარემოს ელემენტები, კოსტუმისა და გრიმის ყოველი წვრილმანი გმირის ში-



ხაგავი ცხოვრების სიმართლით გამოკვეთისთვის აუცილებელი თავისებური გამოვლიანებელია.

ს. თაყაიშვილი მსახიობთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომლებზედაც ამობენ ჭკვიანი მსახიობიათ. რას ნიშნავს ჭკვიანი მსახიობი? საკუთარ შესაძლებლობათა სწორად განმსაზღვრელს, რომელმაც იცის რა არის მის ძალაში და ყველა თავის შინაგანსა თუ გარეგნულ მონაცემს მაქსიმალურად იყენებს. ამასთან დაკავშირებით ერთ შემთხვევას გავისწავნებთ: ცაო-იუსის „ტაიფუნში“ ს. თაყაიშვილი ლამაზ ში-პინს თამაშობდა. რა ოსტატურად აუარა გვერდი მსახიობმა გავრცელებული სურათებით რომ ვიცნობთ იმნაირი ჩინელის განსახიერებას გარკვენიობაში! წინ მოკლედ შეჭრილი სწორი თმა, უკან — აკრფილი. მოკლე წარბი, შეუმჩნეველად აწეული ცხვირი, ოდნავ დავიწროებული თვალი და სახის მოყვითალო ფერი. ში-პინ თითქმის არ ახვლდა თვალს. 30 წელია ერთი შეცდომის საფასურად მიღებულ სირცხვილს თან ატარებდა. ახლაც უჭირდა სხვისათვის თვალის გასწორება. თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა. შეუმჩნეველი უნდოდა ყოფილიყო. ამის გამო ტანისამოსიც რუხი, გახუნებული ეცვა. ასე თამამად უარყო ს. თაყაიშვილმა მსახიობის ორი უძლიერესი იარაღი — ხმა და თვალები (თითქმის თვალდახუჭული და თითქმის უხმოდ გვიამბობდა იგი ში-პინის ცხოვრების სველიან ამბავს და... სირუფე ყვირილზე უფრო ხმამაღალი აღმოჩნდა!). ეს უარყოფა გვირის ცხოვრებით, მის განცდათა შინაგანი ლოგიკით იყო გამართლებული, მაგრამ იმავ დროს ოსტატურად ფარავდა იმას, რის ჩვენებასაც ერიდებოდა ს. თაყაიშვილი ამჟერად. ოსტატის ხელით მოხატული მისი თვალის ჭრილი დახრილ ქუთუთოებში უფრო ლამაზად გამოიყურებოდა, ვიდრე ფართოდ რომ გაეხილა. ჩურჩულით წარმოთქმული მისი სიტყვები კი უფრო ლამაზად და ნაზად ეღვრებოდა, ვიდრე ხმამაღლა რომ ეთქვა. ამ როლისათვის ასე უფრო მიზანშეწონილი იყო. ამიტომაც იყო ს. თაყაიშვილის ში-პინ ასეთი ნაზი, ლამაზი და ჭაღური. ამიტომაც მოვიყვანეთ ჩვენ იგი მსახიობის მიერ მხატვრული სახის ჭკვიანურად განსახიერების ნიმუშად.

მაშ, ასე: ს. თაყაიშვილი, როგორც ყველა ჭეშმარიტი ხელოვანი, თავისებური შემოქმედებით ლაბორატორიის მქონეა. ამ ლაბორატორიაშია დაგროვილი ყველა ის ხერხი და საშუალება, რომელთა მეოხებითაც ეს შესანიშნავი მსახიობი მხატვრულ სახეებს ქმნის. მათ შორის ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ რამდენიმე, ის, რაც საკუთარი დაკვირვებით შევნიშნეთ. დანარჩენი მსახიობის რთული და ხელშეუხებელი ხელოვნების შემდგომი შესწავლის შედეგი იქნება, ალბათ. ის დიდ დროს და დაუსრულებელ ძიებას მოითხოვს, უნდა ეძიო ყველგან, სადაც კი ხედები ამ მსახიობს: შინ და გარეთ, რეპერტიციებსა და კულისებში, სხვის წარმოდგენებზე, წიგნის კითხვის დროს,



როდესაც უსმენს მუსიკას ან მეგობრებს ესაუბრება... ყველგან! იმიტომ, რომ მსახიობი საკუთარი თავისაგან ქმნის მხატვრულ ქმნილებას. მაშასადამე, ამ შექმნის საიდუმლო მთლიანად მის პიროვნებაშია, მის ადამიანურსა და მოქალაქეობრივ შინაბუნებაში.

შემოქმედის პიროვნულ თვისებებს, სინამდვილისადმი მოქალაქეობრივ დამოკიდებულებას უდიდესი მწიფელობა აქვს მისი ხელოვნებისათვის. მხატვრული ნაწარმოები ხომ ხელოვანის თვალთახედვის, მისი ცხოვრებისეული პოზიციის და მრწამსის დამამკვიდრებელია. არ შეიძლება გულგრილი იყო იმისადმი, რასაც თითონ ქმნი. ამიტომ ყოველი ტემპირიტი ხელოვანი ცდილობს ჩვეიც იმგვარად განგვაწყოს ამა თუ იმ ცხოვრებისეული მოვლენისადმი, როგორც თვითონ მიაჩნია საჭიროდ და აუცილებლად. რაც უფრო მეტადა ჩამოყალიბებული ავტორის შეხედულება სინამდვილეზე, რაც უფრო მეტად აღუვლებს მას ესა თუ ის საკითხი, მით უფრო მეტფორია ნაწარმოების დედაზრი, მით უფრო ამაღლებული და შთამბეჭდავი. ეს ერთნაირად ესება ხელოვნების ყველა დარგს, მსახიობის ხელოვნებას — განსაკუთრებით, იმიტომ, რომ მსახიობი საკუთარი თავისგან ქმნის მხატვრულ ნაწარმოებს, საკუთარი სმით ალაპარაკებს, საკუთარი სუნთქვით ასულდგმულებს, საკუთარი გრძობით ათბობს — თვითონ მერწყავს საკუთარი ცოცხალი არსებიდან და თვითონვე გადასცემს მის სანასავად მოსულ მაყურებელს, როგორც გმირის ცოცხალ თავგადასავალს.

აქ, ცოცხალ სცენურ განცდაზე ასეთსავე ცოცხალ გამოძახილში, რომელიც ხან ტაშის, ხან სიცილის, ხან დაძაბული, სუნთქვაშვრული მღუმარების სახით ბნელი დარბაზიდან სცენისაკენ მოედინება — ამ ცოცხალ კონტაქტში იბადება სასცენო ხელოვნება, მსახიობის მხატვრული ნაწარმოები. დროებითი, ხელმუხები და წარმავალი, მაგრამ უაღრესად ზემოქმედი — ერთი საღამოს განმავლობაში მრავალსეული ადამიანის ერთგვაროვანი გრძობა-განწყობილებით დამტვირთავი, ცხოვრებისეული და საკიბოროტო საკითხისადმი მსგავს დამოკიდებულებაში გამაერთიანებელი, ემოციური და ამაღლებული, ამის გამო საზოგადოებრივად უაღრესად მნიშვნელოვანი.



...წარმოდგენა დამთავრდა. ხავერდის კედელი კვლავ აღმართა დარბაზსა და სცენას შორის. მაყურებელი აუჩქარებლად სტოვებს დარბაზს, ფოიეს, თეატრს. თან მიჰყვება ის განცდები, აზრები და სურვილები მსახიობის გმირმა რომ აუფორიატა. ზოგი კამათობს, ცხარობს, ზოგი სდუმს, მაგრამ უთუოდ ფიქრობს. ფიქრობს იმაზე რაზეც მსახიობმა ჩააფიქრა, რომელიდაც სადღესოდ მტკიცინულ, საჭიბოროტო ცხოვრებისეულ საკითხზე. თეატრი თითქმის სულ დაიცალა. ის უცხო ხალხი, სამი საათის წინ შემთხვევით ერთად რომ შეიყარნენ ამ დარბაზში, კვლავ განშორდნენ ერთიმეორეს. არ გაუცვნიათ ერთმანეთი, მაგრამ უცხონი ნამდვილად აღარ არიან. რატომ? იმიტომ, რომ მთელი საღამო ერთად იყვნენ, უამრავი რამ განიცადეს ერთად იცინეს, ერთად იტირეს, შეიყვარეს და შეიძულეს. რა? — ის, რაზედაც მათ მსახიობი მოუთხრობდა, რაც ასე ცოცხლად გადვიზალა მათ წინაშე, ასე გულწრფელად, გულახდილად განიცადა ერთხელ კიდევ, თითქოს პირველად. ხვალ სხვები მოვლენ, ასეთივე შემთხვევითი და უცხო ხალხი, მაგრამ როდესაც განშორდებიან, უცხონი უკვე არც ისინი იქნებიან... და ასე შემდეგ... დაუსრულებლივ მანამ, სანამ ცოცხლობს თეატრი, მსახიობი — სცენის მუხუცე, საიდუმლოებით სასვე მისი დიდებული შემოქმედება.





დღი ეროვნული და კულტურული საქმისა ქართული საბჭოთა ტრადიციის საფუძვლის ჩაერისა და მშენებლობის უშუალო მონაწილისათვის ეს მტად საძნელა, მაგრამ დ. ანთაძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით დასძლია ეს რთული და საკომპლექსო ამოცანა. ფაქტობრივად სიუჟეტში, ახლად გამოშვებული მასალის სიმდიდრემ, ჯერაც უცნობი და მტკვეული დეტალების მიზიდვებზე მინადების ზეგავს, ქართული თეატრის ისტორიის შესანიშნავმა ცოდნამ, ფართო ისტორიული პლანის წარმოდგენის უნარმა — საშუალება მისცა ავტორს შეეძინა უაღრესად მნიშვნელოვანი წიგნი. ეს წიგნი როგორც მტად მზერებზე უნდა ითაყვინებინოს ისტორიული ნარკვევის, მეცნიერული გამოკვლევისა და მემორარული ნაწარმოების სპეციფიკურ მხარეებს.

მისმუშევრებში პერიოდში საქართველოში საქმად დღი რაოდენობით გამოცა ეროვნული თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა წერილები და მოგონებები. მაგრამ შეიძლება თამამდ ითქვას, რომ ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიისაში მიძღვნილ ამ მრავალრიცხოვან ლიტერატურაში ჯერჯერობით მწელად მოიძებნება ნაშრომი, რომელიც დ. ანთაძის წიგნზე უფრო ფასეული და სასარგებლო გამოდგარეოვს. ამ წიგნს სამართლიანად ეკუთვნის საპატიო ადგილი არა მარტო თეატრალურ-მემორარული ლიტერატურაში, არამედ ქართული თეატრმცოდნეობის, დისციპლინის სფეროშიც.

ეს შედეგია იმისა, რომ ავტორი მარტო წარსულის მოგონებით კი არ მყოფილდება, მარტო ფაქტთა კონსტანტაციით, შათი ობიექტივობით აღწევს იმ კი არ იფარგლება, არამედ იძლევა ფაქტებისა და მოვლენების ანალიზს, ისტორიული პროცესის წინარედ და მომდევნო მოვლენებთან მჭიდრო კავშირში, ის წყალობითაც მიუზღობრავ-მედგობობობის თვალსაზრისით გარდასული ამბების მკაფიო სურათს გვიხატავს.

განსაკუთრებით ფასეულია ის გარემოება, რომ ავტორი თეატრალური ხელოვნების სპეციფიკის ღრმა ცოდნით, თეატრის ისტორიკოსისა და კრიტიკოსისათვის საწინააღმდეგო სიღრმითა და უკუვლამრობით იხილავს თითქმის ყველა მნიშვნელოვან დადგმას, რომელიც კი მის ნაშრომში გაშუქებულ პერიოდში იქნა განხორციელებული. კიბხობად ამ წიგნს და ვანციკერებს მასალის სიმდიდრე, მტკვეულ დეტალთა სიმრავლე, ფაქტობრივი სიუჟეტი.

ავტორმა შესწლი ქართული თეატრის ახლო წარსულის მრავალი დღემდე ზუნდევანი თუ ნაყლებად ცნობილი მომენტის მართებული გაშუქება, არა ერთი რთული შემოქმედებითი საკითხის ღრმად და სწორად კვლევიერება და მთელი რიგი პრინციპული, საყვამო საკითხებისათვის სათანადო გადაწყვეტის მონახვა.

დ. ანთაძის სარეცენზიო წიგნი მნიშვნელოვანია კიდევ იმით, რომ იგი ეკუთვნის ქართული თეატრის გამოჩინული მოღვაწის — კოტე მარჯანიშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომლის, აქტიური თანაბრძოლის და ერთგული თანამშარხველის კალამს. ამიტომ იგი უცხო თვალით დანახული და უცხო ურთი გავილი მასლის გადამდებება კი არ არის, შორიდან მოთვალთვალე კაცის ცივი დაჯივრების შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ ეროვნული თეატრალური საქმის უაქტიურესი მონაწილის, სცენის ისტორიის უშუალო მოქმედის, თეატრალური ცხოვრების შუაგულში მდგარი პროფესიონალის მიერ განცდილის, ნახულის და ნამოქმედარის გულწრფელი აღწერაა. ამისთან, ეს აღწერა პირველყოფილი სიმშვილით როდი წარმოდგედება; წიგნში თამყოფელი მასალი თეატრის ისტორიკოსის ხელთაა შერჩეულ-სისტემატიზირებული, კრიტიკოსის განსჯითაა გაანალიზებული და მწერლური უნარით გადმოცემულიაღწერილი.

დ. ანთაძის მიერ გადმოცემული მასალა ნამდვილად მჭირფასია ქართული თეატრის სისტემატური მეცნიერული ისტორიისათვის. მჭირფასია როგორც დამოქმედა ადამიანისა, რომელიც დღეს სამართლიანად აღიარებული ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი უფემდებელია. დ. იმ მჭირლოდ ჯგუფის მონაწილეა, ვინც კოტე მარჯანიშვილის ირკველ დარაშეულმა ახალი სიცოცხლე მისცა მაჯამისუბტებულ ქართულ სცენას და შექმნა დღეს მოწინავე ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნება. დ. ანთაძემ, კოტე მარჯანიშვილის სკოლის ერთმა უფალსაწარმოებმა მოღვაწემ, სასარგებლო

წ ი ბ ნ ი

ქართული საბჭოთა

თეატრის წარსულზე

გიორგი ციციშვილი


ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი



ამოჩინილი ქართველი თეატრალური მოღვაწის, დ. ანთაძის, ახლანან გამოცემული წიგნი „დღემდე ახლო წარსულია“ ფრად მნიშვნელოვანი ნაშრომია ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების ისტორიის შესახებ. მემორარული სტილში დაწერილი ეს სქელტანიანი წიგნი მარტოდენ მოგონებათა კრებული როდია, — იგი ცოცხლად გადმოცემული, მდელვარებითა და სიყვარულით დაწერილი მატანავა ქართული საბჭოთა სცენიური ხელოვნების წრდაჩამოყალიბების რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესისა.

უანასწენლ წლებში გამოცემული ზოგიერთი თეატრალური მემორარებისგან განსხვავებით, ავტორმა თავისი წიგნი ობიექტურობის კვალთა წარმართა. იგი შეეცადა ყოფილიყო მთედგომილი მსაჯული

1 გამოცემულია „ხელოვნება“, 1963 წელი. ქ. თბილისი.



რეისორი რეს. სახალხო არტისტი დილო აბათაძე

ველებს ამავე უფოდ საინტერესო ავტორის მოგონებებში ჩვენი ფონის დამწერის მუშაობაზე, უ. ჩხეიძის, ს. ზაქარაიძის დებიუტზე და სხვა. — უკველევ ეს აუცილებლად გამოადგება ჩვენი თეატრის ისტორიკოსებს.

ახვევ კარგადა დახასიათებული ათაინა წლების ქუთაისი, მისი კულტურულ-თეატრალური ცხოვრებით, ნიჭიერი მოწვევლებითა და პედაგოგობით. ფრიად საურადადგება ავტორის ცნობებით რუს-ქართველთა გულგრილობაზე, მოწინავე რუს პედაგოგებზე და ქართველი ახალგაზრდობის ინტერესზე რუსული თეატრისა და ლიტერატურისადმი (ზანკოვეცკისი ურარნული დასის წარმატებაზე ქუთაისში, კომისარევესკაის და სხვა ცნობილ რუს მასობოთა ვასტროლებზე).

ავტორი ჩინებულად ახასიათებს სახალხო განათლების ცნობილი მოღვაწეების — ი. ოცხელის, ს. ხუნდაძის, მ. კელენჯერძის, პ. ცახელის ნათელ პიროვნებებს, მოწვევლებში მოქალაქეობრივი და პატრიოტული გზების ანთებისა და კულტურისა და მეცნიერებისადმი ინტერესის გამოწვევის იმ უნარს, რომელიც მათ ჰქონდათ. მოგონებებში გამოთქმულია მთელი რიგი საურადადგება აზრები ძველი სკოლის დადებითი ტრადიციებზე (რომელსაც ხშირად უმარტებულად და უმიზეზოდ ვკლავთ, სასკოლო მორალზე, ქუთაისის საკვირაო უნივერსიტეტზე, სხვადასხვა წრეებზე, გიმნაზიის ხელნაწერ ფურცლებზე და, რაოქმა უნდა, ქუთაისის კლასიკური და რეალური სასწავლებლების ცნობილ დამწერებზე, მათ რეპერტუარზე (დღემდე დაუზუსტებლად და გამოუვლენებლად), რაც ისოდნ საპირთა თეატრის ისტორიკოსის იტორიისათვის.

და, ანთად მრავალ უსამართლოდ მივიწყებულ სახელს გვახსენებს, მრავალი აწ დაიდ სახელოვანი ქართველი მოღვაწის (ვ. ანჯაფარიძე, უ. ჩხეიძე, შ. ოპიაშვიძე, ავ. ხარაჯა, ავ. ვასაძე, ი. აფხაიძე, დ. ბადერი, ნ. შუგელია და სხვ.) პირველ ნაბიჯებზე გვესაუბრება. კიბულებზე და ანთადის წიგნს და ტრადიციულ კიდევ რწმუნებები საქართველოს მეორე დედაქალაქის, ქუთაისის, გრანდიოზულ მონუმენტულობაში ახალი ქართველი ინტელექტუალის დაზრდა-დეკავაციისათვის.

წიგნის მეორე კაბეზე წარმოდგენილია ათაინა წლების ქუთაისის თეატრალური და კულტურული ცხოვრების კონფესიონალური სურათი. ამ დიდებულ ქართული ქალაქის მომავალი მემკვიდრე გვეჩვენებს ვერ აუცილს და ანთადის მოგონებში წარმოდგენილ მრავალ ვაჭრებსა და დედაებს. აქ კარგად მორანს თეატრალური კრიტიკის მახვილი თვალი. ამ მხრივ საურადადგება ნუცა ჩხეიძის, ვ. არაღინი-იშენლის და ალ. იმედაშვილის მიერ შემქმნილი რამდენიმე სცენიური სახის გარჩევა. ქუთაისის კულტურული ცხოვრების აწერაში მოხერხებულადაა ჩაწერილი ისტორიული სიტუაციის მტკიცეული დახასიათება, პირველი მსოფლიო ომის წინაღობისადმი და ომისწინადადლი მოლაშქურის ცხოვრება, რეალისტური დუღილის სურათები და, განსაკუთრებით, რეალისტის პირველი დღე ქუთაისში (ძველ მოხელეთა უფრესცადლობით, მათი უეცარი გადმოყრატებით) ახალი საზოგადოებრივი მოვლენებით. მშვენირადაა გადმოცემული ობოლის ახალგაზნისული უნივერსიტეტის ცხოვრება და მისი სკოლები პედაგოგების დაუწყვეტილი სახეები (ივ. ჯავახიშვილის, გრ. წერეთლის, დ. უნიანის და ზოგიერთის სცენა).

დიდი ადგილი ეთმობს მემორიებში პირველ ქართულ დამატულ სტუდიას ვ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ავტორი არ მსაუბრობდა მისი სტუდიის ისტორიის გადმოცემით და მტკად საუფუძლიანად. პიროვნების პიროვნების მიღებით იხილავს ვ. ჯავახიშვილის მუშაობის მეთოდსა და სტუდიას, მის პედაგოგიურ პრინციპებს. აქ და, ანთად მრავალგზის დასტურდება აზრს გამოქვეყნებს და, უფროდნ, სწრაფი კოლონიაციის აქტივს ჯავახიშვილის მუშაობისას და დავსლს. ავტორი არ ჩქარავს ჯავახიშვილის შეცდომებს (მარჯვ დეკავაციის), ვამცნობს სტუდიის დაზურვის მიზეზებს, მოდერნიზების პიესების ავტორს და იმამინდელი თეატრალური კრიტიკის მიმომხელვას ვცავდის. ეს მტკად მნიშვნელოვანი თეატრის ისტორიისათვის, რამდენადც სტუდიური ნაშრომს ჯავახიშვილის სტუდიებზე ჩვენს თეატრის (დღემდე) საბოლოო დღემდე არ დაწერილი (რაც უნდავე უთქვამდობა), და ამდენად, და, ანთად ამ უერთლი საკმის ღირსეული დამწერია. „მოგონებები“ თეატრის ისტორიის არა ერთ ასეთ ხარვეზს ავსებს და ეს

სამსახური გაუწია ქართული ეროვნული კულტურის ორი უდიდესი კერის — რუსთაველის სახელობის და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების შექმნას, მათი მთავარი ფორმირებისა და შემოქმედებითი ზრდის საშუალებად გამოიყენა.

და, ანთადის მოგონებების პირველი წიგნი ცხრა თავისაგან შედგება პირველი ომიანი თავი რეკლამულადმდე პერიოდს ეძება, ხელი დაწარჩნებ ხუთში გადმოცემული მოვლენები საშუაო ეტაპში ვითარდება და 1921-1928 წლებს მოიცავს. როგორც უკველი მემორიული თხზულებები, „მოგონებანი თანრიდან“ სარტყნილი წიგნიც ავტორის ბავშვობისა და ყრბობის წლებს აღწერილი იწყება. მაგრამ ბევრისაგან განსხვავებით, ეს წიგნისდა გაკეთებულა დიდი ტიპიტონ, საინტერესოდ, ლიტერატურული მიმწოდებლობით და საურადადღებო ცნობებს მოიცავს. მარტომოდენობით ინტერესი ახლავს, მაგალითად, ზემო-მირეთის სოფლის ვარძიის წარსულის გადმოცემას და საბერძნეთთან (კვიპროსის ეპარქიათან) მის ურთიერთობას; ძველი ზესტაფონისა და მისი ინტელიგენციის ცხოვრებისა და საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობის აღწერას.

ეს მთი უფრო საურადადგება, რომ საქართველოში გერაცყ არაა შესწავლილი ჩვენი კულტურის ადგილობრივი კერების — ძველ პიროვნისათა საქაქებისა და დაბების საინტერესო სულიერი ცხოვრება, ის საურადადგება საქმიანობა, რომელსაც რეალისტულადმდე პიროვნისდად ვანწობილი ქართველი ინტელიგენცია ხელმძღვანელობდა. ამ მხრივ, მემორიულ ლიტერატურას ძვირფასი მასალის მოწოდება შეუძლიან და და, ანთადის წიგნიც მდიდარია ასეთი მასალით. ავტორი სიყვარულით და ღირსებით მელვებებით მოგვითხრობს ზესტაფონის მუსიკალური ფოლკლორზე, მის ინტელიგენციურ და დიდად საურადადგება თეატრალურ წარსულზე. მართლაც, შემოხვევითი არ აძის ის გარემოება, რომ ამდენი თეატრალური მოღვაწე მოგვცა ზესტაფონში. როგორცაა ნუცა, უმანკა, დავით ჩხეიძეები, შლევა დამაშვიძე, ცაია აბრეგვილი, სერგა და ბებუტი ზაქარაიძეები, ვასო აბაშიძე, ვასო ურუშაძე, მ. მდიანი და სხვა (რომელთა ავტორი საქმიოდ ვრცელად იტება) — თვისებრივად მტკ-

კიდევ უფრო წარღის მისი როგორც ისტორიის წყაროს როლსა და მნიშვნელობას.

არაყალბე სანქცერესოა ქართველ მსახიობთა პროფესიონალური კავშირის ჩამოყალიბების ისტორია, თეატრის უსახარობისა და გაქირავების დოკუმენტალური აღწერა, დრამურეთა მუშაობა (ავტორის, ნაწილადევის, ავღაბრის, მუშათა ცენტრალური). ვრცელად და სანქცერესოდაა გადმოცემული ინტელიგენციის თავისნობით ქართული დრამატული თეატრის ჩამოყალიბება 1920 წელს და მისი პირველი ნაბიჯები. ავტორი კრიტიკული მთავადგომლობით არჩევს ქართული დრამათეატრის პირველ სექციას (გუგუნიდელინი, ირინეს ზედნიერება, „მსხვერპლი“, „უფერავნო მუდენი“, „ბერდო ზანაია“), იხილავს დამდგომლი რეისორების ნამუშევარს (მ. ქორტილი, ა. ფაღავა, ა. წუნუნავა ალ. ამბერლი), მოხერხებულად იყენებს იმდროინდელ რეცენზიებსა და კრიტიკულ წერილებს, რაც დოკუმენტალობასა და მეცნიერულ ღირსებას მატებს ნაშრომს. ავტორი სანქცერესო ცნობებს გვაწვდის იმდროინდელ დღედგათა თავისებურებაზე, თეატრალურ მხატვრობაზე, ავტორიულ შესრულებაზე. ყოველივე ეს სრულიად და ღრმად ვკვირვებს იმ კრიზისს, რომელიც იმყოფებოდა ქართული თეატრის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინდელი.

ქართული „ვისრამიანის“ მინიატურები ყველა შემთხვევაში შეიცავს ადამიანთა ფიგურებს; ისინი გადმოცემული არიან რომანის სიუჟეტით ნაკარნახევი სხვადასხვაგვარ სიტუაციებში, რაც ამა თუ იმ მოქმედებაშია გამახატული. მინიატურათა აღნაგობა, როგორც აღვნიშნეთ, სიღრმეში კი არ ვითარდება, არამედ ვერტიკალურად — ქვევიდან ზევით (ჩვენი ოსტატი მხოლოდ ასე აწრთუნებს); ამიტომაც ყოველი ფიგურა, ცალკეული ჯგუფი ან სხვადასხვაგვარი საგნები მუდამ ერთი ერთმანეთზეა მოთავსებული ისე, რომ ისინი არსად ერთმანეთს არ ფარავენ — როგორც ლ. ბინინი აღნიშნავს, „მთელ სცენას თითქმის ზევიდან დაეცქვრით, ხოლო თითოეული ფიგურა

წარმოდგენილია ხედვის ნორმალური წერტილით⁶. ფიგურათა სიბრტყეზე განლაგების ამგვარი პრინციპი კარგად ჩანს განასხილველი ხელნაწერის პირველ (ერთსადამივე სიბრტყეზე, ერთმანეთზე დაყენებული ფიგურები ფახფურ ჯორჯანელისა და იბაღლ მელოქ ვეზირისა), მესამე (ცხენებისა და კარვების ამგვარადვე წარმოდგენა), მეოთხე, მეცხრე და სხე. ილუსტრაციებში. ყველა ფიგურა, როგორც წესი ემორჩილება მინიატურის საერთო სიბრტყობრიობას; მხატვარს ვერ წარმოუდგენია, რომ შესაძლებელია მათი წინ წამოწევა ანდა პირიქით, სიღრმეში გადატანა, რაც საბოლოოდ იწვევს მათ ვერტიკალურად ერთმანეთზე განლაგებას. ზოგ მინიატურაში თითქმის მაინც შეინიშნება ფიგურების ერთმანეთის შემდეგ დაყენების ერთგვარი ცდა: ის. ცენტრალურ კარვებში წარმოდგენილ მფობართა ფიგურები მესამე მინიატურაში, ორ რიგად, ერთმანეთის შემდეგ დაყენებული ფიგურები დიდებულებისა მეოთხე მინიატურაში, განსაკუთრებით კი მეცხრამეტე ილუსტრაცია: აქ ზემო მარცხენა კუთხეში, მწკრივები ერთმანეთის ფარავს — მოჩანს წინ მდგომი რამდენიმე ფიგურა, შემდეგ ოდნავი შემაღლებით ფიგურათა თავები, მათ უკან კი, მხოლოდ მუხარადლები მომდგნენ რიგში წარმოდგენილ მფობრე-

ბისა. მაგრამ ეს მაინც ვერ ქმნის მრავალი პლანისა და სიღრმის შთაბეჭდილებას, რადგან ამ შემთხვევაშიც ფიგურები მინიატურის სიბრტყეზეა დაყენებული, კი არ არიან გადმოყვებული, არამედ სრული სიბრტყობრიობით, სიღრმეში განლაგებული კარგაშე. აქ მხოლოდ ერთი სიბრტყეა მფობრე დატანილი, რომლის დრისაც ერთმანეთით იფარებენ ფიგურები ის ცალკეული ჯგუფები.

მინიატურის საერთო სიბრტყობრიობით უნდა აიხსნას ისიც, რომ ფიგურათა ზომები არ განიცდიან ცვლილებებს ყურებლისაგან დაშორების მიხედვით (მესამე, მეოთხე, მეცხრამეტე მინიატურა). ზოგჯერ პირიქით ხდება: შედარებით შორს მდგომი ფიგურები გაკლებით დიდი მასშტაბისა ვიდრე ახლოს მდგომი (მეთრამეტე, ოცდამეოთხე მინიატურა). სრულიად პირობითია ადამიანთა და ტყარის მასშტაბის ურთიერთშეფარდება — ისინი ხშირად თანაბარი სიღრმისა არიან (მეორე, მეოცე მინიატურა), ხოლო იქ, სადაც საჭიროა სახლის აივანზე, კარებში ან სარკმელთან მდგომი ფიგურის დაყენება, მხატვარი ხელეფუნად ამცირებს შენობათა ზომებს, რითაც მთლიანად არღვევს საერთო პროპორციებს (ამის დაკვირვება თითქმის ყველა მინიატურაზე შესაძლებელი). განსაკუთრებით მინიატურა პერსონაჟები, ასევე გაშიორჩვევნი მოძრაობის ერთგვარი შეზღუდულობით (შეზოგილია ხელეფვის მოძრაობა, უძვარი და გახვეებულია მათი ტანსაცმელი); ფიგურის გადმოცემაში არ იგრძნობა მხატვრის განსაკუთრებული მიდგომა — ხშირად ის ისევეა შესრულებული, როგორც კომპოზიციის სხვა ელემენტი — არტიკულურული ნაგებობა, მუხები, ხეები და სხე, თუმცა ზოგ ილუსტრაციაში (მაგ., მეოთხე, მეცხრე, ოცდამეოთხე მინიატურა) შეინიშნება გაუხედავი ცდა ფიგურათა რაიმე განწყობილების გადმოცემისა (გამომეტყველების ან ხელების მოძრაობის შესვლით). ეს იმდენად მარტყადაა მინიშნებული, რომ მის შესახებ შეუძლებელია რამეს თქმა.

⁶ L. Nysson, Persian miniature Painting — ლონდონი. 1933, გვ. 5.

„ეფესისტყაოსნის“ ილუსტრაცია



მინიატურათა პერსონაჟები არცერთ შემთხვევაში არ არიან გადმოყვებული მკაცრად ფორნტალურად ან პროფილში. ყველგან — თუ ტანი ფორნტალურ პოზაშია, სახე აუცილებლად სამი მეოთხედით ჩანს, ხოლო ფეხები პროფილშია, ან იშვიათად, ქვემოთაა დახრილი (ერთგვარი ცდა მათი ასევე სამეოთხედში წარმოდგენისა.) ისეთ მინიატურებში კი, სადაც სიუჟეტის განვითარება, რომლის პერსონაჟთა ურთიერთ და-მოკიდებულებაშია გამოხატული და სადაც ფიგურები ხელეფვის მიხედვით არიან გამოსახული (ის. მწიფდებზე, მეშვიდე, მეცხრე, მეთრამეტე და სხვა მინიატურათა კომპოზიციები). გვხვდება ისეთი ილუსტრაციებიც, რომლის პერსონაჟები თითქმის საპეიალურადაა მაკურებლის საჩვენებლად დაყენებული მაგ., იმავე მეშვიდე მინიატურაზე და სხე...

მთლი მინიატურის სიბრტყობრიობას, ცხადია, უფრო შეესაბამება თავის წინიდან (ფასით) გამოსახვა, ვიდრე მისი სამეოთხედში დაყენება; ამიტომ ჩვენი ოსტატისათვის თითქო ასეთი პოზიცია უნდა ყოფილიყო უფრო სასურველი. მიუხედავად ამისა, მან თავი მაინც სამი-მეოთხედით წარმოგივ-

გინა, რამდენადაც სწორედ ასეთი მდგომარეობა იძლევა მოქმედებისა და გარემოსთან კავშირის შესაძლებლობას. ეს მოქმედება, რომ მხატვარს ყოველთვის შედეგელობაში ყავს მაცურებელი, რომლის წინაშეც იშლება მოქმედება; სახის ამგვარი მიზრუებით იგი ცდილობს ფიგურებისა და მაცურების ერთმანეთთან დაკავშირებას.

ქართული „ვისრამიანის“ ილუსტრაციებში წარმოდგენილი ფიგურები (ისევე, როგორც ყოველი საგანი) გარშემოვლებულია ნათელი, რბილად მიმდინარე კონტურით ისე, რომ მათი წაიჭიხება ყველა შემთხვევაში შესაძლებელი. ხშირად ეს კონტური არ ემთხვევა პირველდაწყებით მინახასს, რომლითაც მიწინაშეული უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ ფერის განლაგება, რადგან მხატვარი ძირითადი ტონის დადების შემდეგ დამატებით ავლებს გარშემომყრ კონტურს და შინაგანი ნახატის გადმოსაცემად არსებულ საზღვრს.

ძირითადი საზღვრი ყველა შემთხვევაში გადმოცემულია მეტად თავისუფალი ნახტით, რაც ფორმას გარკვეულ სიცხველვებს, განსაკუთრებულ თავისუფლებას ანიჭებს. ეს კარგად ჩანს „ვისრამიანის“ დაუმთავრებელ მინიატურებზე, სადაც თამამი, თანაც რამდენადმე სწრაფი ნახატი საკმაოდ ნათლად შემოწერს სხეულის ფორმას. ამ შემთხვევაში ფორმა ერთი მთლიანი, გულმოდგინე და უწყვეტი კონტურით გი არაა მკვეთრად შემოწერილი, არამედ მოლე და ერთმანეთში გადასული, თავისთავად მეტად თამამი საზღვრით, რაც გარკვეულ მოძრაობის შთაბეჭდილებას (ილუზიას) იძლევა. როგორც ჩანს, ჩვენი ხელნაწერის დამწერთებულისათვის მოვარია ფორმის გარეგნული კონტურის სასიათი, ნახატის ფართოდ გააზრება, ერთმანეთში გადასული სახის მეტი თავისუფლება.

ჩვენი მინიატურებში მეტად თავისებურ ფუნქციას ასრულებს საერთო ფერადოვნება. ამ ილუსტრაციათა პერსონაჟები, როგორც აღვნიშნეთ წმინდა მხატვრული საშუალებებით, შესაძლოა, ნაკლებად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ საბოლოოდ მაინც მთლიანობაში იკითხებიან (ამასთან სილამაზის თავისებური თავისთავად მეტად მძაფრი მგრძობილობით აიან წარმოდგენილი), რაც ზემოთხსენებულ მრავალ ფაქტორთან ერთად მიღწეულია ფერის საშუალებებით. ფიგურათა ტანსაცმელის ფერადოვნება მუდამ მაიორულია იგი განსაზღვრულია მეტწილად სხვადასხვა სიძლიერის (შეადარებთ ინტენსიური ან უფრო ჩამქარალი) ნარინჯისფერით, მუქი ცისფერით, ღია წყალნარევი მწვანეთი, ყავისფერით, ჩამქალი ოქროსფერით. ყოველივე ამას ემატება ცალკეულ დეტალთა გაცაცობლება ფერუზისფერით ან მოვარდისფრო-იასამინისფერით, რაც ასევე მრავალაა განხეული მთელ მინიატურებში (ჩამომაზე, საყვოლზე, ქამარზე, ქალის თავსაბურავზე და სხვ.).

ყოველი ფერი თანაბრად დატანილი მოცემულ სიბრტყეზე; ამ შემთხვევაში საერთოდ არ დგას ფერწერული ამოცანები, ფერთა თუნდაც ოდნავი ცვლილება გაღივებით ან ჩაჩრდილებით. საზგასამით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფერები აბასოდეს არ უპირისპირდება ერთმანეთს, პირიქით, მათ შორის მუდამ იგრძობა გარკვეული თანაფარდობა. ამგვარად წარმოდგენილი ფერადოვანი ლაქები, თავისებურად აცოცხლებს მთელ მინიატურას, ისინი ყველა შემთხვევაში ნათლად, ამას-



XVII სულ „ვისრამის“ ილუსტრაცია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან.

თან მთლიანობაში იკითხებიან ასევე ერთფეროვან, ხშირად მეტად ლირიული ემოციით წარმოდგენილ ფონზე. შეუდარებლად მიმქარალი, თბილი და გამჭვირვალე ყოველი ცალკე აღებული ტონი, რომელიც საბოლოოდ მაქსიმალურად ემორჩილება მინიატურის საერთო ტონალურ გამას. ქართული „ვისრამიანის“ მინიატურებში ფერადოვნების მხრივ, მუდამ ერთი საერთო განწყობაა, რაც ძირითადად მოვარდისფრო-იასამინისფერით, უფრო იშვიათად მოყვითალო ან თბილი აფურისფერითაა განსაზღვრული.

ქართული „ვისრამიანის“ მინიატურათა კომპოზიციური აგება, მათი საერთო გააზრება ძირითადად სპარსულ ხელნაწერთა ილუსტრაციების ანალოგიითაა გადაწყვეტილი. ირანულ სამინიატურო ხელოვნებაში, როგორც ცნობილია, ყოველმხრივ უგულვებლყოფილია სივრცობრივი პრობლემები (გველის-ხმობი აზრობრივად სხვადასხვა პლანების ხალჩისებურ განფენას; ფიგურების ან კომპოზიციის სხვადასხვა დეტალთა განაწილებას ფურცლის სიბრტყეზე ქვეყიდან ზევით და ა. შ.). ისინი ყველა შემთხვევაში გამოირჩევიან ფერთა განსაკუთრებული სიხვედრით; ამასთან, ერთნაირად ახასიათებთ სხვადასხვა ფერისა და ტონის ლაქათა უწყსრივო გაფანტვა, რაც



მთელ მინიატურაში ქმნის ხაზგასმულ მოძრაობას. ფურცლის აოუზე (ხშირად თვით ხელნაწერის ტექსტში) გაშლილი მინიატურები მუდამ ხალჩისებრი ნახატის შობაგებულებას იძლევა — იგი პირობითია, როგორც კომპოზიციურად, ისე ფერის მხრივ.

აღმოსავლელ მინიატურისტთა ოსტატობას ძირითადად ილუსტრაციათა საერთო დეკორატიულობა, ნახატის უკიდურესად სინატიზადა და სრულყოფილი კოლორითი ავლენს. მინიატურა არ ცნობს პერსპექტივას — პირობით-სივრცობრივი პლანებით ყოველგვარი შემცირების გარეშე ვერტიკალურადაა განლაგებული, მასში მონადადაც არ შეიმჩნევა შუქ-ჩრდილი ან რაიმე ნიუსტობითი მიდგილირება; მაგრამ სიბრტყობრიობას ყველაზე მეტად შეესაბამებოდა კომპოზიციის ერთპლანოვანი შეფეროლობის მკვეთრი დეკორატიულობა. ამიტომაც სწორედ ფერაღივანი პარონია, მიუხედავად ფერთა განსაკუთრებული სიუხვისა, განასაზღვრავდა აღმოსავლური მინიატურის ფერწერულ ხასიათს. როგორც ვხედავთ, ძირითად მომენტებში „ვიკრამია-ნის“ მინიატურებიც ამგვარადაა გადაწყვეტილი, მაგრამ მათი დეტალიზური შედარებისას ჩნდება ის განსხვავება, ჩვენი ოსტატის ის თითქოსდა სხვა დამოკიდებულება, რაც ირანულ მინიატურებთან უშუალო კავშირის გარდა შედარებით სხვაგვარ ტრადიციებზეც უნდა მეტყველებდეს. საპირველ ხელნაწერთა ილუსტრაციებში მხოლოდ გამონაკლისი სახით გვხვდება ცენტრალური, აბსტან ყოველმხრივ გაწონასწორებული კომპოზიციები. ირანული ოსტატი თითქოსდა შეგნებულად ერიდება ამგვარ გადაწყვეტას, იქაც კი, სადაც ეს შესაძლებელია (როგორც მაგ., ჩვენი მინიატურებში — სასახლის კარზე გამართული ლხინის, სამეფო თათბირებისა და სხვა ამგვარი ხასიათის სცენებში). ამას მკაფიო მაგალითს იძლევა ერთკაქში დაცული ნიუზამის „ხოსროშოშინიანის“ ერთ-ერთი ილუსტრაცია, რომელიც ხოსროშთან რუშის სულთანის ჩამოსვლას წარმოგვჩვენებს (ერთკაქის ფონი № 314). მინიატურის შუაში მაღალ ტახტზე მჯდომარე ხოსროს ფიგურა თითქოს გამოყოფს კომპოზიციის ცენტრალურ ღერძს, მაგრამ მის გარშემო, კომპოზიციის სხვადასხვა მხარეს ფიგურები განსხვავებული რაოდენობით არიან წარმოდგენილი; ასევე განსხვავებულია მათი პოზიცია. ურთიერთდამოკიდებულება რაც ვერ ქმნის კომპოზიციის ფრთების თანაფარდობას. მინიატურის პერსონაჟები თითქოს ტალღისებრ, თავისებური მოძრაობით უკავშირდებიან ერთმანეთს (ეს ყოველივე შემდეგ დაზატებითაა ხაზგასმული მათი სამოსლების ფერადიღებებით). როგორც ჩანს, მინიატურათვის ამ შემთხვევაში უფრო არსებითია მოძრაობის მომენტი, ვიდრე კომპოზიციის მკაფიო ცენტრალობა, მისი საერთო წონასწორობის ყოველმხრივი დაცვა.

ამ მინიატურის სრული ანალოგიითაა გადაწყვეტილი ნიუზამის „ხამსუ“ XVI საუკუნის ილუსტრაციები (ბრიტანეთის მუზეუმი) ⁶, 1535 წლით დათარიღებული აჰაფისის „ღივანი“ (კერძო კოლექცია) ⁷, XVII საუკ. შუა წლებში დასურათებული ფირდუსის „შანამე“ (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან), და პოპისა და შუღის მიერ გამოქვეყნებული

XVII საუკუნის ორი მინიატურა „შანამე“ დასურათებული ხელნაწერიდან და სხვ.

ცხადია, ჩვენ არაფერს ვამბობთ ბატალური სიუჟეტის შემცველ დინამიკულ ეპიზოდებზე ან ისეთ მინიატურებზე, სადაც ნაღობის სცენებია გამომკვეთი (მაგ., ამგვარი ერთ-ერთი კაქში დაცული ნიუზამის პოემის „ისქანდერის დიდების წიგნის“ ილუსტრაციები — XVII საუკ. დამდეგი). ასეთ შემთხვევაში გაცილებით ძლიერადაა ხაზგასმული მოძრაობის მომენტი; კომპოზიცია არ იწყება არც მოთვარდება ერთ რომელიმე გარკვეულ ადგილას, არ არის გამოყოფილი ერთიანი ცენტრი, მთელი მინიატურა მხოლოდ პირობითადაა გაწონასწორებული რამდენიმე ჯგუფად მოცემულ პერსონაჟთა ურთიერთკავშირით. ეს ერთი შესედეით უწყსრივად გაფანტული, ფერადივანი ლაქები, რომლებიც სინამდვილეში, უფრო ხშირად, წინასწარ განსაზღვრულ სქემასა და მორიგობაში, მთელ მინიატურაში ქმნის ხაზგასმულ მოძრაობას — გარკვეულ სიხვედრებს. (ინტენსიური ტონების კონტრასტული დაპირისპირება — მაგ., ერთ ხაზზე ერთმანეთის ჩამოცდებიან თაა წარმოდგენილი ლურჯი და ყვითელი, ლურჯი და წითელი, ისევე ლურჯი და წითელი).

ანალოგიური სიუჟეტს წარმოგივადგენს ჩვენი ხელნაწერის ოცდამეხუთე ილუსტრაცია („ჩამინის ნადირობა“) თუმცა იგი საერთო აღნაგობით გვაკონფხს აქ განხილულ ირანულ მინიატურას, მათ შორის მანც შეინიშნება ძირეული განსხვავება. ქართული „ვირამიანის“ მინიატურაზე რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ჯგუფია გადმოცემული, ერთგვაროვანა მათი საერთო გადაწყვეტა (ვევლისმიზით გვერდის ვერტიკალურ ფიგურის ან კომპოზიციის ანკონტრასტულ დეტალთა ხალიჩისებრ განლაგებას), მაგრამ ამავე დროს ყველა ეს ფიგურა კომპოზიციით განაწილებულია წინასწარ განსაზღვრული თანაფარდობით: მარცხენა მოცემულ ორ მხედარს საწინააღმდეგო მხარეს ისევე ამგვარადვე წარმოდგენილი ორი ფიგურა პასუხობს, იგივე მეთოდება კომპოზიციის ზედა და ქვედა კუთხეებში. ამ შობაგებულებას თავისებურად აძლიერებს მთელ მინიატურაში გაბატონებული საერთო კოლორითი, ფერთა გარკვეული შეთანხმება, რაც საბოლოოდ მისი წონასწორობის ყოველმხრივ დაცვას, მინიატურის მთლიანობაში აღქმას ემსახურება. როგორც ვხედავთ ირანულ მინიატურათა წინასწარ განსაზღვრულ, ფიგურებისა და მათი ფერადობის უწყსრივ გაფანტვას ჩვენ შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრული თანაფარდობა უპირისპირდება — ეს კი, ილუსტრაციათა მიმართ ხელნაწერის დამსურათებელთა სხვადასხვაგვარ მიდგილზე უნდა მეტყველებდეს.

ქართული „ვირამიანის“ მინიატურათა ფონად წარმოდგენილი პეიზაჟის თუ არქიტექტურულ ნაგებობათა ხასიათი, მათი საერთო გააზრება ჩვეულებრივია მთელი შუასაუკუნეების ხელოვნებისათვის (მათ შორის ქართულ ხელოვნებისათვის). მაგრამ შენობათა აქ განხილული ტიპი და ამგვარი სახის პეიზაჟური გარემო, მეტად უმნიშვნელო განსხვავებით, გვხვდება მხოლოდ გვიანი პერიოდის სპარსულ და მისი ხელოვნების უშუალო გავლენით შექმნილ სხვადასხვა ქვეყნის მინიატურებში (ინდურ, თურქულ, მათ შორის გვიანფეოდალური ხანის ქართულ მინიატურებში).

⁶ Pope, a survey af Persiau art, V, 1938 ტაბულა 896.
⁷ იქვე, ტაბულა 879.

XVI საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, სპარსულ ხელნაწერთა ილუსტრაციებში თანდათან ჩნდება არქიტექტურულ ნაგებობათა ამგვარი დანაწევრება, ამგვარადვეა დამტკიცებული აგურის წყობა, კედლის მთელ სიბრტყეზე გაბნეული სარკმლები, შენობათა საერთო გადახურვა, მისი დაფუძვლილი კარნაჟები (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდი № 65 — ფურცელი 49; იმავე ფონდის № 105 ხელნაწერი — ფურცელი 97 და სხვ.). ხოლო ციხის გულავნის ტიპი თითქმის უცვლელად გვხვდება მუჰამედ ყასიმის მიერ XVIII საუკუნის დამდეგს გადაწერილ „ალამარა ი ნადირის“ პირველი წიგნის მინიატურებში (ლენინგრადის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის D 430 კოლექცია).

გვიანიანულ მინიატურებში, ასევე მრავლად გვხვდება შენობის ჭრილობი ჩვენება — როგორც ეს ჩვენი ხელნაწერის რამდენიმე ილუსტრაციაშია (ერთბუნების მომდგომი ეპიზოდების ჩვენების მიზნით, სასურათო სიბრტყის პირობებით დაყოფა ისე, რომ ერთდროულად ნაჩვენები იქნას შენობის როგორც ინტერიერი, ისე მისი გარე სივრცე). მაგ., ამგვარი ხერხი მეტად უსტატურადაა გამოყენებული „შაჰნამე“ ისპაჰურის სკოლის რამდენიმე მინიატურაზე (XVII საუკ. შორეო ნახევარი) ⁸.

XVII საუკ. სუფიელებმა მხატვრობამ ლანდშაფტის მხატვრულ დახასიათებაში შემოიტანა არსებითი განსხვავება: უფრო მეტად ძლიერდება პირობითობის მომენტი — სქემატიკური და ერთგვარად მონოტონური პეიზაჟი, მხოლოდ იშვიათად გვხვდება ცალკეული ხეები, მიწფრის უსწორო ზოლზე გაბნეული მწირი მცენარეები, გაკიცლებით მოძრავია მიწის სიბრტყეები, მკვეთრად გამოიყოფა მათი ძირითადი გარემოებური კონტური, სადაც ასეთივე მკვეთრი ნახვებითა აღნიშნული მათი დანაკრები.

ჩვენი ხელნაწერის ილუსტრაციათა პეიზაჟური ფონი სწორედ ამ სკოლის მხატვრობასთანაა დაკავშირებული; თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მისი ცალკეული ელემენტები წინა ეპოქის მინიატურებთანაც პოულობს ერთგვარ ანალოგიებს (გველისსმობთ ადრეული ხანიდან აღებული ტრადიციულ სქემებს, რომლებიც თავისებურად იქნა გამოყენებული გვიანი XVII საუკ. და XVIII საუკ. დამდეგის ირანულ სამინიატურო ხელოვნებაში). ჩვენს მინიატურებთან მიმართებაში მეტად საინტერესო სურათს გვაძლევს მუჰამედ ყასიმის „ალამარა ი ნადირი“, რომლის პირველი წიგნიც 1752-53 წ. წ. გადაწერილი. ხელნაწერში დაცული 44 მინიატურა ჩვენთვის იმითაცაა საინტერესო, რომ მათში სრულიად არ იგრძნობა XVII-XVIII საუკუნეთა ირანული მინიატურებისათვის დამახასიათებელი ვერპოლი ხელოვნების გავლენა; უფრო ზუსტად — იგი ირანული სამინიატურო ხელოვნების იმ ხაზს აგრძელებს, რომელიც თავისებურად მიიგრებს წინა ეპოქის მხატვრულ მიღწევებს. ამ მინიატურათა საერთო კომპოზიციური გადაწყვეტა, ძირითადად კი მათი პეიზაჟური ფონი, ზუსტ ანალოგიას პოულობს ქართულ „ვისრამიანის“ მინიატურებთან. მისი მასივები აქაც დეკორატიული და ხაზობრივია; ერთი სიძლიერის კონტური მთლიანად შემოწირს უსწორო ბორ-

ცვებს, რომელთა დანაკრებზეც გამოყოფილია ძალზე სქემატური ნახატები. მინდვრის მთელ სიბრტყეზე გაბნეული მწირი მცენარეები მხოლოდ რამდენიმე ხაზითა აღნიშნული. აქ ყველაფერი იგრძნობა წინა ხანის ძველთაგან ოსტატთა გულმოდგინება, რომლებიც დასაკუთრებულ სიზუსტით, ყოველგვარი წვრილობების გაცივთ გადმოსცივდნენ ამ მცირე ზომის მცენარეებსა თუ მინდვრის სხვადასხვა ფერის ყვავილებს.

ჩვენი ხელნაწერის მინიატურებში წარმოდგენილი ფიგურათა შესრულების მანერის, მისი საერთო სტილის გაოსახვინად, საჭიროა ისევ ირანულ და ირანიზებული ქართულ ხელნაწერებს მივმართო.

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში მრავალადა დაცული ჩვენს მინიატურებთან ქრონოლოგიურად ახლოს მდგომი, დასურათებული ირანულ ხელნაწერები, რომლებთანაც აქ მხოლოდ რამდენიმეზე განიხილეთ (XVII ს. შუა წლები და დასურათებული „შაჰნამე“ — № 65, მუჰამედ ყასიმის „ალამარა ი ნადირი“ XVIII ს. დამდეგი, ლენინგრადის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტთან).

ამ ხალხნაწერთა ილუსტრაციები პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ფიგურათა ხაზგასმული აქცენტრირებით (ისინი ყველა შემთხვევაში დიდი ზომებით არიან წარმოდგენილი და მოიცავენ კადრის მთელ არეს; ამასთან მოქმედება უშუალოდ ქვედა ჩარჩოდან იწყება. მხატვარი მას აღიქვამს, როგორც წინა პლანს, რაც ასევე ხელს უწყობს ფიგურების გამოყოფას), და არა მთავარია, ნახატი გათვარჯილებული სიწმინდის მიუხედავად ამ შემთხვევაშიც შედარებით თავისუფალი, უფრო ძალდაუტანებელი და თამამია (ამგვარი შთაბეჭდილება ძირითადად მიღწეულია შინაგანი ნახატის თავისუფალი, გაცილებით მსუბუქი, მოქნილი ხაზებით); ჩვენი ხელნაწერის დასურათებელიც ამგვარადაა ნახატი იყენებს, ამ მხრივ მისი მინიატურა სწორედ ამ ეპოქის ძეგლია, თუმცა შემოთავაზებული ამ მთ მსგავს ირანულ ხელნაწერებზე მაინც არაა უშუალოდ დამოკიდებული.

„ვისრამიანის“ დამსურათებელი იყენებს იკონოგრაფიულად გამორეზულ ეფეტებს (მაგ., ჯოხზე დაყრდნობილი ფიგურა — მეათე, მეათისმეტე მინიატურაზე, რომლის საერთო პოზა, დაყენება მთლიანად ირანული ხელოვნებიდანაა აღებული — მაგ., № 65 ხელნაწერის 526-ე ფურცელი და სხვ.), რომლებიც ხშირად ბოლომდე არ არის სწორად გაგებული და ისეა გამოყენებული; ზოგ შემთხვევაში იკონოგრაფიულ დეტლთა ამგვარ გამეორება ცვლის ჩვენი ოსტატის საკუთარი დაკვირვებაში, რომელიც მეტად გულმოდგინედ და დაბალი ოსტატობითაა შესრულებული, მაგრამ გამოირჩევა გარკვეული გამოშხაპლობით (მაგ., ჯოხზე დაყრდნობილი ფიგურა მეათე, მეათისმეტე მინიატურაზე; დიონაშემოყრილი ქალის ფიგურა მეათე მინიატურაზე; ვისის, რამინისა და ძიბის ფიგურები მეექვსე მინიატურაზე და სხვ.).

ქართულ „ვისრამიანის“ ილუსტრაციებში სიერციხობრივ პრობლემათა უგულვებლყოფასთან ერთად, კომპოზიციის საერთო გადაწყვეტაში იგრძნობა მეტი თავისუფლება, და რაც მთავარია, არ გავტყვ სხეთი მკაცრი დაქვემდებარება ირანული მინიატურებზე, როგორც შეინიშნება დაახლოებით ამავე დროის ირანიზებულ ქართულ ხელნაწერებში (გველის-

⁸ Pope, დასახ. ნაწილობა, V, ტაბულა 922.



ხმობთ XVII საუკ. გადაწერილ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს H 2074-ის მინიატურები, S 5006 — ხელნაწერის მინიატურათა პირველ ჯგუფს⁹. მაგალითისთვის ერთმანეთს შედარებოთ მხედართა გამოსახულებანი ორივე ხელნაწერისა და ჩვენი ხელნაწერის მინიატურებში. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებში (მხოლოდ S 5006-ის პირველი ჯგუფი და H 2074) წარმოდგენილი ცხენების ზუსტი ნახატი უადრესად გახვედრულს ხდის ამ ფიგურებს; ფიგურათა ამგვარი სხისათი კარგად ჩანს, როგორც მათ პოზებში (თითქოსდა ტრაფარეტული, ერთი ნიშნით შექმნილი პოზები), ისე ფორმათა საერთო ნახატში, რაც საბოლოოდ საერთო გარინდებებს, მოძრაობის ერთგვარ შერღვეულობას იძლევა; მაშინ, როცა „ვისრამიანის“ მინიატურათა ცხენების ფიგურების ექნებ ნაკლებად არსულყოფილი ნახატით გვაძლევს იმ მრავალფეროვნებას, ნახატის იმ დინამიკობას (ეს აგრეთვე გამოხატულია ტანის, ფეხების მოძრაობის დიფერენციაშიც), რაც ხელს უწყობს ზოგჯერ თვალისთვის შეუმჩნეველ საერთო კომპოზიციის თავისუფალ გადაწყვეტას.

იგივე თავისუფლება გაპირობებულია უფრო ფართო, უფრო ძალდატანებული ნახატით (მხოლოდ პირობითად — რა თქმა უნდა შემოდგომისხვედრულ ხელნაწერებთან „ვეფხისტყაოსნის“ — შედარებით). ჩვენს ხელნაწერში არ გვაქვს ფორმათა ის ზუსტი, გულმოდგინე დამუშავება, ის მაქსიმალური დეტალიზაცია, რაც ასე დამახასიათებელია ირანულურულ ქართულ ხელნაწერთა ერთი ჯგუფის ილუსტრაციებისთვის. ამ მხრივ აგრეთვე საკულისხმია მათი შესრულების მანერის ერთმანეთთან შედარება (კონტურის უწყვეტ დინება — ის ყველა შემთხვევაში ნათლად იკითხება და თითოეულ ქმნის კვლადიდსგან ან ხისგან გამოჭრილი ფორმას — ერთ შემთხვევაში (S 5006 — პირველი ჯგუფი; H 2074), ხოლო მეორეგან თავისუფალი ნახატი, — ნახატი რომელიც ზოგიერთ ადგილებში სრულიადაც არ ჩანს, ძალზე ხშირად ის ფერით იფარება; აქვდა მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას შედარებითი ფერწერითობა, რაც ასევე ხელს უწყობს მთავარი მხედრობის, მათ თავისუფალ გადაწყვეტას (მაგ. მეცხრამეტე მინიატურაზე მოცემული ცხენების სხვადასხვა სიძლიერისა და ფერის ლაქებით წარმოდგენის ერთგვარი ცხდა).

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული „ვისრამიანის“ ილუსტრაციებში მოცემულ ფიგურათა მოძრაობა და აქედან გამომდინარე ფორმათა გარკვეული ნახატი შედგება ცოცხალი, უშუალო დაკვირვებისა — თვით რეალურად განცდილი მოძრაობის ხასიათისა. მართალია ყოველივე ეს ჩვენი ოსტატის ნაწარმოებში პირობითად აისახა, მაგრამ საკმაოდ გამოძახებულბობა და დამაჯერებლობით (ვისის ფიგურა მეთვე მინიატურაზე; ცხენი, რომელიც ბალასს ძოვს, ოცდამეერთე მინიატურაზე და სხვ.) ეს თავისუფლება (ვიმორებით ძალზე შედარებითი, და რაც დამახასიათებელია ძველებში სრულიად გარკვეული კავშირისათვის) შეიძლება ავსხანა იმ განსხვავებით რომელიც ცხადად შეინიშნება ისეთ ადრეულ ხელნაწერში, რო-

გორიყა A 65-ის მინიატურები (1188 წლის ქართული ხელნაწერი — „ასტრონომიული ტრაქტატი“), მათი შედარებისას ირანულ ხელნაწერთა ილუსტრაციებთან¹⁰. ორთავი შემთხვევაში (ამ ადრეულ ძეგლებში და ჩვენთან) მიუხედავად იმისა, რომ მათ მხატვრული მიდგომა საერთო აქვთ ეს განსხვავება სახეობით აკარა.

„ვეფხისტყაოსნის“ შემთხმისხვედრულ ხელნაწერთა შემსრულებლებს, როგორც ჩანს, გაკლლი უნდა ჰქონდეთ საკუთალური სწავლება, მათ სრულყოფილად აქვთ ათვისებული სა-მინიატურო ხელოვნების ტექნიკა და ამდენად მათი მინიატურებიც გამოირჩევა შესრულების მაღალი დინით; მაგრამ ამასთან ერთად, ცნობილია, რომ ოსტატურ შესრულებას არასოდეს არ შეუძლია შეცვალოს მხატვრის უშუალო ადქმის, ფანტაზიის, განცდის უნარი. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი, როგორც ადვინშით მოკლებული არიან ამგვარ თვისებებს, ამტომაცაა მათი ნამუშევრები წმრალი და უსიციცლო (ეს განსაკუთრებით S 5006 ხელნაწერის პირველი ჯგუფის მინიატურებზე ითქმის) — უფრო მეტიც ხშირად მათ თითქოსდა მექანიკურად გადმოაქვთ ირანული მინიატურებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სქემები ისე, რომ ახალ, არცერთ შემთხვევაში არ ინარჩუნებენ მათი გაღალახვის ტენდენციას.

ჩვენი მინიატურების შემსრულებელი, რომელიც შესაძლოა ნაკლებად ფლობდა ამ ოსტატთა პროფესიულ ჩვევებს, უფრო მეტი უშუალობით, მახვილი თვალით, თავისებური დაკვირვებით გამოირჩევა, რის გამოც ნამუშევრით სარგებლობის დროსაც კი ატარებს თვითმოყოფადობის ნიშანს. ამდენად „ვეფხისტყაოსნის“ აქ მოხსენებულ ილუსტრაციებთან შედარებით მისი მინიატურები უფრო საინტერესო მხატვრულ მოვლენას წარმოადგენს.

ქართული „ვისრამიანის“ დამსურათების შემოქმედება „მოწმობს იმას, რომ ხელოვნების უცხოური ფორმებისა და უცხოური მხატვრული გემოვნების შემოჭრას, დამსურათის მიერ ფორმათა „ისლამიზაციის“ მოთხოვნას ეღობებოდა ორგანულად გაზრდილი და განვითარებული ქართველი ოსტატი. იმ არქიტექტურული ჯგუფის შენიშვნაც კი (ჩვენ შემთხვევაში — ილუსტრაციები ი. ხ.), რომელთაც ირანული გავლენის კვალი აჩნია, არსებითად თავისი საკუთრივი ნაციონალური ფორმებითაა წარმოდგენილი, რომლის გარეშე საერთოდ არ ასე-ბობს არც მხატვრულად დასრულებული და არც უნრალიდ მხატვრული ნაწარმოები. ქართველი ხუროთმოძღვარი (ჩვენ შემთხვევაში — ხელნაწერის დამსურათებელი ი. ხ.) განურჩევლად კი არ თვლისებდა ამა თუ იმ ტექნიკურ შესაძლებლობებს და ახალ ხერხებს, არამუე არჩევდა მისთვის ხელმისაწვდომი მასალიდან მხოლოდ იმას, რაც შეესაბამებოდა მის საკუთარ გარკვეულ მხატვრულ ამოცანებს, მოთხოვნილებებსა და შეხედრებებს¹¹.

¹⁰ ვ. ალიბეგაშვილი, სამუჯლო საუკუნეების ორი ასტრონომიული ტრაქტატის ილუსტრაციები: საქართველო. სსრ მეცნ. აკადემიის შიამბე, ტ. XII, № 6, 1961.

¹¹ Г. Н. Чубинашвили, Иранские влияния в памятниках архитектуры Грузии. დასახ. კრებულ გვ. 260.

⁹ შ. ამირანაშვილი, შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ძველ ქართულ მხატვრობაში: ენციკლ. შიამბე, ტომი III. 1938.

მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედება

მერი სირაძე

ლენინის რაიონის მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების
ათავალეიტერება



არბაზში სამო პანგები იღვრება. გასმის ნაყნობი მე-
ლოდები, სიმღერები... ერთმანეთს ცვლიან გუნდები და
ინდივიდუალური შემსრულებლები, მხატვრული კითხვის
ნორი ოსტატები და მოცეკვავნი. ისინი აქ სკოლის
მერგებიდან მოსულან, დღეავე პატარები, ჯერ ხომ ზე-
ლოვნების მომცრო ბილიებს მიყვებიან... ვინ იცის, ეს ბილიებია
რამდენი მათგანისათვის დღი გზის დასაწყისია, რამდენი მათგანი
ეწიარება მომავალში ქართულ სცენას, რამდენს დავუყრავთ ტაშს
აღტაცებით, ეს მომავალი...

ახლა კი დავუბრუნდეთ იმ დარბაზს, რომელიც ახალგაზრდებს
დაუყურიათ, დღეს მათი მიზანი, მოსწარფება და სურვილი ერთია —
ასახლონ მშობლიური სკოლა, ის ხელმძღვანელები, რომლებიც მათ
ცმპარებთან პირველი ნაბიჯების გადადგმაში.

ლენინის რაიონის მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების
ათავალეიტერებაზე, რომელიც პლებანოვის სახელობის კლუბში ჩა-



ო. ცხადაცილი და ნ. ბერეკუაძე სპექტაკლში „ივანეან რა ქმნა“
(მე-4 სკოლა)

ტარდა, დაახლოებით ოცმა სკოლამ მიიღო მონაწილეობა. რამდე-
ნიმ მათგანი შემდეგ დამსახურებულად წარსდგა საქალაქო დათვა-
ლიერებაზეც.

დარბაზში გაისმის კუმზუბრიძის „ცა-ფორუ, ხმელეთ-ურმუხ-
ტო“. მღერის მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლეები. მათვე შეასრუ-
ლეს შავერზაშვილის „პარტია“, ა. მაკავარიანის „ტემ მოისხა ფო-
თოლი“ და სხვ. გუნდმა, რომელსაც ხელმძღვანელობენ ა. მესხიძე და
აფიოდგი, სარაიონო დთავალიერებაზე მაღალი შეფასება დაიმსა-
ხურა და საქალაქო დათვალიერებაში მონაწილეობის უფლება მოა-
პოვა. ყარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამავე სკოლის მუსიკალურმა
გუნდმა, რომელშიც მხ მოსწავლეთა გაერთიანებული. ამთაგან ბევრი
უკვე დამწეები კომპოზიტორია. მოსწავლეებს თამაშ ჯორბენაძეს
და გურამ ლომთაძეს აქვთ საკუთარი კომპოზიციები. მსმენელთა
მონონება დაიმსახურეს ვოკალისტებმა: მილორდადამ, პავლაშვილ-
მა და ლომთაძემ, ხოლო მოცეკვავებმა საპარიზო აფილი დაი-
კავეს „აღსანიშნავია, რომ მე-9 სკოლის მოსწავლეები ხშირად ატა-
რებენ დაბურულ და ღია კონცერტებს, ერთ-ერთი ასეთი კონცერტი
ჩაატარეს შშ კომისრის სახ. ქარხანაში, რითაც ქარხნის მუშათა დი-
დი მაღლობა დაიმსახურეს.

უთუოდ ქების ღირსია მე-9 საშ. სკოლა (მხატვრ. ხელმძღვანელი
ვ. მარაძე). იგი უკვედღისი მონიწივეთა რიგებშია. დასამახსოვრებ-
ბელი იყო ამ სკოლის მოსწავლეების: აღ. გაბიაშვილის მიერ შეს-
რულებული „უნდაი თუ არა რუსებს ომი“, გ. ახუთაძის ესპანური
და მექსიკური სიმღერები, და. იაშვილის „აღლი ნიავი“, V კლასელი
ირინა ხარაძე, რომელმაც შეასრულა შოპენის — „მეფის მეზადე“,
„სურვილი“ და სხვ. ასევე თავი იჩინაღეს მოსწავლეებმა თ. არტვა-
ძემ, ა ფიციკოვიმ და ი. ზოლდიფოვამ, რომელთაც შეასრულეს
ბ. დასკინის სეტერი „მამა, დედა, დირექტორი და მე“.

მოწონებით სარგებლობს ამავე სკოლის გუნდი, რომელშიც გაერთიანებულია 70 მოსწავლე. გუნდი სულ ორი წელია რაც ჩამოყალიბდა, მაგრამ რეპერტუარის მრავალფეროვნებით ბევრჯერ მოუხიბლავს მკურნებელი, მოსწავლეები ხშირად მართავენ კონცერტებს პლენარის სახ. კლუბში, ელექტროტექნიკურ კვლევით ინსტიტუტში და სხვ. მომავალში მათ გადაწყვეტილი აქვთ ჩაატარონ კონცერტი სამხედრო კლუბში.

სტენაზე მე-10 საშუალო სკოლის სიმღერის გუნდი (ხელმძღვანელი ბერძენი) მოსწავლეები ასრულებენ „სიმღერას პარტაზე“, „კუხასთან ერთად“ და სხვ.

გუნდი მოცეკვაეთა ჯგუფში შეყვალა. ცეკვავენ პატარები, ლამაზად, მოხდენილად, მათი დახვეწილი ილითები მკურნებელში აღტაცების ღმობის იწვევს, ამავე სკოლის პირველმა კლასელმა მანანა ბერიძემ შეასრულა ლ. იაშვილის „კრიტიკიკიკი“, მკურნებელმა ერთსულღვანი ტაძით დააჯილდოვა იგი, ხოლო ეთერიმ — უმაღლესი შეფასებით.

საერთო მოწონება დამსახურა მე-7 საშუალო სკოლის გუნდმა და ხალხურ საკრავთა ორესტრამა, რომლის შემსრულებლები არიან: სხირტლაძე, კალმახელიძე, კირვალიძე, გაწინძე.

ჩაიკოვსკის ნაწარმოებების ნორჩ შემსრულებელთა დასკვნით კონცერტზე, რომელიც ხელოვნების მუსიკათა სახლში გაიმართა, წარმატებით გამოვიდნენ მე-7 საშუალო სკოლის ნორჩი მუსიკოსები: მანანა კვიციანი, ავთანდილ ტრაპაძე და ნ. იაშვილი. კარგად მუშაობს ამავე სკოლის კორეოგრაფიული წრე (ხელ. ა. ფაღვლინიშვილი). მოსწავლეებმა მოხდენილად შეასრულეს „აპარული სუტა განდგანით“, „სამთა მთიულური“

შობილიურ სკოლას ასახელებენ ახალგაზრდა პოეტებიც, ნ. ნოწვილი მე-8 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეა. ვისაც წაუკითხავს მისი ლექსები „შიონი შვიდილაზე“, „ლურჯი იები“, „ჩემი სკოლის სურსამთავრებულ ქინოსებს“ და სხვ. დარწმუნდება, რომ ამ ახალგაზრდისთვის ბუნებით მომადლებულ იქნას და უნარს შობილიურ სკოლაში უზეი საჯარო მუღია, ნაწარმოების გამორჩეულტარული გასამართლება. ნორჩ შემოქმედთა ნაწარმოებების კითხვა-გარჩევა, გამოჩინულ პოეტებთან შეხვედრა, კლდე-

ტიური სვლები და შემდეგ სპექტაკლის განხილვა, მხატვრული კითხვის საღამოები — აი, რა არის ამ სკოლის ნორჩ ლიტერატორთა საზრუნავი. ამას წინათ მათ მოაწვეეს ეურნალ „დროსა“ განხილვა.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ამ სკოლის ერთი მტკვალ კარგი და სასახელი ტრადიცია: სასწავლო წლის დასასრულს მოსწავლეები აწაფონ შემხედრას სასკოლო ასაკის ბავშვებთან, შემდეგ ნორჩებს აწნიობენ იმ სკოლას, სადა მომავალში მათ უნდა გადაეშალოთ ცოდნის ფარით ასპარეზი. თავის მხრივ პატარებიც მართავენ კონცერტს და მათ შორის მუარღებმა მეტად ახლო, სათუთი ურთიერთობა...

როდესაც ნორჩების მხატვრულ-ესთეტიკურ აღზრდას ვხეებით, მე-4 სკოლას აღვნიშნავთ, როგორც განსაკუთრებულს, სასიკადაულოს. 1959 წელს აქ ჩამოყალიბდა დრამატული წრე, რომლის ხელმძღვანელია მოზარდ-მკურნებელთა ქართული თეატრის მსახიობი მ. ვაჟაძე, პატარა მსახიობებმა სკოლის სცენაზე მკურნებელს უწინეს სპექტაკლები: „ალბასის სახაღობი“, „ჩხიკვა ქორწილი“, „ვერცხლის მეღალოსანი“, „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, ამ დადგებში გამოირჩიოდნენ ნ. მაისურაძე (ზოია), გ. ტურაბოვი (კურტი). სპექტაკლში „კოტეს დანაშაული“ მონაწილეობდა ნორჩი კინომსახიობი ნ. ბორაშვილი, რომელსაც ვიცნობთ შესანიშნავი ქართული ღიმილიდან „მადლანს ლურჯა“.

სკოლის დრამატული წრე თანდათან იხვეწებოდა, სრულყოფილი ხდებოდა. და აი, 1964 წლის 10 აპრილს მათ ზეიმით აღნიშნეს მოსწავლეთა თეატრის გასსა. მილოცვების შემდეგ მოსწავლეებმა წარმოადგინეს გ. შატბერაშვილის პიესა „იანანა რა ჰქნა“ (ი. გოგებაშვილის მოთხრობის მიხედვით) რომლებს ასრულებდნენ: მანანა ტაბაძე, ვია ტურაბოვი და სხვ.

მხატვრული თვითმოქმედების დათვალეობებზე თეატრმა გამართა სატირისა და იუმორის საღამო, რომლის მონაწილეები რ. გოგებაშვილი, გ. ტურაბოვი, თ. კერესელიძე, ნ. კირვალიძე და ნ. ლეგანიძე ქების სიკაგებლად დაჯილდოვდნენ.

მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედება ლენინის ჩაიონის სკოლებში სკამად მაღალ დონეზე დგას, მათი ხელმძღვანელები თავდადებით ემსახურებიან მოსწავლეთა მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის ფრად მნიშვნელოვან ამოცანებს.

ნ. მაისურაძე და გ. ტურაბოვი სპექტაკლში „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ (მე-4 სკოლა)



გურამ გელოვანი

კოტე მესხი

„როცა ავტობუსი რაკისაკენ, მშობლიურ სოფელ ძირაკულისკენ აღებდა გეხს და შთის კალთებზე ჭონგურებ ჩამონგრეულ ციხე-სიმაგრეებს მოგვრავდი თვალს, სევდა შემიპყრობდა, მენანებოდა ხუროთმოძღვართა მადლიანი ხელით ნაგებ ამ ღირსშესანიშნაობათა გატიალება“ — იგონებს სიყრმის შთაბეჭდილებებს გურამ გელოვანი, დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი მხატვარი, მრავალი მეტყველი ფერწერული ტილოს ავტორი.

„რაკაში ყოველ ზაფხულს დადიოდი და ეს განწყობილებაც ყოველთვის მეორდებოდა. მახსოვს, ერთ ზაფ-



ხულს, როცა ავტობუსი ალბანში გაჩერდა, იქ სადაც რაჭალეჩხუმისაკენ მიმავალი გზა იყრება, მთებს გავხედე. მათმა სილამაზემ გამაოცა.

— ბიჭო რას დაგეჟყეტია თვალები, ცოტა დახუჭე, ბაბუა, თორემ გადმოგცივიაო — ჩამესმა მოხუცის მხიარული ხმა.

სარკმლიდან გადმოვიხედე. ჰარბაგ მოხუცს ავტობუსთან ურემი გაეჩერებინა და ეშმაკურად ილიმებოდა.

— ლამაზი მთებია-მთქი — ეუბასუხე.

— ეჰ, მაგ მთებმა ბევრი ჩემისთანა დააბეა, მაგრამ ჩვენი ცხოვრება მთების გარეშეც არ ივარგებდო — ჩაილაპარაკა მოხუცმა და ურემი ააჭრიალა...

ახლა, როცა ამ პატარა ეპიზოდს ვიგონებ, ვფიქრობ, მოხუცის მთებისადმი სიყვარული ალბათ მათი ჯადოსნური სილამაზითაც იყო გამოწვეული. მეც მათში ფერთა სიუხვე მზიხდავდა.

ფერებისადმი სიყვარულმა გურამი თბილისის პიონერთა სასახლეში, სამხატვრო კაბინეტში მიიყვანა, სადაც ხელოვნებისა და ოსტატობის საიდუმლოებებს აზი-



რა იგი მსცოვანმა მხატვარმა გრიგოლ მესხმა. შემდეგ კი საშუალო სკოლა, სამხატვრო სასწავლებელი და სამხატვრო აკადემია... დაღვა დიპლომის დაცვის დღეც. საგამოდო კომისიის წევრებმა სათანადოდ შეაფასეს მზარდი ხელოვანის პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარი, ფერწერული ტილო — „თბლისის ზღვაზე“ და თავის აღზრდილს დამოუკიდებელი მუშაობის გზა დაულოცეს.


1956 წელს გურამ გელოვანი ქმნის მრავალფიგურიან კომპოზიციას „ახალგაზრდობა“. გოგონები ეს-ესაა აზოსულან მშფოთვარე ზღვიდან და ტანთ იცვამენ. ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები ლაღად გასცქვირიან ღრუბლებში დაკარგულ ცის დასალოერს.

მხატვარმა სურათის საინტერესო გადაწყვეტით მკაფიოდ გამოახატა თავისი იდეური მრწამსი: ჩვენი ახალგაზრდობა მუდამ მზადაა შემოქმედებითი ძიებისა და და-

ულალავი შრომისათვის, მათი ცხოვრება მარად დაუნისლავია და ბედნიერი.

ამ მრავალფიგურიაში კომპოზიციამ დიდი ტურნე გაიარა. იგი იხილეს საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში, აგრეთვე ვარშავაში, ვენაში, ეგვიპტეში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გურამ გელოვანის ამ სურათმა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს, საკავშირო აღკვეცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის პრეზიდიუმის დიპლომები დაიმსახურა.

რომელი ხელოვანი არ აულელებვია მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ლენინის სახეს! გურამ გელოვანიც წლების მანძილზე ამუშავებდა ამ დიდი და საპასუხისმგებლო თემის კომპოზიციის ვარიანტებს. ხანგრძლივი ძიების შედეგად მან 1960 წელს შექმნა დიდი ფერწერული ტილო „ლენინი რაზლოვმა“.



ნოემბერი

ამზე მეტყველებს პარიზში გამოცემულ გამოფენის კატალოგში დაბეჭდილი იური კალმენცის წერილი, სადაც ავტორი მიმოიხილავს საბჭოთა ახალგაზრდების ნამუშევრებს და განსაკუთრებული ქებით გურამ გელოვანის ფერწერულ ტილოებს იხსენებს.

მიომხილველი აღნიშნავს, რომ მთიულიშვილის პორტრეტში მძაფრად იგრძნობა სამხრეთული მზე, რომ მნახველს შუქლია პორტრეტის ხილვისთანავე ამოიციოს მთიულიშვილის პროფესია, კარგადაა გახსნილი პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურება. გურამ გელოვანის ამ ნაწარმოების ფერადი რეპროდუქცია ქურნალ „ისესტეტო“-ში დაიბეჭდა.

მხატვრის პორტრეტების უმრავლესობა პეიზაჟის ფონზეა დაწერილი. პეიზაჟი მისთვის პორტრეტის დამხმარეა, ადამიანის ხასიათის უკეთ გახსნისათვის მიმართავს. ამ მხრივ საგულისხმოა კოლმეურნე ქალის ფერწერული პორტრეტიც. აქ პეიზაჟი ორგანულად ესიტყვება მშრომელი ქალის სახეს და მის საქმიანობას ნათელყოფს.

თავის პარიზულ შთაბეჭდილებებზე გურამი ამბობს: „ჩემი თანატოლი ფრანგი მხატვრების ნამუშევრებს გაცეცანი. გამოფენაზე წარმოდგენილი მათი ნაწარმოებები აბსტრაქტული და საოცრად ქოტიური იყო. საფრანგეთში ხილოვნებას დაკარგული აქვს თავისი ქეშმარიტი სახე.“


პარიზი. დიდი ბულვარი

გ. გელოვანმა სურათის კომპოზიცია დაბალი პორტიონტით გადაწყვიტა. ბელადის ფიგურა და სურათის უკანა პლანის სიღრმე გრანდიოზულობის შთაბეჭდილებას ქმნის. მხატვარი კარგად ჩასწვდა ლენინის ხასიათს და აქცენტი მის მშფოთვარე ბუნებაზე გადაიტანა. ლენინი თავის ქოხიდან გასულა. პალტო წამოუსხამს, სიარულის დროსაც ფიქრებითაა მოცული: ბლოკნოტი ამოუღია და დროდადრო ჩანაწერებს აკეთებს. ბელადის სახეზე იკითხება მისი აზრის დამაბულობა რევოლუციის დაწყების წინ.

ახალგაზრდა მხატვრის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია პანოს ხასიათის ტილო „ინდუსტრიის დილა“. ნიჟიერმა მხატვარმა საბჭოთა ადამიანის ძლევამოსილება ორიგინალურად ასახა. ტილოზე მეტალურგიული ქარხნის ორი მუშა ზურგმუცეითაა გამოსახული. მიუხედავად ამისა, ფიგურების დიდი შინაგანი ექსპრესია მათს სახეებსაც ნათლად წარმოგვიდგენს. მუშები ფართო, ხალისიანი ნაბიჯებით მიემართებიან ნაცრისფერ კვამლში გახვეულ ქარხნისაკენ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გურამ გელოვანი პარიზში მიიწვიეს მსოფლიო ახალგაზრდა მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენაზე. საბჭოთა კავშირიდან ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 20 ახალგაზრდა ხელოვანის ნამუშევარი. გ. გელოვანი აქ თავისი ორი ნაწარმოებით — ლენინისა და კოლმეურნე ალექსი მთიულიშვილის პორტრეტებით წარსდგა და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა.





ლემელა

მას საფუძვლად მხოლოდ ხელოვნური ფანტაზია და ნა-
ცალადევი ორგინალიობა უდევს.

პარიზში მხატვრებს ყოველთვის მონმარტრზე შეხვდებო-
ბით. ეს ვრცელი პროსპექტი მუდამ სავსეა მოფუსფუსე
მხატვრებით. ისინი ერთ სენაში ხატავენ გამეღვლითა
პორტრეტებს. პარიზელი მხატვარი ქუჩაში ქმნის, ქუჩაში
ჭამს და ხშირად ქუჩაშივე ცხოვრობს. ყოველივე ეს იმა-
ზე მეტყველებს, რომ ფრანგი მხატვრებისათვის უცხოა
შემოქმედებათი გარეშო, რაც უარყოფით გავლენას ახ-
დენს ხელოვანის შინაგან ორგანიზებულობასა და პრო-
ფესიულ ოსტატობაზე.

რიდესაც მათ ნახელავს ვათელიერებდი, ჩემთვის გა-
უგებარი რჩებოდა, როგორ შეიძლებოდა მოეხიბლა
ადამიანი, მით უმეტეს ხელოვნებისმცოდნე, ვადმოღერი-
ლი საღებავით გათხუპნულ ტლოს, ხოლო ასეთი ნაწარ-
მოებებით, თუ შეიძლება მათ ნაწარმოები ვუწოდოთ,
სავსეა საფრანგეთის სალონები და მუზეუმებიც კი“.

გურამ გელოვანის სურათებში ნათლად იგრძნობა
შრომის სულისკვეთება, შრომელი ადამიანის სუნთქვა
და მისი დიდი სიყვარული საქმისადმი. გურამს კარგად
ეხერხება ტიპიზაცია. მისი გმირები, შეიძლება ითქვას,

შეზრდილი არიან ყოველდღიურობასთან. ^{გურამ გელოვანი}
ლაღ ჩენი დიდი ღღერის ადამიანები არიან თვითნებ
შინაგანი წყობითა და აღნაგობით.

პორტრეტულ ნამუშევრებში გურამ გელოვანი უკვე
იცნობა საკუთარი ხელწერით, ფერწერის ხასიათით, მანე-
რით, ნათელი და სხივიანი პალიტრით.

ჩენი ცხოვრება მხატვრისაგან მოითხოვს სინამდვი-
ლის ღრმად ასახვას. მოითხოვს, რომ ხალხის მალამ
პუმანურმა იდეებმა, დიდმა აზრებმა და გრძობებმა
სრულყოფილი გამოხატულება პპოვონ ხელოვანთა მიერ
შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში.

ამიტომ არის, რომ ცხოვრების ეს მოწოდება გ. გე-
ლოვანისათვის ამოსავალი პრინციპია, ამიტომაც მისი სუ-
რათები ყოველთვის იმსახურებს მნახველის მოწონებასა
და აღიარებას.

ძველი პარიზი





ქართული ხალხური, კერძოდ გურული სიმღერებისადმი ერთ-ერთ მელიც პოლიფონიური განვითარების უმაღლესი ტიპის ხალხური შემოქმედების ნიმუშებს გვაძლევს; ა. ერქომაიშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებულია ბევრი საუკეთესო, რაც თანამედროვე გურულ ხალხურ მუსიკას გააჩნია.

1907 წელს ერქომაიშვილების ოჯახი გურული ხალხური სიმღერების ჩასაწერად თბილისში მიიწვიეს. ამ დროს აქ იმყოფებოდნენ გერმანელი სპეციალისტები, რომლებმაც ფირფიტებზე ჩაიწერეს 50 ხალხური სიმღერა და 3 საგალობელი.

ანსამბლი თბილისში ჩავიდა ერქომაიშვილის მამის გიგო ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. მღეროდა 9 კაცი. გ. ბაბილოძე, გ. იობაშვილი ი. კეჭეყმაძე, ნ. ბურძღლა, ე. მოლარიშვილი, ლ. თოიძე, ა. სალუქვაძე, და მამა-შვილი გიგო და არტემ ერქომაიშვილები.

17 წლის ა. ერქომაიშვილი მიიწვია ხალხური სიმღერების საერთო და საცკლესიო საგალობლების შესასწავლად იმ დროისათვის გურიაში ცნობილმა „დიდმა მგალობელმა“ მელიქიედეც ნაკაშიძემ.

„მ. ნაკაშიძემ, ამბობს ა. ერქომაიშვილი — მასწავლა ქართული გალობის ყველა წესი, ის ჯერ კილოს შემასწავლიდა, ხოლო ვარჯიშობის დროს მოიწვევდა რამდენიმე მგალობელს და მასთან ერთად მეც ვგალობდი. მგალობელთა შორის იყვნენ მ. ნაკაშიძე, ძმები ანტონ და დავით დუმბაძეები, ნესტორ კონტრითე და სიმონ მოლარიშვილი“. აღსანიშნავია, რომ მან ნაკაშიძისაგან ისწავლა საგალობელთა სამუსიკო ნიშნებით კითხვა. ეს ნიშნები უთუოდ ნაწილია ქართული პროფესიული სამუსიკო დამწერლობისა, რომლის ერთ-ერთი ცოცხალი მემკვიდრეც არის ა. ერქომაიშვილი. ამიტომ მათი გაცნობა მეცნიერული კვლევისა და ქართული საზოგადოებრივ-საწერლობის შესწავლისათვის არ არის ინტერესსმოკლებული. ერქომაიშვილს უბის წიგნაკში ჰქონდა ჩაწერილი საგალობელთა უმეტესი ნაწილი. მიყვება რა წერტილთა და ხაზთა მიმართულელებს, იგი მიუღის სიხუსტით მღერის ჩაწერილ საგალობლებს.

„პირველი საგალობელი, რომელიც მე ვისწავლე — ამბობს ა. ერქომაიშვილი, — იყო საერთო საგალობელი „ბუნების არსებობაზე“. გალობის წინ სხვადასხვა სავარჯიშოებს ვმღეროდი განსხვავებულ კილოზე და ასოზე. მაგალითად ყველა ხმოვანზე და თანხმოვანზე, ასეთებია: ქ. ნ. დ. პ. და სხვები“. თუ ჩვენ ოდნავ დაეკვირვებით ა. ერქომაიშვილის ამ აზრს, მივაღი იმ დასკვნამდე, რომ ქართულ ვოკალურ ხელოვნებას უდიდესი ტრადიციები ჰქონია და თურმე შესრულების საუკეთესო ხარისხისათვის სავარჯიშოებიც კი გააჩნდა.

არტემ ერქომაიშვილი

სერგო ჟვანია



ასაველთ საქართველოს ხალხური სიმღერების ოსტატის არტემ ერქომაიშვილის დეაწლი ხალხურ მუსიკაში დიდი და მრავალსიმომცველია. „5 წლიდან გმღეროდი — ამბობს ა. ერქომაიშვილი — შესანიშნავად მღეროდა მამაჩემი. გურული სიმღერების ყველა ხმა იცოდა. ჩვენს ნათესაბობაში კარგად მღეროდნენ და გალობდნენ ასევე დეაჩემის ძმა, ცნობილი კრიმანჭული გურიაში — გიორგი ბაბილოძე და დამწვები (2 ხმა) გიორგი იობაშვილი. მამაჩემმა, რაც საერთო და საცკლესიო საგალობლები იცოდა, ყველა შემასწავლა“. იზრდებოდა ა. ერქომაიშვილის ციდა და სიყვარული

გალობა ბუნების არსებობაზე
 ერთი დასწავლა (საგალობელი)
 ნაკაშიძის დანსწავლა და უსწავლობა
 შემოქმედება ყვარლისა და უსწავლობა
 ხმოვანებისა და თანხმოვანების
 შესწავლა უსწავლობა

„გალობა სხვა და სიმღერა სხვა — ამბობს ა. ერქომაიშვილი“



შეიღო. საგალობელში ძირითადად დიღინი და გალობის მოსმენაა საჭირო, რათა გალობა ტექნიკურად იყოს, ხოლო სიმღერაში ხმის დიდი ძალა და მოწინააღმდეგე უნდა ჰქონდეს, რომ სიმღერის გავლეს, მაგალითად, „ვახტანგური“ და „წმინდა ნინოს საგალობელი“ სხვადასხვანაირად იმღერებოდა.

ძირითადად ორი სახის საგალობლები იწყებოდა ა. ერქომაიშვილი მ. ნაკაშიძისაგან: საერო საგალობლები და საეკლესიო.

საერო საგალობლები ის საგალობლებია, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ცხოვრების სხვადასხვა მოთხოვნებთან, რიტუალთან: მგ: „სამგლოვიარო საგალობელი ახალგაზრდისათვის“, „ხარის“, „ქორწილის საგალობელი“, „ახალ ბინაში შესულთა საგალობელი“, „საერო ძილისპირები“, „საქართველოს სიმშვენიერის საგალობელი“, „ბუნების საგალობელი“ და მრავალი სხვა.

საეკლესიო საგალობლები დაკავშირებულია საეკლესიო დღესასწაულებთან და წირვის სხვადასხვა წესებთან, რომლებსაც გალობენ „ტროპარებად“, „კონდაკებად“, „ანტიფონებად“, „იგოსებად“ და სხვ. როცა საქმე ეხება უძველესი პერიოდის საეკლესიო და საერო საგალობლებს, მათი პროფესიული სახის ნათელყოფისათვის მხედველობიდან არ უნდა გამოეუფათ ისეთი ცოცხალი მემკვიდრე, როგორცაა არტემ ერქომაიშვილი, რომლის ცოდნაც ემყარება თაობებიდან გადმოცემულ სასიმღერო ტრადიციებს.

ქალწული სიქაძული
სავალისი (სავალისელი)

გ ი ხ ა ნ ი ლ ე ა ნ ქ ა ლ წ უ ლ ი მ ს ი ქ ა ლ წ უ ლ ი
 ტ ი ხ ა ნ ი ლ ე ა ნ ლ ე ა ნ მ ს ი ქ ა ლ წ უ ლ ი
 ლ ვ ი ს ი ს მ ე ზ ე ლ ი ; ო რ ი ე ლ ს ა მ ე ჯ ე
 უ ო ჯ ე ლ ი - - - - - გ ა დ ი ლ ე მ ე .

1911 წელს გალობის ხელოვნებაში დაოსტატებული ა. ერქომაიშვილი მიღის ცხაკაიაში, აბაშაში და გვეგჭოროში, სადაც ასწავლის სიმღერა-გალობას. ვეგეჭოროში (მარტვილში) ის გაეცნო შესანიშნავ მაგალობელ დიმიტრი (დიტო) ჭალაგანიძეს, რომელსაც დიდი სიამაყით იფინებს ახლაც, როგორც საგალობელთა დიდ მწოდნეს.

დასავლეთ საქართველოში გალობის ორი კილო იყო ცნობილი, ეს იყო გურიაში „დუმბაძეების კილო“ და სამეგრელოში „ჭალაგანიძეების კილო“. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო და საერო საგალობელთა გალობის წესები სავალი იყო, საერთო იყო ტრადიციულად მათი განვითარების გზები, რადგან ისინი ძველი კოლხური კულტურის ძირითადი წყაროდან ერთად გამოყვენი შენდგომ საუკუნეთა ორომტრიალს, მიუხედავად კუთხური ინდივიდუალობისა და განსხვავებისა. ა. ერქომაიშვილმა მთლიანად შეისისხლხორცა დასავლეთ საქართველოს კერძოდ აჭარა-გურისი, იმერეთ-სამეგრელოს ხალხური შემოქმედება, მან შესანიშნავად იცის იმერული „ლაშქრულები“ და „მგზავრულები“, მგერული „ოლია“, „ჩელა“, „ოჩენებე“ და სხვა სიმღერები, 1917

წელს მან ძმებთან ერთად შეკრიბა ანსამბლი 12 კაცის შემადგენლობით და კონცერტები გაართა დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, სოფლებსა და კურორტებზე.

1925 წელს ა. ერქომაიშვილი ბათუმის მტვირთავი მუშების არტელმა მიიწვია ხალხური სიმღერების მასწავლებლად და ხელმძღვანელად. გუნდი პირველ ხანებში 20 კაცისგან შედგებოდა, ხოლო შემდეგ 50 კაცამდე გაიზარდა, მის რეპერტუარში შედიოდა დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერები.

1927 წელს ქუთაისში გაიმართა ქართული ხალხური მუსიკის ხელოვანთა, „მომღერალთა გუნდების შეჯიბრი“, სადაც პირველი ადგილი დაიკავა ბათუმის გუნდმა ა. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

1929 წელს მიიწვი საქართველოს ხალხურ მომღერალთა ოლიმპიადა, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში. ოლიმპიადაზე მონაწილეობის იღებდა 30 გუნდი. აქ პირველი ადგილები დაიკავა გუნდებმა ა. ერქომაიშვილის და კუხიანის ხელმძღვანელობით.

ლენინგრადის მუსიკალურმა საზოგადოებამ პროფესორ კუშნაროვის თოსნობით მიიწვია გამარჯვებული გუნდები, რათა გაეცნობდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

1930 წელს ლენინგრადში დიდი წარმატებით ტარდებოდა კონცერტები, რომლებიც მონაწილეობს სამი ხალხური გუნდი: ა. ერქომაიშვილის (გურული), გ. ჯიღარის (კახური) კ. პაჭკორიას (იმერული) და მოცეკვავეთა ანსამბლი ჩახავას ხელმძღვანელობით.

ჩვენ, ლენინგრადის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორებმა და დოცენტებმა, მოვისმინეთ ქართული გუნდების საჩვენებელი კონცერტი, რის გამო გამოეხატებოდა ჩვენს გულწრფელ აღფრთოვანებას და ღამბა განცხადებას ამ ხელოვნებით. შესანიშნავი ოსტატობა გურულებისა, ეპიკური ძალა იმერლებისა და ლირიკულობა კახელებისა ჩვენ არასდროს დაგვაიწყებება.

დიდ მადლობას გუხდით ყველა შემსრულებელს და მათ ნიჭიერ ხელმძღვანელებს: ჯიღარის, ერქომაიშვილს და პაჭკორიას — ა. ჯიტომისკი, ნ. ნიკოლავე, ი. ტიულინი.

შემდეგ გუნდები მართავენ კონცერტებს მისსკოში, ხარკოვიში და მოსკოვში. ს. ორჯონიძემ ისინი კრემლში მიიწვია და გულთბილი შეხვედრა მოუწყო თანამემამულეებს. ამ შეხვედრაზე უსურულად ა. ერქომაიშვილის მიმღერა „ლენინ, ოქტომბრის ბელადო“.

1934 წელს ა. ერქომაიშვილი აგრძელებს თავის საგუნდო მოღვაწეობას ბათუმში, ამავე წელს თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ხალხური შემოქმედების ოლიმპიადა, სადაც ბათუმის გუნდმა, ა. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით კვლავ პირველი ადგილი მოიპოვა.

1950 წელს ა. ერქომაიშვილი გადმოიღის მახარაძის კულტურის სახლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელად. 1951 წელს VII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე პირველ ადგილს იკავებს მახარაძის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ა. ერქომაიშვილს გადაეცა დიპლომი და მედინჯა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

როგორც ახალგაზრდა მწერლებისათვის, ისე ძველი სათვის.

მარქსისტული ფილოსოფიით შეიარაღებული კრიტიკოსი სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებს სწორად და დამაჯერებლად აკრიტიკებდა. ცხოვრების მსატრუნულად ასახვის დროს მწერლობისაგან რეალიზმის პოზიციებზე დადგომას მოითხოვდა.

„... ჭეშმარიტი, უღრმესი და პერსპექტიულად ფართო რეალიზმი, ეს ჩვენი სოციალისტური რეალიზმია“. წერს იგი ერთ-ერთ თავის წიგნში. მნიშვნელოვანია, რომ ბენიტო ბუაჩიძემ ჯერ კიდევ 30-იან წლებში მოგვცა ამ საკითხის ძირეული გაშუქება.

ბურჟუაზიული კლასიკური ლიტერატურის შესახებ იგი წერდა: „კლასიკური ბურჟუაზიული ლიტერატურა ხასიათდება უდიდესი რეალიზმით. ის შედის ჩვენი მეგვიდრეობის ძირითად ფონდში. ბევრ რამეს ვსწავლობთ ჩვენ ამ რეალიზმიდან და მომავალშიც ბევრ ვისწავლით“.

მიუხედავად ამისა, ბ. ბუაჩიძე ბურჟუაზიულ რეალიზმს არ სთვლიდა სრულყოფილად. კრიტიკოსის აზრით, ამ რეალიზმს მაინც აკლდა სისრულე.

მაგალითისათვის ბ. ბუაჩიძე ასახელებს ბალზაკს. კრიტიკოსს მოჰყავს მარქსისა და ენგელსის აზრი ბალზაკის შესახებ: „ენგელსი აღნიშნავდა, რომ მან საფრანგეთის საზოგადოებრივ ეკონომიური ცხოვრების შესახებ ბალზაკის ნაწარმოებებიდან მეტი გაიგო, ვიდრე პროფესიონალი ისტორიკოსების, ეკონომისტებისა და სტატისტიკოსის ყველა წიგინდან. ასეთი დიდი რეალისტი იყო ბალზაკი“ — დასძენს კრიტიკოსი. მაგრამ იყო თუ არა ბალზაკის რეალიზმი სრულყოფილი, ამის შესახებ ბ. ბუაჩიძე გვაპასუხობს: „ბურჟუაზიული რეალიზმი საბოლოოდ მაინც არ იყო რეალისტური, ის ბევრ რამეს ვერ ხედავდა და თავისი კლასობრივი ბუნების გამო არც შეეძლო დაენახა“. ამგვარად ბ. ბუაჩიძემ ზღვარი დასდო ბურჟუაზიულ რეალიზმსა და სოციალისტურ რეალიზმს შორის.

იგი გაცილებით მეტ მოთხოვნებს უყენებდა სოციალისტურ რეალიზმს. „სოციალისტური რეალიზმი არ იქნება სოციალისტური, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თუ მან ვერ გამოიყნო ჩვენი ზეალინდელი დღე, თუ ის მიკლებულია პერსპექტივებს და არ მიისწრაფის წინ, თუ ის გაქვინთილი არ არის პრობლემებით და არ შეიცავს არაჩვეულებრივად მოძრავი ეპოქის დიალექტიკურ განვითარებას“.

შეკითხავა — თუ რა არის სოციალისტური რეალიზმი, კრიტიკოსი პასუხობს, რომ ის არის ჩვენი სინამდვილის ცხოვრების დრამა აღქმა ცოდნის საშუალებით, მისი ტიპური და არსებითი მხარეების გამოვლინებით.

შემდეგ კრიტიკოსი ბრწყინვალედ განმარტავს რევოლუციურ რომანტიკას. იგი მას განიხილავს, არა როგორც ცალკეულ, განსხვავებულ, პარალელურ მოვლენას სოციალისტური რეალიზმისაგან, არამედ მის ორგანულ ნაწილს. „სინამარსი, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ რევოლუციური რომანტიკის ცნებაში, ბუნებრივად და ორგანულად შედის სოციალისტური რეალიზმის ცნებაში. რევოლუციური რომანტიკა ბრძოლაა მომავალი იდეალებისათვის, — ეთნუზიაში კი სოციალისტური რეალიზმის თვისებაა“.

მეზრძოლი კრიტიკოსი

ელენე კვიციანი



ენიტო ბუაჩიძე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ძალა იყო ოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებათმცოდნეობაში.

ჯერ კიდევ 18 წლისას სამოღვაწეო ასპარეზზე ვხვდავთ. ობიექტური, პრინციპული კრიტიკოსი დღითი დღე იზრდებოდა, ცოდნას იძენდა, თავისი ნიჭითა და უნარით საფუძვლს უყრიდა, გზას უკაფავდა მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურულ კრიტიკას საქართველოში.

25 წლის ასაკში ბენიტო ბუაჩიძე უკვე აღიარებული იქნა მისი მახვილი სიტყვა და ბასრი კალამი ავტორიტეტული იყო



იგი აღნიშნავს, რომ სოციალისტურ ლიტერატურასა და ხელოვნებას სრულიად არ ესაიწროება რომანტიკული „ოროფები“ და სხვადასხვა უსიციოესი სქემები, რადგანაც მისი ხვალისდელი დღე ყოველგვარ რომანტიკულ რომანტიკულია. განსხვავება იმაშია, რომ ოცნება ან უკვე გადაიქცა სინამდვილედ, ან ემზადება სინამდვილედ გადასაქცევად. ფუძე მოცემულია და მიმავლის კონტრულული მიხსნაშობა ნათელი.

ოცნებასა და ფანტაზიას ბ. ბუაჩიძე განიხილავს, როგორც სოციალისტური რეალიზმის თვისებებს. „... თუ მწერალი, რომელიც სოციალისტური რეალიზმის გზით მიდის, არ ძალუბა იოცნებოს, — წერს იგი, — თუ მას არ გააჩნია ფანტაზია, თუ ის ფაქტით ვერ გადაიორიებება მომავალში და არ ფიქრობს მომავლის შემოქმედებით გაფორმებაზე, ასეთი მწერალი არ არის სოციალისტური რეალისტი... ჩვენი ოცნებანი და ფანტაზია მთლიანად ეყრდნობა რეალურ სინამდვილეს და მის განვითარებას. ამის გამოც ეს ფანტაზია სრულიად თავისებური“. ამ ციტატებიდანაც ჩანს, თუ რადენად სწორი, ნათელი და სადღეისოა ბუაჩიძის მიერ სამი ათეული წლის წინათ გამოქმნილი შეხედულება ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიულ საკითხებზე.

თორიულ საკითხთა შორის ინტერესმოკლებული არ არის ბუაჩიძის მიერ ფორმისა და შინაარსის საკითხის გაშუქება, რომელშიც ის ფორმალისტური სკოლების წარმომადგენელთა ედავება. იგი ამტკიცებს, რომ ამ მცდარი აზრების ფესვები ბურჟუაზიულ მეცნიერთა მრწამსში უნდა ვეძოთ, რომელნიც ხელოვნების ისტორიას განიხილავენ, როგორც მხოლოდ ფორმის ისტორიას და მთლიანად უგულებელყოფენ შინაარსს. (მაგ. ვ. ჰაუსჰერტინი). ასეთი მიდგომა საკითხისადმი ახასიათებს ფორმის სუბსტანციონალიზმის აღიარებულ და საერთოდ დეალისტურ მიდგომას ფორმისა და შინაარსის პრობლემებისადმი.

ბუაჩიძე კი ფორმასა და შინაარსს განიხილავს ერთ მთლიანობაში: „ფორმა და შინაარსი მხატვრულ ნაწარმოებში შედლებული და განუცალკევებელია. მათი დაცილება და ცალკეული ორიენტების მოცემა მიგვიყვანს სქოლასტიურ აბნეულობამდე“.

შემდეგ კრიტიკოსი გვისამბუთებს, თუ რამდენად უაზრო და უმიზნოა შინაარსიდან განცალკევებულად ფორმის ჩამოსხმა „ჯერ არასებელი მოსალოდნელი შინაარსისათვის“. ბ. ბუაჩიძე დასკვნის: „ფორმის მრავალგვარი სახეების თანამიმდევრობა, ვანრების რიგი, შინაარსით არის განპირობებული და მიუხეობრივად გადაკვეთილი“¹.

დღეს ჩვენი ისეთი მიდგომა უცხო არ არის, მაგრამ ბ. ბუაჩიძე ამას წერდა 1927 წელს, როდესაც ფორმალისტური ლიტერატურული მიმდინარეობანი გზას უხეზდნენ ახალგაზრდობას, ხელოვნებისა და ლიტერატურის ბევრ მიღავლეს.

საინტერესო და მნიშვნელოვანია ბუაჩიძის შეხედულებანი მასისა და ხელოვნების ურთიერთობის შესახებ.

ხელოვნების სხვადასხვა სახეების საწყისად და მასაზრობელ წყაროდ კრიტიკოსი სინერგულ ხელოვნებას ასახე-

ლებს. პირველი შემოქმედება, სადაც არ ჩანს ავტორის პიროვნება დაც თვით ხალხი არის პირველი ხელოვნების შემქმნელი, სწორედ ეს ხალხური შემოქმედება მიაჩნია ბ. ბუაჩიძეს ხელოვნების ფუძე და პოეტების მიმცემა. „ის არის ძირი, დაურეტელი საწყისი და გამარტლება ხელოვნების ყველა სახეების, ამავე დროს ერთადერთი მატარებელი ქმედითი ენების, შინაგანი პოეტადობის“.

ამასთან ერთად კრიტიკოსი აღნიშნავდა, რომ ქართული ფოლკლორი მეტად მდიდარია ხელოვნების სხვადასხვა სახეობით, რომელთანაც ქართულ ხელოვნებას მუდმივი ურთიერთობის ძაფი უნდა ჰქონდეს გაბმული... თუ ამ ჯანსაღ საწყისს მოსწყდა ხელოვნება, ის უკვე იფიტება და თვითმზუნური ხდება და ბუნებრივ გზას ამცდარი, კარგავს თავის სახის ნამდვილ ნიშნელობას“.

რა მიზეზით წყდება ხელოვნება ხალხს? ამ საკითხზე კრიტიკოსი პასუხობს, რომ ეს ხდება მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაში, განსაკუთრებულად ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც გაბატონებული ფენა ხელოვნებას გასართობ საგნად აქცევს. ხალხისაგან მოწყვეტილი ხელოვნება დამახინჯებული, განადგურებული რჩება. ბ. ბუაჩიძე იხსენებს რ. ვაგნერის აზრებს: „თუ ხელოვნება თავის მაცოცხლებელ საზრდოს ხალხისაგან არ იღებს, თუ მისი ფესვები არ ეხება და არ გამომდინარეობს ამ ფენიდან, მაშინ ის მკვდარი და უსიციოესო იქნება“².

კრიტიკოსი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხურ შემოქმედებას და აღნიშნავს, რომ მუშათა მასის მისწრაფება სულიერი საზრდოს ქონებისადმი ნაწილობრივადც არ არის დამაკაფოტლებელი, და მიზეზად ასახელებს ფართო მასისათვის გაუგებარ, მაშინ არსებულ, უცხო ლიტერატურულ მიმდინარეობებს. „ცმის ფერს ყანწლების“ შემოქმედებაზე ბ. ბუაჩიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ხალხისათვის, ფართო მასისათვის უცხო და შეუსაბამო შემოქმედებას არ შეუძლია მათთვის სულიერი საზრდო მიეცე. აღმშენებლობის პათოსით გატაცებულ მუშათა მასას კი უფრო მეტად სჭირდება იგი და საერთოდ როდესაც „ყოველდღიური ცხოვრება ყოველ მხრივ აღმშენებლობით ფერხულშია ჩაბმული, ხელოვნების თანამედროვეობასთან შეფერვებლობა უფრო თვალსაჩინო და მტკიცენული ხდება. მუშათა კლუბებს ჰყავს თავისი პოეტები, დრამატურგები, სცენის მოყვარენი, მომღერლები და სხვანი. მიუხედავად ამ შემოქმედების ხარისხობრივი თვისებებისა ის ფაქტი, რომ მას ჰყავს თავისი აუდიტორია, „რომელიც უშმენს, იგებს, უყვარს და მკაფოფილება მით“, დამამკიცებელია, რომ მას აქვს დიდი მითხვენილება ხელოვნებისადმი და ამასთან ფრიად დაურეტელი შემოქმედებითი პოეტისა“.

საინტერესოა მისი დამოკიდებულება გლეხობის მასიური შემოქმედებისადმი. თუმცა იგი ხაზს უსვამს ამ ორი ფენის ხელოვნების განსხვავებულობას, საბოლოოდ მაინც ორივეს ერთი სახელწოდებით აერთიანებს.

„ორივე, როგორც გლეხური, ისე მუშური სტიქიური შემოქმედება და შეიძლება მოთავსდეს ხალხური შემოქმედების მცნებაში. ეს არის ფუძე, რომელმაც უნდა მისცეს სიციოესლე

¹ ბ. ბუაჩიძე „ლიტერატურა და თანამედროვეობა“, გვ. 165.

² იქვე, გვ. 171



კრიტიკოსი ბენიკო ბუაჩიძე

ბ. ბუაჩიძე ღრმად უდგება მაყურებლისა და შემოქმედების ურთიერთდამოკიდებულებას და საინტერესო დასკვნები გასაქვს.

„ხალხურ შემოქმედებაში თითქმის ერთად თავსდება შემოქმედით და ამთვისებელი. კოლექტიურ ჯამში თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს, რითაც იმლება ზღვარი შემქმნელსა და ამთვისებელს შორის, რომელიც უფსკრულად იქცევა კლასიკური საზოგადოების დროს“.

კრიტიკოსი იქვე დასძენს, რომ შემოქმედების და ამთვისების გათანაბრება შემდეგი განვითარების გზებზე კარგავს წინასწრობას.

დაკვირვების შედეგად ბ. ბუაჩიძე უცნაურ ფაქტზე მივიკითხებ სახელდობრ „ამთვი სებელ მამასამ გაუსწრო შემოქმედ ნაწილს“ (ხაზი მისია ე. კ.)

ეს ფაქტი თვითონაც პარადოქსალურ მოვლენად მიაჩნია. მან, როგორც მარქსისტული ფილოსოფიით აღჭურვილმა კრიტიკოსმა, კარგად იცის, რომ პირიქით უნდა ხდებოდეს. სხვაგვარად ხელოვნება ვერ გახდება ზემოქმედით მასზე.

აი, რით ხსნის ის ამ უცნაურ ფაქტს: „ახალი ცხოვრების მშენებელს მუშურ-გლეხურ მასას საკმაოდ გამახვილებული, განვითარებული უნარი აქვს ათვისებისა და ინსტიტუტური ლტოლვა საკუთარ ბუნებასთან შეფარდებული სულიერი საზრდოს საჭიროებისა...“

ამასთან ერთად ის ბრძოლაში და საქმიანობაში იმდენად გამომრძედილია და კლასიკური ალღო იმდენად მახვილი აქვს, რომ „კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ბურჟუაზიული სული სკვეთების ნარჩენებს“ („ლიტერატურა და თანამედროვეობა“ გვ. 174. ხაზი ჩემია ე. კ.)

აქედან ცხადია, — ხელოვნების ჩამორჩენილობის მთავარ მიზეზად კრიტიკოსი კვლავ წარსულის გადანაშთებს ასახელებს.

თუ რაში მდგომარეობს ჩამორჩენილობა ხელოვნებისა და როგორია მისი სახე, ამის დასასაბუთებლად სამ მაგალითს გვისახელებს:

1. დამახინჯებული რაობის გამო მიუწვდომელია მასისათვის (იგულისხმება ამთვისებელთა მასა ე. კ.)
2. უცხო და შუუფარდებლობა.
3. არ გამომდინარეობს მისი ბუნებიდან და ამიტომ ვერ სწევება და ვერ ბადებს მასში გაცნადს, რითაც უშიზნო უაზრობას წარმოადგენს.

კრიტიკოსი მიდის იმ დასკვნამდე, რომ თუ ხელოვნება მასის მოთხოვნილების გარეშე დგას და თავისთავით არის შეფარდებული, ფორმისა და შინაარსის შეუხამებლობას იწვევს და საბოლოო ჯამში თვითმიზნური ხელოვნების ნიმუშად გვეკლინება, რომელიც მხოლოდ ვიწრო ფენის გასართობად რჩება.

„ამ მიზეზით ეს ხელოვნება სცილდება მასას. მეორე მხრე — „შინაური“ შემოქმედება (ლაპარაკია ხალხური შემოქმედების შესახებ ე. კ.) ატარებს ყველა ზემოწამოვლილ უარყოფით თვისებებს, რის გამოც აშკარადება ერთი შეხედვით პარადოქსალური ფაქტი: ამთვი სებელ მამასამ

მასის ხელოვნებას და რომლიდანაც უნდა გამომდინარეობდნენ პიროვნული შემოქმედნი. ამ ფუქტს უნდა დაეყრდნოს თუ მას სურს, რომ მისი ქმედითი სახე არ დარჩეს საზოგადოებრივი დირებულეების გარეშე (ხაზი ჩემია ე. კ.)

ამგვარად, თვითველი პიროვნების შემოქმედებითი გზა კრიტიკოსთა ხალხურ შემოქმედებას დაუკავშირა. ასე ღიღროს ანიჭებს ბ. ბუაჩიძე ხალხურ შემოქმედებას. მიუხედავად ამისა, შეკითხვაზე — დასაშვებია თუ არა დღეს ხალხური შემოქმედების დონით დაკმაყოფილება, იგი უარყოფითად პასუხობს. მას მასიური შემოქმედება ხელოვნების მხოლოდ ჯანსაღ საწყისად მიაჩნია, „რომლიდანაც გამომდინარე უნდა შეიქმნას მთლიანი და ცოცხალი სახე ხელოვნებისა, რომელიც ამ საწყისის გამო იქნება უშუალო დამოკიდებულებაში მასის სულიერ მოთხოვნილებასთან“.

ამ ეტაპზე არსებულ ხალხურ ხელოვნებას იგი არ სთვლის სრულყოფილად, ვინაიდან: „ხშირად ის უსისტემოა და რეგრესიული, თან სდევს ფორმის პრიმიტიული, ტრადიციული ყალიბი. მუშათა პოეტებს აშრწევიათ ანბანის უცოდინარობა და გულბრწყილო გაცნობება სახსოვნიდებელი ელემენტებისა“ — ამოიბს კრიტიკოსი.



გაუსწრო შემოქმედ მასის რაობას“ (ხაზი მისია).

რა თქმა უნდა, ეს ფაქტი კრიტიკოსს დროებით მოვლენად მიანია. ის გამოსთქვამს იმედს, რომ ხელოვნების ფუძედ კვლავ დარჩება მასიური შემოქმედება, როგორც საწყისი ხელოვნების ყველა სახეობისა და მისი შემდგომი განვითარების პოტენციის მომცემი. იგი აღზარდა წაწველა 21—27 წლების ქართულ ხელოვნებას და სასარგებლო დასკვნები გააკეთა, გონებით უკვე მთმომიფიქრებულმა კრიტიკოსმა, მაგრამ ასაკით მხოლოდ 22 წლის ახალგაზრდას.

ბ. ბუაჩიძის წიგნში „ხელოვნების მიმდინარე საკითხები“ აღნიშნულია ხელოვნების ჩამორჩენილობის კონკრეტული ფაქტები და მისი გამომწვევი მიზეზები, — ამ მიზეზთა აღმოფხვრის საშუალებანი.

საქართველოში 30-იან წლებში მხატვრობა განზე, იზოლირებულად იდგა საერთო საქმიანობიდან. ბ. ბუაჩიმე აღნიშნავს ხმა და მხატვრო: აკადემიის და „მხატვართა საზოგადოების“ წინააღმდეგ, „...მათი დიდი ნაწილის საქმიანობა დროისა და სივრცის გარეშე მიმდინარეობს. ჯერ მხატვართა არცერთი ფენას, საჯაროდ, საზოგადოებრივად არ დაუყენებია საკითხი ხელოვნების რევოლუციურ თანამედროვეობასთან ურთიერთობის შესახებ.“²

კრიტიკოსი აღფრთოებულია მხატვართა საზოგადოების უმოქმედობით. აღნიშნავს, რომ „ქართველ მხატვართა საზოგადოების“ ერთადერთი საქმიანობა რამოდენიმე წელიწადში ერთხელ სურათების პატარა გამოფენა, რომელიც იმდენად დაშორებულია თანამედროვეობიდან, რომ თამამად შეიძლება მეცრამეტე საუკუნის რომელიმე პერიოდად გვევლინებინა. განსაკუთრებით გულსტიკივლით აღნიშნავს კრიტიკოსი იმ ფაქტს, რომ „საზოგადოების“ არამც თუ რაიმე კარგი გაკვეთილია ახალგაზრდობის წამოსაწყვად, „არამედ ყოველნაირად ხელს უშლიდა მათ აღზრდას, გამოიწვინა და სწორ გზაზე დაყენებას.“⁴

ეს საკითხი დღესაც აქტუალურია. ხელოვანის ცხოვრებიდან იზოლირება მის შემოქმედებით სიკვდილს უდრის. არსებითად ხელოვნების პრაქტიკა ცხოვრება არის. რაც უფრო მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ხელოვანი მასებთან, მით უფრო კარგად აღიქვამს ის ცხოვრების პროცესს, გაიყნობს ადამიანებს, რის შედეგადაც გაცილებით იოლი იქნება მისთვის შექმნას დიდი ტილოები, სრულად ასახოს სახეები, გამოაჩუქებოთ მინუშნეტები.

ამასთან ერთად კრიტიკოსი ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ ზოგიერთი მხატვარი არ ემსახურებოდა რევოლუციას, არ იყო ახალი ყოფის ორგანიზატორი. ამ ბრალდებას ის უყენებდა არა მარტო მხატვრებს, არამედ ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენლებსაც.

ბ. ბუაჩიმე მიუთითებს ხელოვნების აპარატის მუშაობის მრავალ ნაკლზე და ძირეულად ეხება ხელოვანთა კადრების განაწილების საკითხს. კოლექტივიზაციის რაიონები და საწარმო ცენტრები, ხალხი, რომელიც დამკვერელი ტემპებით

აწარმოებს ცხოვრების გადაკეთებას, მხატვრულ სასრდის ითხოვს, (აღნიშნავს კრიტიკოსი). მაგრამ მათ ნამდვილ, მასისათვის აუცილებელ და მის გამეორებასთან შეფარდებულ ხელოვნებას ვერაფერ აწვდის: „მუშათა რაიონებისათვის, იშვი-ათად პროფინციისათვის, მხოლოდ მეორეხარისხოვანი „ხელოვნებას“ იმეტებენ, ვიმორტო, ისიც იშვიათ შემთხვევაში“³.

კრიტიკოსი მოითხოვს — მნიშვნელოვანი კადრი ხელოვნების მუშათა გადსაროლილი იქნეს „...იქ, სადაც მუშა წარმოების ტემპს სწევს, სადაც გლეხი წარსულის კომპარს მუშეობს“.

ამის სისრულეში მოსაყვანად მთავარ ხელოვნებას ბ. ბუაჩიმე ხელოვანთა ბრიგადების შექმნას უკანახებს. თუ როგორი უნდა იყოს ეს ბრიგადები, ამის შესახებ კრიტიკოსი შემდეგ პასუხს გაჟღერებს: „ეს ბრიგადები უნდა იყოს რევოლუციური ენთუზიაზმის გაძლიერებელი, ახალი ადამიანის ფსიქიკის, განწყობილების ორგანიზატორი და არა წარსულის მოიფხიფე“.

როგორც ვხედავთ, ეს სადღეისო საკითხიც არის. მას სრულიად არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, აქტუალობა. იგი აკადემიურ თეატრულს მოუწოდებს ზოგიერთი სპექტაკლის გატანას კოლექტივიზაციის მთავარ რაიონებში. „კოლექტივიზაცია დღეს ფორტია, არანაკლებ სასტიკი, ვიდრე ხელმართული სამოქალაქო ომი“.

მუსიკალური ხელოვნების დარგიც არ აკმაყოფილებს ბ. ბუაჩიმეს. იქაც ადგილი აქვს ფორმისა და შინაარსის შეუხამებლობას: „რევოლუციონურ სიტყვებს ძველი მოტივებით მღერიან“.

კრიტიკოსი აღფრთოებულია, რომ ხელოვნების წარმომადგენელი უფრო თავიანთი სამოქმედოზე ზრუნავენ, ვიდრე ხალხის სულიერი საზრდოზე. ისინი, გასტროლიორები გატაცებულნი, ქართულ მუსიკის ფონიდან უკანასკნელ თანხას ახარჯავენ მათ. „დღეს გაცილებით უფრო უდიდესი კულტურული ასევე ერთი მოძრავე სინთეტიური ბრიგადა“ — თეატრი წარმოების კოლექტივიზაციის ფორმზე, ვიდრე ორიგინალზე გასტროლიორი და ოპერის მუშეუბის სიყვარული.

ამ ასრებში, შესაბამის, განცვიფრებაში მოიყვანოს ვინმე, შეიძლება კიდევ ცილი დასწამოს მას, თითქმის ბ. ბუაჩიმე საოპერო ხელოვნების წინააღმდეგ ყოფილიყოს განწყობილი. პირველყოფისა, მას მხედველობაში ჰყავს გასტროლიორები, „რომელთა ტკიბილი ხმა სხვებთან ერთად ატკიბოდა და აბრუებდა „მთავარხელოვნებას“. გასტროლიორები ვერაფრით ვერ ემსარებოდნენ ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებას, თანებენ კი, განცვიფრული ქართული მუსიკალური ხელოვნების გასაძლიერებლად, მათზე ინაჯებოდა, რომელთა დანიშნულება იყო გაერთოთ ხალხის ზედა ფენა. რაც შეეხება ადგილობრივ საოპერო ხელოვნებას, ის კვლავ ძველი გზით მიდიოდა, იქ არც რევოლუციის შუკი იყო შეტანილი და არც ეროვნულ მუსიკას ეიმობდა მნიშვნელოვანი ადგილი. წლიდან წლამდე ძველი რეპერტუარი კვებადნენ ხალხს, ოპერაში ყველაფერი ისე იყო დაყენებული, როგორც ნახევარი საუკუნის წინ, ამის გამო უწოდებს მას კრიტიკოსი, „ოპერის მუშეობს“.

რაც შეეხება სინთეტურ ბრიგადებს, ბუაჩიმეს ის დიდი

² ბუაჩიმე „ხელოვნების მიმდინარე საკითხები“, გვ. 21
³ იქვე, გვ. 25



მასშტაბით ჰქონდა გააზრებული. ბრიგადებში მონაწილეობა უნდა მიეღო მწირობებს, მხატვრებს, მომღერლებს, აკადემიური თეატრებისა და ხელოვნების გამორჩენილ მოღვაწეებს.

ამ საკითხების მოსაგებებლად ბუჩაქიძე მოითხოვდა საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის მოზიარებას, თავი ხელოვნების მუშაკების საზოგადოებრივი ალლის განმხილველებს, ხელოვნების კავშირის და ხელოვნების მთავარმმართველობის აქტივებს.

ხელოვნების საკითხების მოუწესრიგებლობაში მთავარ დამნაშავედ ბ. ბუჩაქიძე „მთავარხელოვნებას“ სთვლიდა.

„ის პასიურია, უსახო, არავითარი მხატვრული პოლიტიკა არ გააჩნია, შემთხვევის ანაბარად ასრულებს მხოლოდ ცუდი რეგისტრატორის როლს“.

სხვადასხვა ხელოვნების დარგების შესწავლისა და ანალიზის შედეგად ბუჩაქიძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დაუქსებულებები, რომელნიც ხელს უწყობდნენ ქართული ხელოვნების წინსვლას, თავისი პასიურობით, აპატიითა და რეგრესული მიმდინარეობა მფარველობით, პირიქით ხელს უშლიან მის სწორი გზით განვითარებას. საწარმოო ძალთა გიგანტურმა ზრდამ, სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე გადასვლამ, საქართველოს ეკონომიკურმა და კულტურულმა აღორძინებამ შექმნა პირობები ხელოვნების წინსვლისა საქართველოში. ახლა უკვე აღარ ჰქონდა ადგილი იმ პარადოქსალურ მოვლენებს შემოქმედსა და ამთვისებელს შორის, რომელთაც ბუჩაქიძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ადრეულ პერიოდში ლაპარაკობდა.

ბუჩაქიძე, როგორც ობიექტური კრიტიკოსი აღფრთოვანებით წერდა: „ქართველმა პროლეტარიატმა კულტურის და ხელოვნების მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი მიიღო მეგვიადროებით... მაგრამ არასდროს ქართულ ლიტერატურას და ხელოვნებას არ უნახავს ასეთი სწრაფი, არაჩვეულებრივი და მრავალფეროვანი აღორძინება, როგორიც მან პიკოპო პოლოეტარიატის დიქტატურის დროს. არასდროს საქართველოს არ ჰქონდა ასეთი მაღალი თეატრალური კულტურა, ამდენი მოქმედი თეატრალური ორგანიზმი, რასაც დღეს ჩვენ ვხედავთ“. მის მართალ კალამს არც სახვითი ხელოვნების წინსვლა გამოჩნენია. მხატვართა შორის ბუჩაქიძე განსაკუთრებით გამოიყოფოდა ე. გუდიაშვილს, აღნიშნავს მის უხადლო ნიჭს, წინსვლას, მისი შემოქმედების განუმეორებლობას: „მეტისმეტად სანდერესოა კულტურის მწვერვალზე მყოფი გუდიაშვილის შემოქმედება, რომელიც, საკაემირო მასშტაბით, ხელოვანთა პირველ რიგებში დგას. — ამბობს კრიტიკოსი. იქვე აღნიშნავს ე. კაკაბაძისა და ახალგაზრდა მხატვრების ირ. თოძისა, კ. სანაძისა და ა. ქუთათელაძის მიღწევებს.

ბ. ბუჩაქიძე ხაზს უსვამს ქართული მუსიკის ინდივიდულობას და მრავალფეროვნებას: „... ქართული მუსიკა ორგანიზულად დაყრდნობა ხალხურ შემოქმედებას, გახდა მრავალფეროვანი, ინდივიდუალური და მდიდარი“.

კრიტიკოსი აღნიშნავს რეჟოლუციის ღვაწლს ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების საკითხში. „რეჟოლუ-

ციამ შობა ქართული ოპერა“. ამჟამად საქართველოში თავისი კომპოზიტორები და კეთს რამდენიმე მაღალი ღირსების ოპერა. („აქსელსომ და აქუსი“, „დაისი“ ზაქარია ფალიაშვილისა, „შოთა რუსთაველი“ — დ. არაყიშვილისა, „თამარ ციხორი“ — ანდრია ბალანჩაიასა, „ქეთო და კოტე“ — ვ. დოლიძისა) ამასთან ერთად კრიტიკოსი არ იფიქრებს ახალგაზრდობის (ლაპარაკია 30-იან წლებზე. ე. კ.) გ. კილაძის, ი. ტუხუაძის და მ. შველიძის მიღწევებს.

ქართული კინოხელოვნების პირველი პერიოდი არ აკმაყოფილებდა კრიტიკოსს, აღნიშნავდა ეგზოტიკით ზედმეტ გატაცებას.

კრიტიკოსის ღრმა რწმენით, ახალგაზრდა კინორეჟისორებმა ნ. შენგელაიამ, ლ. ესაკიამ და დ. რონდელმა გარდატეხა მოახდინეს კინოხელოვნებაში და დღეს: „ქართული კინო აღინიშნავს მნიშვნელოვან წინსვლას ფართო გზაზე დგას“. იქვე აღნიშნავს მიხეილ ჭიაურელის დიდ მოღვაწეობაზე ქართულ კინოხელოვნებაში.

რაც შეეხება თეატრალურ ხელოვნებას, სახვითი სამართლიანი კრიტიკოსის აზრი, რომ კოტე მარჯანიშვილის „ფუნტეტი ოკუბუნა“ იყო საწყისი ქართული საბჭოთა თეატრის ნამდვილი აღორძინებისა. ეს იყო უდიდესი იდეურ-ეთიკონალური შემოქმედების დიდი რეჟოლუციური საბჭოთა კოტე.

ამასთან ერთად ამ დადგამა აღმოაჩინა მსახიობთა ნიჭიერი კოლექტივი, რომელნიც თავიანთი შემოქმედებით ბიოგრაფიით უნდა უმაღლოდნენ სიცოცხლის სავე, მაღალი კულტურით აღჭურვილ, თავისებურ ხელოვანს და ისტატს კოტე მარჯანიშვილს.

მეორე სახელმწიფო თეატრს, რომელსაც კ. მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა, იგი ამასიათებს, როგორც დიდ დამნიშვნელოვან მხატვრულ ერთეულს და განსაკუთრებით აღნიშნავს კ. მარჯანიშვილის ღვაწლს ქართული დრამატურგიის შექმნასა და განმტკიცებაში.

ქართულ მიესებს შორის ყველაზე მაღლა აყენება პოლიკარტე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს“.

ბუჩაქიძე აღნიშნავს, რომ რუსთაველის თეატრი ნამდვილ საბჭოთა რეალსებზე მხოლოდ მისი არსებობის მეორე პერიოდში დადგა.


ორგინალური დრამატურგიიდან კრიტიკოსი როგორც მხატვრულ, ისე იდეური თვალსაზრისით, დადებითად ახასიათებს ალ. მამაშვილის „განგაშს“.

ამგვარად, არ დარწმუნა ხელოვნების არც ერთი დარგი, რომლის ფორმირებაში ბუნებრივ ბუჩაქიძეს მონაწილეობა არ მიეღოს. ის ერთ-ერთი იმთავანი იყო, ვისი გამჭირბინი გონება ბასრი კალამი, უტყუარი ალღო, გზას უნათებდა და წინ მიუძღვდა ქართულ მხატვრებს.

ჩვენ ამ წერილში შევიჩრდით მხოლოდ მის მოღვაწეობაზე ხელოვნების სფეროში. გაცალბედიშ მტკია მისი ფაქტი ქართული ლიტერატურული კრიტიკის ასაპრეზუ.

ბ. ბუჩაქიძე უაღრესად ნაყოფიერი კრიტიკოსი იყო, მან თავის ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე რვა წიგნი შექმნა ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებას.

საქართველოს მემკვიდრეობის
საქართველოს მემკვიდრეობის



დე ბაის ფქსიმილე ილასადმი მიძღვნილ წიგნზე.

ბარონ დე ბაი აღმოსავლეთ საქართველოში

დავით ფანჩულიძე

ფილოლოგიკური მკვლევარებათა კანდიდატი, დოცენტი

ქართველოლოგიის სფეროში ფრანგმა საზოგადო მოღვაწეებმა წინ გაუსწრეს თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის წარმომადგენლებს. მათ შრომებში დასავლეთ ევროპის ხალხები პირველად გაეცნენ ქართულ კულტურასა და ლიტერატურას.

ბარონ დე ბაიმ საფრანგეთში ქართული კულტურის ფართო პოპულარიზაციით გაითქვა სახელი. იგი იმ პროგრესულ, მოწინავე ფრანგ მოღვაწეთა სახელოვან პლადას ეკუთვნის, რომლებიც დანტერესებული იყვნენ რაც შეიძლება ფართოდ გაეცნოთ თავიანთ თანამედროვეთათვის უცხო ქვეყნების კულ-

ტურული ცხოვრება. დე ბაი არ იყო პირველი, რომელმაც დასავლეთ ევროპას გააცნო ძველი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ისტორია, კულტურა, ყოფაცხოვრება, ლიტერატურა...

ქართველი ხალხის დიდი ისტორიული წარსული, კულტურა, მისი აწმყო და მომავალი, დე ბაიზე ადრე მისმა სახელოვანმა თანამემამულეებმა: მარი ბროსემ, ჟან შარდენმა, ჟან ტავერიემ, დიუბუა დე მონპერემ, ალექსანდრე დიუმა-მამამ და სხვებმა გააცნეს ფრანგ მკითხველებს და თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართველოლოგიის დარგში.

ბარონ დე ბაის კალამს ეკუთვნის წიგნები: „ეტიუდები უკრაინის არქეოლოგიაზე“, „იკივი, რუსების ქალაქების დედა“, „ვოლგადან ირტიშამდე“, „მოსკოვიდან კრასნოიარსკამდე“, „ახალ რუსეთში“, „საქართველოში“, „კავკასიონის ქედის სამხრეთით“, „კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით“, „აფხაზეთში“ და სხვ.

წიგნი „საქართველოში“ ბარონ დე ბაი გადმოგვცემს შთაბეჭდილებებს, რომელიც მიიღო აღმოსავლეთ საქართველოში მოგზაურობისას. მას ეს შთაბეჭდილებები ცალკე მოხსენებებად წაუკითხავს 1898 წლის 15 თებერვალს პარიზის გეოგრაფიულ საზოგადოებაში. წიგნს იწყებს საქართველოს სამხედრო გზის აღწერით. გვიხატავს დარიალის ხეობას, მისი უზარმაზარი კლდეებით, დაუცხრომელ, შმაგ თერგს, თამარის ციხეს, სოფელ სიონს, მყინვარ ყაზბეგს და საერთოდ ყველაფერს, რაც მან თავისი თვალით ნახა კავკასიან თბილისში მომავალმა. იგი დიდად დაინტერესდა საქართველოს უძველესი სატახტო ქალაქით-მცხეთით და გულდამით დათვალერა მისი ღირსშესანიშნაობები. ფრანგი სტუმარი აღნიშნავს, რომ ქართველი მეფეები ტახტზე ასვლის წინ თავიანთ გვირგვინს აკურთხებიანბღვნი, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში, რომელიც ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. შემდეგ ახასიათებენ მეფე მირიანის დროის საქარ-



თველოს, განმანათლებელ ნინოს. მოკლედ აღწერს ქალაქ თბილისს, ვინაიდან მან თბილისის ისტორიას ცალკე წიგნი მიუძღვნა.

ბარონ დე ბაიშ იმოგზაურა კახეთში, დაათვალიერა ეს ბარაკიანი მხარე და მას „საქართველოს წაოკოტი“ უწოდა. აქურმა ბუნებამ, გამოიღმა ველებმა, ვენახებმა აღტაცებაში მოიყენა ფრანგი მოგზაურა. დაწერილობით აღწერს კახურ მოწყობას, ყურძნის კრეფა-დაწურვას. მან დაათვალიერა თელავი, შუამთის მონასტერი, დაესწრო ალავერდობას, თელავთან გამა, ქართულ ჭიდაობას. კარდანახში გადაულა ჩიხტაკოპში ბაშოწყლის რეზილი შვიდი კახელი მანდილოსნის ჯგუფური სურათი და წიგნში აღწერა მათი სილამაზე და ჩაცმულობა. ნაშრომში დაბეჭდილია აგრეთვე საბედო (ელისაბედ) მჭედლიშვილის სურათი, როგორც ქართველი ქალის დახმასიათებელი ტიპისა.

ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ამ მოგზაურობის საოცარმა გარეგნობამ, მისმა არწივისებურმა გამოხედვამ მოილად დამპყრო და გამაყავა. ხოლო სქოლიოში ფრანგ მკითხველს განუმარტავს თუ რას ნიშნავს ქართული ჩიხტაკოპი და ლეჩაქი, და საიდან წარმოსდგება გვირი მჭედლიშვილი.

ფრანგმა სტუმარმა აქ პირველად ნახა კახური ცვეკა-თამაში. კარდანახში გადაიღო ლეკურისა და კინტაურის ცვეკის ცალკეული მომენტები. ორი ქალიშვილის ცვეკა მიწადასვე, რომელთაგან ერთი გარბინა სურავს, მეორე კი დაიარსა, ცვეკა კინტაური დუღეკისა და დოლის თანხლებით. და იქვე სინანულით წერს: „კინემატოგრაფი უნდა იყო, რომ გადმოსცე ამ ცვეკების სიკვლევე, სიდალი, სიმარჯვე, სიმაყე კაქურცობა და სიმწვენიერი ყველაგან თანდაყოლილი თვისება ქართველი ხალხისა“. ამის შემდეგ მოგზაური ფრანგ მოთხვევლებს გადსცემს კახეთში ყურძნის წურვის მიელ ტექნოლოგიას: რჩეულე მამაკაციანი ფეხებს ღაბინანდ და სავსე საწინააღმდეგობით, ხან ნელი და ხან ჩქარი მოძრაობით ფეხით სრესენ ყურძნის მარცვლებს, რის შემდეგაც საწინააღმდეგობით გამოიღინება ყურძნის წვერი, რომელიც ჩადის მიწაში ჩაფულე ქუშიში, ანუ ქვევრიში. ამ დროს გაისმის მრავალფეროვანი ქართული სიმღერები. ქვერი საქართველოშივე კეთდება თიხისაგან, იგი სხვადასხვა მოცულობისაა. საწინააღმდეგობა დე ბაი თვისებურ ნავს უწოდებს. მისი ყურადღება მიიქცა ქართულმა ტიკამ, რომელიც ფართოდ გამოყენებულია საქართველოში ღვინის გადსახლიდა. იგი განმარტავს, თუ რისაგან და როგორ აკეთებენ ამ ჭურჭელს, აგრეთვე დაწერილობით აღწერს ქართულ მარანს.

ფრანგ მოგზაურზე წარმოსული შთაბეჭდილება მოადინა კახეთის ერთ-ერთმა უძველესმა ქალაქმა — სიღნაღმა, მისმა შესანიშნავმა ადგილმდებარეობამ, საიდანაც ხელისუფლებით თითქმის მთელი კახეთი იმლება. დიდი ინტერესით დაათვალიერა სიღნაღის ხალხმრავალი ბაზარი, სადაც იყიდებოდა სხვადასხვაგვარი საოჯახო ჭურჭელი, რკინეულობა, სპილენძეულობა, ხალიჩები, ფარდაები, სხვადასხვა იარაღი. ბარონ დე ბაი გაოცებული შეჩერებულა ბაზრის ერთ კუთხეში, სადაც ერთ-ერთ და იმავე ხელისნის მიერ გაკეთებულ აკვნებსა და კუბოებს აჰყიდდნენ. იგი წერს. „აი, აქ, სიღნაღის მცხოვრებნი მოიღიან:

ზოგი ახალდაბადებული ბავშვის აკვნის საყიდლად დასწრე გარდაცვლილის კუთხისათვის. აკვნას არწევებს დედა, თავადბარონი კულისი და ეალერება თავის პირმშოს, კუთხისთან იხრებინა ჭირისუფალი მშობლე იმისათვის, რომ უკანასკნელი ცრემლი დადგეჭვიონ მიცვალელებს. არაფერია ამაზე უფრო შემბრაძი, უფრო ფილოსოფიური, უფრო პოეტური, უფრო ღრმა, ვიდრე ასეთი შეხვედრა, ასე ბუნებრივი და ასე მოწოდებული. ხელიოსანი შრომობს სიცოცხლისა და სიკვდილისათვის, მხიარულობისა და გლოვისათვის, დასაწყისისა და დასასრულისათვის, ამ ვაჭარს უბოხოლავეთია ერთმანეთისადმი, უციდურესად დაპირისპირებული საგნები, საგნები პირველი მოთხოვნისა, და საგნები უკანასკნელი მოთხოვნისა. ასე ტლანქად შეაჯამა მან თავის დუქანში ორი საწყისი. მან გონივრულად მოუხშო ამ ორ გამს (წუთს), ასე შორეულს და ასე მახლობელს, ჩვენი გაჩენისა და ჩვენი გაქრობისა. სიღნაღელებს, როდესაც თქვენ ბაზარში მიიხიართ და ფიქრობთ რით გამოიყურება და რა ჩაიყვით, ფიქრობთ თუ არა ანგელოზებზე, სუდარაზე ან სიცილებელზე?“. 2

კახეთში მოგზაურობის შემდეგ ბარონ დე ბაი ეწვია ბათუმს და ჩაქვს, დაათვალიერა იქ უცხოელთა ჩაის პლანტაციები. შემდეგ ქუთაისს ჩასულა. აქ სადილად მიიწვიეს ერთ ოჯახში, სადაც სუფრას თაიარხად დადგმულიყონ თამაღობდა. დე ბაი აღნიშნავს, რომ აქ, ქუთაისში სვამდნენ კახურ ღვინოს ქართულ ყაიდაზე, ვიტყვით — იმერულ ყაიდაზე. იქვე განმარტავს სიტყვა „ტლოლმამაში“ (დე ბაი ხაზობს სიტყვას „ტლოლმამაში“ — დ. ფ.) და აღნიშნავს: „ტლოლ“ მაიდან ნიშნავს, „ბაში“ კი თავს ე. ი. „მაგიდისათვის“. სუფრის ხელმძღვანელს, სუფრის მეთაურს. თამაღის მოვალეობა ძალიან ძნელი შესასრულებელია, ის ოჯახის წევრების, სტუმრების ახლოს ცნობას, მკაფიო და გონებამახვილურ დაპირაკას, სიმხიარულეს, განსაკუთრებულ ტემპერამენტს და რაც შეიძლება სხვაზე მეტი ღვინის დაღვევას მოითხოვს. ქართულ მაგიდასთან მთელი ძალაუფლება თამაღის ხელშია, მას ერთი ან რამდენიმე მოადღეულე ჰყავს, პირველ სადაღვერძელის ის წარმოსთქვამს და თუ ვინმე წესრიგი დაარღვია რამდენიმე დიდი ჭიქა ღვინის დაღვით ისჯებაო შემდეგ კი ქართული სადილის მთავარი ასე განმარტავს: ჩიხირბა — ქათმის წვერი ზაფანანაფი; ბონბაში — ცხვრის ხორცი წვენი; მწვალი — ე. ი. „მასლია“ — შამფურზე წამოყმენი ცხვრის ან საქონლის ხორცი ვავარგარებულ ნახშირზე შემწვარი; ყაურმა — რაგუ; რაბაკა — შემწვარი წიწილი; ჩახსბილი — ქათამი ან ხოხობი შემწვარი პამიდორისა და ხახვით; ბიჭი — საქონლის ბეჭი მოხარშული. თამაღ ან ოჯახის უფროსის გრძელი მჭრელი დაწინი ჭრის ან ბეჭის ხორცს და წაწილებს მაგიდაზე მსხდომთ. ქართულ მაგიდაზე არ იციან ნაწილი, იქ ბევრი ღვინოა, როგორც წითელი, ასევე თეთრი, წითელი ღვინო ცოტა სქელია, საუცხოო ფერისა და სასიამოვნო გემოის. თეთრი, ასევე სასიამოვნოა, თითქმის მსუბუქი და ადვილი დასალევი, გამოუცვლელი ცაცი მას ბევრს სვამს და ძლიერ თვრება. თვითიულ სადღვერძელის მის დაღვევას მწვენიერი სიმღერა, ცვეკა-თამაში და ასე გრძელდება დიდხანს ძახილი: „ტამი“, „ტამი“. და აქვე განმარტავს რა არის ჭიანური, თარი, დუღეკი.

1 Le Baron de Baye, En Géorgie, Paris, 1898, p. 33.

2 ბარონ დე ბაი გვ. 44-45.



ფრანგი მოგზაური დაწერილებით აღწერს ქართულ ცეცხას: საცქვაოდ გადადის ჯერ მამაკაცი, რომელიც თამაშით ჩამო-
სვლის საცქვაოდ მოედანს, შემდეგ კი გამოიწვევს სასურველ
სუღრის წყერ რომელიმე ქალს. ეს ქალიც სიამოვნებით გაქვებ-
ბა, რამდენიმე ხანს ერთად ცეცხავენ, მამაკაცი ცოტას შეიხე-
წებს, ქალი განაგრძობს ცეცხას, მის შემდეგაც უნა ჩაქურ-
ტებს მამაკაცს, რომელიც დგას მის წინ და ტანს უკრავს, მა-
მაკაცი გაყვება და ასე ერთად ცეცხავენ ბოლომდე. ბარონ დე
ბაი დაძებნა, რომ მას არასოდეს არ უნახავს ასეთი შემწევიერი,
საოცარი და დამატებითელი სახანაბაა. იგი მოიხიბება ქარ-
თული სიმღერებით, რომელთა შორის ასახელებს — „ოფელა,
დელა დელას“³. ცეცხა-თამაშსა და სიმღერებს შორის წარმო-
ითქმება სადღეგრძელოები. სუფრასე მსხდომნი ღვინით სავსე
ყაწებებით ხელში თავაზიანად მიმართავენ უცხო სტუმრებს.
გვიან ღამით, ქუთფის შემდეგ, მუსიკითა და „ვაშას“ ძახილით
მაიკლიბენ სტუმრებს, განსაკუთრებით, უცხო სტუმრებს,
რომლებსაც თან მიჰყვებათ წარუშლელი შთაბეჭდილებანი ასე-
თი გულითადი მიღებისა და პატივისცემისათვის.

ბარონ დე ბაი აღწერს გელათის მონასტერს. ლაპარაკობს
წმინდა ნინოს შესახებ, ახასიათებს მას, როგორც ბრწყინვალე
ქართველ განმანათლებელ ქალს. ამ საკითხთან დაკავშირებით
აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ 1899 წელს
გამოქვეყნდა წერილი: „წმ. ნინოს თავყანისებმა საფრანგეთში“,
რომელშიც ვკითხულობთ: „ცნობილი ფრანგ მოგზაურს და
მსწავლულს ბარონ დე ბაის, რომელიც ამგანად თბილისშია,
შემდეგ საინტერესო ცნობებით გადურთავა კავკასიისა-
ვის“ ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს შესახებ, საიდ-
ნაც ჩანს, რომ ამ წმინდანს საფრანგეთშიაც თავყანას სცემენ.
ბარონ დე ბაის სიტყვით, „საფრანგეთის შემდეგ ეპარქიებ-
ში — რუმისა, შალონისა და სხვებში მრავალი ეკლესია
აგებული წმ. ქრისტიატანს სახელზე. შამაჰის დეპარტამენტში
ყველაზე მეტად ამ წმინდანსა სცემენ პატივს. როგორც ამ ბო-
ლო დროს აღმოჩნდა, წმინდანი ქრისტიატან დე წმ. ნინო ერთი
და იგივე ყოფილა.

ბარონ დე ბაის წყალობით საფრანგეთში მრავალი ბროს-
ურა გავრცელდა საქართველოს შესახებ. მათში წმ. ნინოს
ცხოვრებაც არის აღწერილი. ერთხელ ბარონ დე ბაის ლაპარაკ-
ი ქჷნიდა რეისის მთავარ ეპისკოპოსთან, რომელსაც უთქვამს,
რომ წმ. ქრისტიატან დე წმ. ნინო ერთი და იგივე უნდა იყოს.
ამის შემდეგ დე ბაი ამ საგნის დაწერილებით გამოიკვლევას
შესდგომია.

„წმ. ქრისტიატან ივერთ განმანათლებელი, რომის კათოლი-
კთა ზოგიერთ კალენდარში ქალწულ ნინოდ წოდებული, რომ
ცვლილთაში აღნიშნულია 15 დეკემბრის ახალი სტილითი.
წმ. ქალწულის ცხოვრება აღწერილია რუსისაგან (+ 410 წ.),
რომელმაც საჭირო ცნობები ივერთა ერის თავადისაგან მიიღო.
ამ თავადს რუგინი იერუსალიმში შეხვედრია, რუგინს დავიწყ-
ებია წმიდანის სახელი და ნინოს ნაცვლად ქაერ-ქრისტიატან
წოდებია. შემდეგ სასულიერო ავტორებსაც ისევე სახელი უხ-
მარიათი. ბოლოს, ზოგადი სახელი ქრისტიატანე საკუთარ სახე-
ლად გადაქცულა. მას შემდეგ წმ. ნინოს იხსენიებენ ასე:
ქრისტიატანე ქალწული. შარდენი თავის „მოგზაურობაში“
(XVII სუკ.) ქართველთა განმანათლებელს უკვე ნინოს უწოდ-
ებდნენ. როდესაც აკადემიკოსმა მარი ბროსმა 1889 წელს „ქარ-

თლის ცხოვრების“ თარგმანი გამოაქვეყნა, ყველაფერი გამოცხ-
კვა. ამის შემდეგ რომის კათოლიკეთა სასულიერო მწერლებმა
წმიდანს ნამდვილი სახელი დაუბრუნეს და უწოდეს: ქარ-
თველი განმანათლებელი ნინო“. ამ საგნის გამოსარკვევად
ბევრი იმუშავეს, მაგალითად, მამა მარტინოვმა, მ. გაგარინმა
და მ. დარამ.

„ამრიგად, — დაუმთავრებია დე ბაის, — მე მიყვარს
მშვენიერი საქართველო მარტო ბუნების სილამისა და იმის
შეილთა გულწრფელობისათვის კი არა, არამედ იმისათვისაც,
რომ ჩემი სამშობლო თავყანას სცემს წმ. ნინოს“³.

ბარონ დე ბაი განსაკუთრებით ვრცლად აღწერს თამარ
მეფის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. როგორც ჩანს, ფრანგ
სტუმარს სიონის ეკლესიაში უნახავს თამარ მეფის სურათი და
გადაუღია კიდეც. იგი საზოგადოებას აცნობს თამარ მეფის
სახელთან დაკავშირებულ ქართულ მასალებს, ლეგენდებს, გა-
მინათქმებს, ლექსებს და სხვ. აი ერთი მათგანი:

„თამარ მეფე ღმრისი უყვარდა,
ციანდ ჩამოესხა რეკა:
იაღბუხუდდ ფეხი შესდგა,
დიდება მთებმა იწყეს დრეკა.

La reine Thamar était aimée de Dieu, Elle en-
tendait sonner les cloches du ciel. Elle a mis son
pied sur l'Elbrouz, et les grandes montagnes commen-
cèrent à s'abaisser.⁴




ფრანგი მწერალი ახასიათებს თამარ მეფისა და შოთა რუს-
თაველის ურთიერთობას. ხაზს უსვამს უდიდესი ქართველი პო-
ეტის დიდიტატურ ნიჭს, რომლის გამოხატულებაა მისი ლექს-
სების უკვდავი სტიქიონები. იგი აღნიშნავს, რომ ქართველები
ახლაც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით წარმოთქვამენ
ხოლმე შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის სახელს. საქარ-
თველოში დღემდე შემორჩენილი მრავალი ციხე-ნანგრევი,
ბევრი ლექსი და ლეგენდა თამარ მეფის შესახებ ხალხის მიერ
შექმნილი და ხალხშივე დარჩენილი, ნათელს ჭოფუნთ თამარ
მეფის დიდი სახელის წარუშლლობას ყოველი ქართველის
გულში.

დე ბაის იქვე მოაქვს ერთი გორელი მესტვირისაგან გაგო-
ნილი ლექსი თამარ დედოფლის შესახებ და განმარტავს, თუ
რას ნიშნავს საქართველოში მესტვირე. მას აგრეთვე მოუწონა
ქართველ მესტვირეთა მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც
გულის, სტიკორისა და ვერცხლის ძეწყვებით მორთული ქარახ-
სისაგან შედგებოდა.

ქუთაისიდან საქართველოს დედაქალაქისაკენ მომავალი
ფრანგი მოგზაური აღტაცებაში მოუყვანდა ბუნებასა და
ხალხს. იგი წერს: ყოველ სადგურზე ვაკვირდებოდი ადამიანებს.
ყველას მოხდენილი სიარული და კეთილშობილური მიხრა-
მოხრა, ქცევა და შეხედულება აქვს. ეს თვისებანი ბუნებრივია
ამ ხალხისთვის როგორც თავადისათვის, ისე მთავრობისათ-
ვის. მე შემეძლო თქვენთვის მივყენებინა მრავალი სურათი,
სურულიც შემთხვევით გადავღებულ, მაგრამ მხოლოდ ერთი
მოხატაღედ კაცის სურათის ჩვენებით შემოვიტარებდი. ამ
კაცს დაფლეთილი ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ იმის მიხრა-მოხ-

³ „ივერია“, 1899 წ. № 232.

⁴ ბარონ დე ბაი.



ყდა ღე ბაის წიგნისა „საქართველოში“

ყდა ღე ბაის წიგნისა „კავკასიონის ქედის სამხრეთით“

ყდა ქართული ზღაპარ-ლეგენდისა „მშვენიერება“.

რამი მე შევამჩნიე ძლიერ დიდი, თითქმის არტისტული მოხედნილობა“⁸.

თავის წიგნის „საქართველოში“ ბარონ ღე ბაი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „ყველას ვინც კი იცნობს ამ მომეცინარე საქართველოს, შეუძლია თქვას, რომ ეს ქვეყანა ახლა ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი ყვავილია იმპერიის გვირგვინში“. „დიდ მაღლობას მოვახსენებ რუსებს, რომლებმაც საშუალება მომცეს გავცნობოდა საქართველოს და ქართველ ხალხს. დიდი მაღლობა ქართველებს მათი სიმპათიებისა და კეთილმოსურნე მიღებისათვის“⁹.

წიგნი: „კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით“ ბარონ ღე ბაიმ მიუძღვნა ილია ჭავჭავაძეს ასეთი წარწერით: „პოეტს, პატრიოტს, ისეთი მშვენიერი ქვეყნის შვილს, სადაც მზე მუდამ კამკამებს. თბილისი — 1899 წლის 12 ნოემბერი. სოსიკო ღე ბაი“.

ამ წიგნში ფრანგი მეცნიერი მოგვიხიბრობს თავისი მოგზაურობის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში, ახასიათებს ხალხებს, რომლებიც ამ მხარეში ცხოვრობენ და საილუსტრაციოდ მოაქვს თავის მიერ გადაღებული ფოტოსურათები. ვრცლად ჩერდება ფშახტესურეთზე. განმარტავს თუ რას ნიშნავს ქართულად ზვესურეთი. აღწერს ზვესურთა ჩაცმულობას, ზნეჩვეულებებს და სხვ.

კახეთსა და ქართლს მიუძღვნა აგრეთვე ბარონ ღე ბაიმ თავისი წიგნი „კავკასიონის ქედის სამხრეთით“. აქ მოთხრობილია საქართველოში მისი შემდეგი მოგზაურობის საბუკედილობანი. ავტორი აღწერს კახეთში გავრცელებულ სახალხო დღესასწაულებს, განსაკუთრებით ვრცლად მოგვიხიბრობს ალავერდობაზე.

ასეთივე გამაყფილებითა და სიხარულით მოიარა ღე ბაიმ ბალ-ვენახებით შემკული ქართლი. აქაც დიდი სიყვარულით დათვალიერა ღირსშესანიშნავი ადგილები, ეკლესიები, ტაძრები, განსაკუთრებით განაცვიფრა იგი ატენის ეკლესიამ ხეობაში და უძველესმა ტაძარმა, რომლის სურათი გადართო და ჩინებულადაც აღწერა, ისევე როგორც გორის ციხე, უფლისციხე, მცხეთა, სვეტიცხოველი და სხვა მრავალი. ატენის ხეობის გამო ბარონ ღე ბაი წერს: „მე ერთხელ კიდევ მივხვდი ქართველი ხალხი რატომ არის ბუნებით მოხიბლული და რა ძლიერადაა მის ტყუობაში“¹⁰.

ჩვენმა ძვირფასმა სტუმარმა თავისი მშვენიერი სატოვანი ფრანგული ენით თანამემშულებებს გასაგებად და დამაჯერებლად გააცნო ყოველივე ის, რაც მან აქ ნახა, გაიგონა და ჩაიწერა. მან ასეთი დასკვნა გამოიტანა: „ქართველ ხალხს აქვს ტრადიციები და ხასიათები, რომელნიც ღირსნი არიან, შეიწინოს და დასტკებ მათით. ამ ხალხს, რომელსაც დიდი აზრები ახასიათებს, ზოგჯერ გენიალური თვისებები აქვს“¹¹. ამის დასამტკიცებლად ღე ბაის მოაქვს უძველესი ქართული ლეგენდა-ზღაპრის „მშვენიერების“ შემოკლებული თარგმანი იგი განცვიფრებული იყო ამ ლეგენდის ღრმა შინაარსით, მისი ფილოსოფიური აზრით. ამიტომ იყო, რომ ასე შიშვერა ბოლოს: „ლეგენდა დამთავრებულა. როსტომელა განისვენებს საქართველოს პოეტურ მიწაში... იმ ქვეყანაში, სადაც მხოლოდ მშვენიერება კი არ არის უკვდავი, არამედ უკვდავია აგრეთვე სიკეთე, სიმამაცე, პატივისცემა, სადაც ბრწყინავს გულითადი, დიდსულოვანი სტუმართმოყვარეობა“¹².

⁸ ბარონ ღე ბაი. გვ. 9.

⁹ იქვე, გვ. 54.


¹⁰ ბარონ ღე ბაიმ „მშვენიერების“ სრული ტექსტი, დასურათებულად, ცალკე წიგნად გამოცემა 1900 წელს ბარონში. მისი ქართული თარგმანი ჩვენ გამოაქვეყნეთ ელიტარული გაზეთში (1964 წ. 17/VIII № 29).

⁸ ბარონ ღე ბაი. გვ. 64.
⁶ იქვე, გვ. 70.
⁷ იქვე, გვ. 70.

თოდოროსი ჯოჯოხეთში ჩადის

(დ. პსათაისი „საპიროა მატყურას“ დადგმის გამომგრიბოედოვის თეატრის სცენაზე)

ვახტანგ ქართველიშვილი




თოდოროსი — ა. გომიაშვილი

ქოჯოხეთში ჩასვლის პროცესს პოეტურ პლანში ორფეოსის სახელს ვუკავშირებთ ხოლმე. თუ ძველბერძნულ მითს დავუკვირებთ, შავეთის კარზე მისდომა დავაბრუნებ; თუ ტენესი უილიამსის ცნობილი პიესის გმირის ველ ქსავიეს ხასიათის შინაგან ლოგიკას გავეყვებით, ვირწმუნებთ: თანამედროვე „მომღერალს“ არავის გამოსხნა არ სურს, — სინდისის მუტაციის შემდეგ იგი ურიგდება ოცნებისა და სინამდვილის გათიშვას და გადასწყვეტს სხვებივით იცხოვროს ჯოჯოხეთში. თუმცა რა შუამია აქ ეს დრამატული

შოტივი? თოდოროსი ხომ ათენში ჩადის და არა „სულელების სამყაროში“? თანაც, — რა კავშირია თოდოროსსა და ორფეოსს შორის?

სცენური ნაწარმოები, რომელზედაც გვექნება მსჯელობა, ერთი შეხედვით, მართლაც, არ გვაძლევს ამგვარი პასაჟის აღძვრის საბაბს. მაგრამ ჩვენ მიერ გამოხმობილი ასოციაცია უთუოდ იმძლავრებს, თუ კომიკურ პრიზმაში აღბეჭდილი დეფორმირებული კონტურების მიღმა თვით ამ კონტურების შექმნის პირველდაწყებითი იმპულსის მიგნებას შევეცდებით, თუ შემოძლეული ხასიათების გაანალიზებისას კომიკური უკუფუნების კანონზომიერებას გაითვალისწინებთ.

გავეცნოთ გმირებს:
— თოდოროს პარლასი, ანუ ცრუ-თოდოროსი. შთაგონების



რეჟისორი კოტე სურგულაძე

ძალით, როგორც სიცრუის მომღერალი, იგი ორფოსს უტოლდება. ცრუ მოწმედ ყოფილა და ეს „არაორფიციალური თანამდებობა“ სოლიდური პროფესიის ხარისხში აუყვანია: ქუნალისტიკაშიც უცდია ბედი. ამჟამად კი უფრო ფართო სარბიელს ეძებს, პერიფერიიდან დედაქალაქის „საბალახოზე“ გამოუნაჯარია და პარლამენტის დეპუტატის საპეციალური თანამშრომლის როლში მესიასავით უნდა მოგვევლინოს. ადამიანი, რომელიც ყბილის ტყუილს, რომელიც „ჩადის“ და „ჯოჯოხეთში“ როგორც საკუთარ სახლში თავს ისე გრანობს!

— თუთოლოს ფერეკისი — პარლამენტის დეპუტატი (იგივე პლუტონი) — ადამიანი, რომელიც „არ ჩადის“, ვინაიდან მასთან „ჩამოდიან“. საკუთარ სახლშია, მაგრამ თავს როგორც ჯოჯოხეთში ისე გრანობს. ყიდულობს ტყუილს, რათა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ წრეებში პირველი მოხმარების პროდუქტად აღიარებული ეს საქონელი მოგებით გაასაღოს ამომრჩეველთან. დარწმუნებულია: ცრუ-თოდლოსი მარტო მისი საქმეების გამმარებელი კი არა, მთელი საბერძნეთის მმართველიც გახდება.

— ჯენი — ადამიანი, რომელიც დაახლოებით ამავე აზრისაა. გარდა ამისა, ფერეკისის მეუღლეცაა, ანუ საკმაოდ ლამაზი გარეგნობისა და საკმაოდ ახალგაზრდა პერსონა. თუმცა იმის წინააღმდეგეც როდი იქნება, ევრიდიკას სახეში

რომ განიცადოს მეტამორფოზა და სიცრუის ორფოსს მსგავსი კურენცია გაუწიოს.

ამ „დიდებულ სამეულს“ გარდა, სხვათა „ლანდესაც“ გავესაზრებოთ. მათ ერთი საერთო აქვთ: ყველანი მოდიან, ანუ „ჩამოდიან“ ფერეკისთან, იშვიათად — მეგობრული ვიზიტით, მოხმირებულად — სათხოვნელად. და მთელ „საუფლოს“ ჯოჯოხეთის ნაგავივით — ცერბერითი შვეიცარი კრასიდასი სდარაჯობს, რაც კომიკურ უკუფენებში თხოვნით მოსულ ამომრჩეველთაგან პარლამენტის დეპუტატის დაცვას უდრის.

ჩამოთვლილი პერსონაჟებმა, ცხადია, გარკვეული და განსხვავებული ცხოვრების გზა მოლიეს, ვიდრე ჩვენი ყურადღების ფოკუსში აღმოჩნდებოდნენ. მთავარია, რომ მათ უკვე მიიყარეს თავი და თავიანთი „ღირსეული“ საქციელით საბოლოოდ დაადასტურეს ძველი ჭეშმარიტება — რომ „ყოველ გზას რომში მიყვარათ“. თავყრილობის პუნქტად კი რომის ნაცვლად ათენი რომ აირჩიეს, ეს მცირედი გეოგრაფიული ლაფსუსი შეიძლება მიეუტეთ სინდისის ქენჯნის გარეშეც. ჯერჯერობით ამაზე შევთანხმდეთ, დროებით ჩამოვევალთ მათ გზიდან და იმ გზას გავდეთ, რომელმაც დ. შსათასის პიესა „საჭიროა მატყუარა“ გრიბოდუის სახელობის თეატრის სცენაზე მოიყვანა.

ქართული თეატრის ინტერესი თანამედროვე ბერძნული დრამატურგიისადმი ბოლო დროს ფრიალ გაიზარდა. ამის მიზეზი ბერძენ ავტორთაგან შემომღეული დრამატურგიული მასალის მაღალ ხარისხსა და ჩვენი იდეურ-მხატვრული ტემპერამენტის სიახლოვეში უნდა ვეძიოთ. ალექსის პარნაოსის „ეფროიტეს კუნძულისა“ და ნოტის პერიალისის „მაფთიანი გოჯონას“ შემდეგ, დიმიტრის შსათასის „საჭიროა მატყუარა“ ჩვენი თეატრის უკვე „მესამე ბერძნული სიტყვაა“. ეს ნაწარმოებები, ცალკეულ ნაკლთა მიუხედავად, იდეური სიმახვილით, პოეტური სტილის მოჭარბებით, დახვეწილი დრამატურგიული ტექნიკითა და მადფირი სტენდრით გამოირჩევიან. ისინი გვაუწყებენ, რომ ელინური კულტურის ფესვი არ მოშთობილა სრულად და ამჟამინდელ ბერძნულ კულტურაში წიაღში კიდევაც იყრის ნერვს, რომ შეუძლებელია ერეხთიონისა და პართენონის მახლობლად უსუსტრო მხატვრული კომპოზიციის შექმნა გაბატონდეს კაცმა. თუმცა აქ, ელადის შვის ქვეშ, ტრადიციის და ნოვაციის შესლის პროცესი მეტად თავისებურ პირობებში მიმდინარეობდა და ახალი ბერძნული სათეატრო მწერლობა იმდენად რთული და თვითმეცადი ფენომენია, რომ კლასიკისთან კავშირი ასე იოლად როდი ამოიკითხება: უფრო ხშირად მას ინტუიციით შევგრძნობთ.

„საჭიროა მატყუარა“ პოლიტიკური პანფლეტის რანგში აზიდული მწვევე სატირაა. თითონ განრულ არჩვენში, მოვლენათა შეფასების ავტორისებულ პირდაპირობასა და სითამამეში ნათლად იგრძნობა არისტოფანესა და ძველი ატიკური კომედიის მიერ დამკვიდრებული ტრადიცია და თავისი პრობლემატატიკით, თავისი შემართებით ამ უარესად თანამედროვე გაქანების დრამატურგიულ პარტიკურაში საუკუნეთა სიმორიდან წამოსული ექვს გაიხმარებს.

დ. შსათასის ქმნილება იდეური ფერადობით ზედმიწევნით შეესაბამება ჩვენს მსოფლგაგებასა და პოლიტიკურ კურსს. კონკრეტულ მგალობს; რომელიც ტიპურობის მნიშვნელობას იძენს, მთელი ბურჟუაზიული პოლიტიკური აპარატია გა-

მითრახებული. სიცრუს გრანდიოზული აუქციონი, ამომრჩეველთა მოტყუებისა და მათი ინტერესების იგნორირების „კო-ჯოინთური“ სურათი მარტო სიცილს როდი იწვევს — სიცილი აღფთოების, დადებითის გამომსახველი ერთი რეაქციაა. და პიესისა, სადაც მთავარ მოქმედ პირობებს დანა ერთი არ არის დადებითი, იგივე სიცილი იტივრთავს დადებითი გმირის ფუნქციას. კომედის ამგვარი ფორმის შევება სულაც არ ნიშნავს, თითქმის ავტორი თავის გაუმომცემელ სინამდვილეში ვერ ხედავებს გაბატონებულ, თუმცა დრომოქმედ პოლიტიკურ სი-ყალბესთან შებრძოლების უნარის მქონე სოციალურ ძალას, — ეს მხოლოდ მხატვრული ხერხია, როდესაც დადებითი იდეალის დამკვიდრება უარყოფითის კომიკური უარყოფის მეშვეობით ხდება. ასეთ პირობებში დრამატული კონფლიქტი მოვლენის წინააღმდეგობა შეუსაბამობათა ხასიათს ემყარება და მოვლენათა თავის არასა დადებითთან უშუალო დაპირისპირების, თვითგამოვლენის გზით უფრო ამქლავნებს.

დამდგმელ რეჟისორს კოტე სურმაკას ძირითადი დასწორება აქვს გათვალისწინებული პიესის თავისებურება, წარმოდგენის საერთო მიზნახში პირველწყაროს ტონთან არსებითად შეთანხმებულია. მაგრამ რეჟისორი შეცდომასაც უშვებს: ივიწყებს, რომ უარყოფითის დადებითთან უშუალო შეპირისპირების გამჭრელებსა ჯერ კიდევ არ მოსაწყავებს დადებითის ამ-სოლუტურ მოხსნას, რომ კატეგორიები იზოლირებულად არ არსებობენ, რომ დადებითსა და უარყოფითს ურთიერთკავშირში ვჭერდით და სიცრუვს მოცემული გვაქვს არა თავის-თავად, არამედ სიმართლის გვერდით, არა როგორც ასეთი, არამედ როგორც სიმართლესთან დაპირისპირებული, სიმართლის ანტიპოდი და ამიტომ როგორც ასეთი. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ფრაგმენტი მეორე მოქმედებიდან, — მხედველობაში მოქვს უცნობი მომსვლელის სცენა. და-ვეკვირდეთ: მაშინ როდესაც ვიციტ პატარისა, პიეა ციკასა და პანავის დერფისის თხზვის არსი, ფერევისის აპარტამენტი უცნობის „ჩამოსვლის“ მიზანი გაურკვეველია; თანაც, ეს ერთადერთი პერსონაჟია, რომლის სახელიც პიესაში დაკონ-ტრატებული არ არის და უზრალოდ — ბატონად იხსენიებენ; გარდა ამისა, ამ პერსონაჟის მოტივი არაერთად კავშირში არ არის მოქმედების ძირითადი მიზანრებასთან, ინტროის განვი-თარებაში სულაც არ მონაწილეობს. ამგვარი მსჯელობით ნა-თელი უნდა გახდეს, რომ აღნიშნული ფრაგმენტი რეალისტურ ტილოზე გავლებული სიმბოლური შტრიხია და ავტორი უც-ნობის პროფილს სიმართლის პერსონიფიკირებულ სახეებად ვარაუდობს. დრამატურგი ვეუწყნება, რომ ბატონი სიმართლე კარგვა მომდგარი, თავის რიგს ელოდება ცხოვრებაში და თუ პიესის ფარგლებში აქტიურად არ იბრძვის სიცრუესთან, მხო-ლოდ იმიტომ, რომ დააცნობს სიცრუეს ბოლომდე ამოსწორის, გამოამწეროს თავისი არარაობა, და ჩვენს დაუნითობელი სი-ცილით ადგენებული, საკუთარი ფეხით ჩაბრძანდეს ჯოჯო-ხეთი.

რეჟისორის სმენას, ჩანს, გამოეპარა ავტორის უმნიშვნე-ლოვანესი რეპლიკა. უცნობი მომსვლელის სცენა წარმოადგინო და არ არის გადამწყვეტილი და ამიტომ რეჟისორის მსოფლიოში უხდებელია. თანაც, ერთობ უხერხულ მდგომარე-ობაშია ჩაყენებული ბატონის ეპიზოდური როლის შემსრულე-

ბელი მსახიობი ჩალტკივი. რეჟისორი, ალბათ, არაბრძოლ-ამოყანას არ უსახავს, თორემ ისე წარბოვლენელია აქტიორი ასე უსუსურად გამოიყურებოდეს.

ამ „თეთრი ლაქის“ გარეშე, სპექტაკლი კომპოზიციურად კარგადაა შეკრული; სცენაზე ძალდუტანებლობის ატმოსფერო სუფევს, მოქმედება თავებრდამხვევი ტემპით ვითარდება, ერთი კომიკური სიტუაცია მეორეს ეფენება ტალიენტურად და სა-ფეხურბოტივი ძერა კომიკურ სიტუაციათა მიულ სისტემის ქმნის. რიტმიც სწორადაა აწყობილი, კომიკური ვიზრაციის ამ-პლიტუდა თანდათან მატულობს და სპექტაკლის ყოველი უჯ-რედი სისტემატურად შედის ემოციურ რხევაში.

მაგრამ რეჟისორი, ეტყობა, უზომოდ გაიტაცა კომპოზიცი-ური მიზნახსის ძიებამ და, ვფიქრობ, ამიტომ დაუშვა მან იდე-ური ხასიათის ხიზგი. სამეც შემდეგმა: პირველი მოქმედების ბოლის ცრუ-თეორიით „გამოცდას“ აბარებს სპექტაკლური თანაშემწის თანამდებობის მოსაპოვებლად — საოცრად ოს-ტატურად გაითამაშებს მინისბრთან ელსმენით მოლაპარაკების სცენას, თვალსა და ხელს შუა მათტუეებს პატარისს. მისი „გამჭირაბობით“ მოხიბლული ფერევისი წამოიძახებს: „შემ-დეგია“ და სპექტაკლის მანიჭილ ოსტატურად მოტყუებულ „შემდეგთა“ მიულ გალერეას ვიხილავთ. ფინალშიც, მძაფრი კომიკური პერიპეტეიების შემდგომ, იგივე სიტყვა გვეხმის — ფერევისი, მიუხედავად ცოლისა და თოდოროსის ინტებურ კავ-შირზე ეჭვის მიტანისა, მაინც ვერ შევლევთ თანაშემწის, ვინა-იდან უთოდოროსოდ არც შეუძლია დებუტატის რანგში არსე-ობბა, ოჯახურ სიმშვიდეს სასოვადლოებრივ რენომეს სწირავს, კვლავ მოუმობს თავის მხსნელს და ეუბნება: „შემდეგია“ ვე-თანხმები რეჟისორს, დასაწყისში აღძრული მოტივის გან-ღეში გამეორება ერთგვარი რეჟერენის ძალას იძებს და სპექტაკლს კომპოზიციურად მოხდენილად შეგარეს. მაგრამ რეჟისორი და-მეთანხმობს, სცენური ნაწარმოების კომპოზიციური სიმ-წყობის მილწევა იდეური გამრდების ხარჯზე როდი უნდა ხდებოდეს. წარმოდგენის ამგვარი კოდა ხომ ნიშნავს, რომ ტყუილს არც ისე მოკლე ფეხი ჰქონია, რომ ვერ დაფორგუნეთ, სცენაზე ვერ გამოეუტანეთ განაჩენი და იგი უმოთოდლად კვლავაც განაგრძობს გზას. ავტორს კი სიტყვა „შემდეგია“ სა-ერთოდ არ აქვს ნახსენები და პიესა თოდოროსის, ფერევისისა და ჯეის თამეუტყუებელი ხარბარათი მოყრდნება (და ჩვენც ვივინით მათთან ერთად!). გამომდის: დრამატურგი სიცრუეს წარბოვლედებს ისეთ ძალად, რომელიც კარგავს ასპარეხს, სასაბილოდა განწარუთი და მომავლის მქონე მხოლოდ მოგაგვენებს თავს; რეჟისორი კი მას უტოვებს ასპარეხს და მომავლის მქონედ ვივინების. სასურველი იქნება, თუ რეჟი-სორი შესაძლებლად ჩასთავის ჩვენი რეპლიკის სმენად ღებას, მითუმეტეს, — იმგვარ ხარვეზზე მივუთითებთ, რომელიც, მართალია, სპექტაკლის კონცეპციას ჩიდილს აყობებს, მაგრამ ორგანიზში სრულად არ არის გამყარად და მისი დაძლევა უკვე დადლებული წარმოდგენაშიც მოხერხდება.

პიესა მდიდარია საფუძვლიანად დამუშავებული ხასიათე-ბით. პერსონაჟები ტუმბარტად დრამატული ძალმეცხიბით აღინიშნება და თავიანთი მოქმედებით, ნატურის ინთიოდუ-ალობით „მსოფლიო მდგომარეობას“ (ჰეგელის ტერმინი) გა-მოაღწენენ. მსახიობებსაც ხორცსავსე სცენური სახეების გამო-



ჯენი — ნ. ბურბისტროვა

ძერწვის საშუალებას აძლევენ. მოსაწონია, რომ ეს უდავო ფაქტი კ. სურმაგამ სპექტაკლზე მუშაობის ამოსავალ წერტილად მიიჩნია, „არ დაითავისა“ სპექტაკლი, უარი თქვა იაფფასიან რეჟისორულ ეფექტებზე და აქცენტი მსახიობებზე, მსახიობებთან მუშაობაზე გადაიტანა. ამიტომ ჩვენც მთელი ყურადღება მსახიობებს დავუთმობ; თანაც, მათი ნაშეშვების ავკარგიაობის განხილვა რეჟისორსაც უკეთ დაახასიათებს.

დაუბრუნდეთ გმირებს. ყოველმა მათგანმა თავის alter ego-ს მიაკვლია, — ამა თუ იმ მსახიობთან დაამყარა კონტაქტი, მსახიობს გაანდო სულის ზემაიდი, ისე, რომ ყოველ გზას ახლა მსახიობთან მივყავართ და საკითხი დგება, თუ რამდენად ჩასწვდნენ ისინი მათზე მინდობილ ინდივიდთა სულის ზეულებებს, რამდენად სწორად ამოკითხეს მათი ნატურის იდენტიფიკაცია.

ცრუ-თოდორსს, სპექტაკლის ალფასა და იმეგას, არჩილ გომიაშვილი განასახიერებს.

...სცენის სიღრმეში იღება კარი და სწრაფი, მოსხლეტილი ნაბიჯით შემოდის საკმაოდ დამოკლებულ, მოცვეთილ კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა; ილიაში ასევე საკმაოდ გაცვეთილი პორტფელი ამოურჩია. შესახებდა სიმპათიური, თანაც გაქნილი ხელიკივიით სლიპინა ადამიანის შთაბეჭდილებ-

ბას სტოვებს. თვალში გვეცემა ლაპარაკისა და ქცევის უწყვეტული მანერა, გალანტური, მეტის-მეტად გალანტური ჟესტი, თუმცა მიმოხრისა და თავდაპირის საზგასმულ თავისუფლებაში ნერვეული დაძაბულობაც გამოსჭვივის... ბატონი დეპუტატი მინდა ვინახული! შინ არ ბრძანდება? კვილი, დავკვლდები, არ მეჩქარება. ესაღია, სხვაგან არ მიეჩქარება, — ნურას უკაცურავად და იმიტომ რომ „ჩამოვიდა“, რომ „ჯოჯობითიდან“ ასე იოლად მოიცილონ. სასმასურში უნდა მოეწყოს და მიზნის მისაღწევად ყველა ზერს იხმარს: ვრასიდასთან ხვეწვა-კოცნას, გულის ინფარქტის სიმულაციას, კიბის მოაჯირზე თავდაყირა გადაკიდებასა და მასხარასავით ღრეტასაც არ ითაკილებს. ტრაგიკული რიზარდ გლოსტერის მსგავსად, რომელიც კატას-ტროფის პირად გვირგვინსა და ნახვევარ სამეფარ ერთ ულაცეში იძლეოდა, გომიაშვილის კომიკური თოდორის პარლასი თითქოს გვეუბნება: ნახვევარი კი არა, მთელი სინდის-ნამუსი სპეციალური თანაშემწის თანამდებობაში დეპუტატის მეუღლეს სარეკომენდაციო წოდის უწყდის, პასუს ელოდება, ქუდი ისე უჭირავს ხელში, მათხოვრებს რომ სჩვევიათ ხოლმე და ამ საოცრად მეტყველი ჟესტით ნათელი ხდება: ჩვენს წინაშე უპოვარი ადამიანია, და წამიერად შეგვებრალება იგი. მაგრამ შემდეგ, როცა ვერც მომხივებელი დიმილი, ვერც კომპლიმენტი და ვერც თავხედობა გასჭრის. თავის სილატაკესაც მიზნის მიღწევის საშუალებად აქცევს — სკამზე დაუგეგმა და ფესბაც-მლის გახვრეტელ ლანჩას ჯენის ცხვირწინ უტრიალებს... არა, ასეთ ადამიანს ფორტუნა, ალბათ, არ გასწირავს. ფორტუნასი რა მოგახსენიოთ და ფერკისი კი მაგრად ჩაებლაუჭა და საქმეებიც გაანდო. და აი, მოქმედებიდან მოქმედებაში გომიაშვილის გმირი თავდაჯერებას, ძალას თანდათან იკრევს, კოსტიუმთან ერთად ტონსაც იცვლის და ბოლოს დეპუტატის თანაშემწე კი არა, ფაქტურად მისი მმართველი ხდება.

